



ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში

ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის,
დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის
(რეფერირების) პროცედურების ანალიზი და
მთავრობისთვის შემუშავებული რეკომენდაციები



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

unicef 
unite for children

ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში

ერთიანი კვლევა არსებული ცოდნის,
დამოკიდებულებებისა და პრაქტიკის შესახებ

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის
(რეფერირების) პროცედურების ანალიზი და
მთავრობისთვის შემუშავებული რეკომენდაციები



წინამდებარე ანგარიში მოამზადა გაეროს ბავშვთა ფონდის კონსულტანტმა დარეჯან დვალისვილიმ. მუშაობისას მას ტექნიკური დახმარება გაუწიეს გაეროს ბავშვთა ფონდის თანამშრომლებმა - თინა ბაუმბა, ნათია სამსონიშვილი და კონსულტანტმა ანასტასია მშვიდლობაძემ. მას ასევე დაეხმარნენ გაეროს ბავშვთა ფონდის თანამშრომლები ქეთევან მელიქაძე, თეონა ასლანიშვილი და აარონ გრინბერგი. ანგარიში დააფინანსა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ და გაეროს ბავშვთა ფონდმა „ბავშვზე ზრუნვის მომსახურებებისა და სისტემების გაძლიერების პროექტის“ ფარგლებში.

© გაეროს ბავშვთა ფონდი 2013

გაეროს ბავშვთა ფონდი
ერისთავის ქ. 9, გაეროს სახლი
0179, თბილისი, საქართველო
ტელ: 995 32 2 23 23 88, 2 25 11 30
ელ-ფოსტა: tbilisi@unicef.org
www.unicef.ge

ივლისი, 2013

წინასიტყვაობა

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში უკვე 20 წელია მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან და სხვა პარტნიორებთან იმისათვის, რომ საქართველოში მოგვარდეს ბავშვების წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი პრობლემები და დაცული იყოს ბავშვთა უფლებები. ბავშვის დაცვა ყველანაირი ფორმის ძალადობისაგან ბავშვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა.

ჩვენ პატივი გვაქვს წარმოვადგინოთ გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული სამუშაო - კვლევა „**ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში**“. ეს არის ორი დამოუკიდებელი, მაგრამ შინაარსობრივად ურთიერთდაკავშირებული კვლევა, გაერთიანებული ერთ პუბლიკაციად, სადაც ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხები სხვადასხვა კუთხით არის გაანალიზებული. კვლევაში მონაწილეობდა 3345 ადამიანი.

პირველ კვლევაში, რომელსაც ეწოდება „**ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში – ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ**“, ყურადღება გამახვილებულია ამ საკითხის შესახებ საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში არსებული ცოდნის დონეზე; იმ დამოკიდებულებებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს ბავშვის აღზრდის გავრცელებულ მეთოდებს და რომლებიც თავს იჩენს ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა და მასზე რეაგირების პრაქტიკაში.

მეორე კვლევაში – „**ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში – ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ანალიზი და მთავრობისთვის შემუშავებული რეკომენდაციები**“ – გაანალიზებულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურა, რომელიც 2010 წელს ჩამოყალიბდა.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა, რადგან საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი დასაშვებად მიიჩნევს ბავშვთა მიმართ ძალადობას. მოსახლეობის 60 პროცენტი ფიქრობს, რომ ბავშვის აღზრდისას ძალადობრივი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდებისა.

საზოგადოება უმეტესწილად მიიჩნევს, რომ ბავშვის მიმართ განხორციელებული ოჯახური ძალადობა ოჯახის შიდა საქმეა და ამ საქმეში ჩარევის წინააღმდეგია. იმ შემთხვევებში კი, როცა მოქალაქე ჩარევას გადაწყვეტს, მან ხშირად არც კი იცის, ვის ან როგორ მიმართოს. ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების დიდმა უმრავლესობამ (60%), რომელთაც კანონით ევალებათ ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და მასზე რეაგირება, არ იცის ამ პასუხისმგებლობის შესახებ და ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ოჯახის საქმე ფაქტიზი საკითხია და უმჯობესია ამაში არ ჩაერიონ.

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ბავშვის აღზრდის ძალადობრივი მეთოდები გამოუსწორებელ უარყოფით კვალს ტოვებს ბავშვზე და მოქმედებს მის შემდგომ განვითარებაზე. ყველა მშობლისთვის საოცნებო წარმატებული, ხალისიანი, ჯანმრთელი ბავშვების ნაცვლად ძალადობის შედეგად ყალიბდებიან განდგომილი, გულჩათხრობილი და ჯანმრთელობაზე უარყოფითი ახალგაზრდები, რომლებსაც უჭირთ ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავება და წარმატებასაც ძნელად აღწევენ.


მასწავლებლების, აღმზრდელების, ფსიქოლოგების, პოლიციელებისა თუ სოციალური მუშაკების მოვალეობაა დროულად ამოიცნონ ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევები და იმოქმედონ კანონით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, რათა დაიცვან ბავშვის ინტერესები. მხოლოდ სწორი მეთოდებით აღზრდა მისცემს ბავშვს საშუალებას, სრულიად გამოავლინოს თავისი პოტენციალი და გახდეს საქართველოს აქტიური მოქალაქე და მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის განვითარებაში.

კვლევამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ძალადობისგან ბავშვების დაცვის სისტემა გამართვასა და სრულყოფას საჭიროებს; კვლევის შედეგად კარგად გამოჩნდა ამ სისტემის ხარვეზები და დაისახა მათი გამოსწორების გზებიც. ჩვენ დიდ იმედს გამოვთქვამთ, რომ მალევე მოხდება ყოველივეს გათვალისწინება და ამ საქმეში, რა თქმა უნდა, აქტიური პარტნიორი და მხარდამჭერი იქნება გაეროს ბავშვთა ფონდი.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რაოდენ მნიშვნელოვანია ძალადობის მიმართ რიგითი მოქალაქეების დამოკიდებულება. ადამიანებს უნდა ესმოდეთ, რომ მათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა არ შეაქციონ ზურგი ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს სამეზობლოში, სანათესაოსა თუ ქუჩაში. ბავშვებს

უჭირთ საკუთარი უფლებების დაცვა და მათ სჭირდებათ გვერდში მდგომი, პასუხისმგებლობით განმსჭვალული ზრდასრული პიროვნება, რომელიც თავს მოვალედ ჩათვლის, დაიცვას ბავშვის უფლებები.

დაბოლოს, დიდი იმედი გვაქვს, რომ კვლევა ბევრისათვის იქნება საინტერესო და საყურადღებო და მისი ჯეროვნად გაანალიზება საფუძვლად დაედება კონკრეტული ცვლილებების დაწყებას.



სამა გრამანი
გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში

ტერმინების განმარტება

ბავშვი – 18 წლამდე ასაკის პირი.

ბავშვის მიმართ ძალადობის საფუძვლიანი ეჭვი – ა) ბავშვის სხეულზე არსებული დაზიანებების გამო ჩატარებული გამოკითხვის შედეგად იკვეთება დამატებითი ფაქტორი: ბავშვი აცხადებს, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა; ბ) ბავშვის სხეულზე არსებული დაზიანებების გამო ჩატარებული გამოკითხვის შედეგად იკვეთება დამატებითი ფაქტორი: მონმე აცხადებს, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს; გ) ბავშვია სხეულზე არსებული დაზიანებების გამო ჩატარებული გამოკითხვის შედეგად იკვეთება დამატებითი ფაქტორი: მშობელი იქცევა არაადეკვატურად, ანუ ბავშვის ტრავმის სიმძიმე არ შეესაბამება ტრავმის მიღების შესახებ მშობლის მონათხრობს; მშობლის მონათხრობის დეტალები მუდმივად იცვლება; მშობელი არაადეკვატურად რეაგირებს ბავშვის ტრავმაზე – ტრავმას აფასებს უფრო მსუბუქად, ვიდრე არის; არ ხდება ტრავმის მიზეზის ახსნა; დ) ბავშვის საეჭვო ქცევის გამო ჩატარებული გამოკითხვის შედეგად იკვეთება დამატებითი ფაქტორი: ბავშვი აცხადებს, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა; ე) ბავშვის საეჭვო ქცევის გამო ჩატარებული გამოკითხვის შედეგად იკვეთება დამატებითი ფაქტორი: მონმე აცხადებს, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს; ვ) ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა; ზ) მონმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს (*ერთობლივი ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემის პროცედურების დამტკიცების შესახებ*).

ბავშვის მიტოვება – მშობლ(ებ)ის მიერ ბავშვის მიტოვება, ან მიტოვების შესახებ განცხადების გაკეთება, ან მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შესრულებისაგან თავის არიდება (*საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ*).

ბავშვის ოჯახის წევრი – ბავშვის დედა, მამა, ბებია, ბაბუა, მეუღლე, შვილი (გერი), დედინაცვალი/მამინაცვალი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, მული, მაზლი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები, შვილობილი, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მეურვე/მზრუნველი (*ერთობლივი ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემის პროცედურების დამტკიცების შესახებ*).

ბავშვთა პორნოგრაფია – ნებისმიერი ვიზუალური და აუდიომასალა, რომელშიც წარმოდგენილია არასრულწლოვნის მონაწილეობა ნამდვილ, შექმნილ ან კომპიუტერის მეშვეობით სიმულირებულ სექსუალურ სცენებში, როდესაც მომხმარებლის სექსუალური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ნაჩვენებია არასრულწლოვნის გენიტალური ორგანოები (*საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 255*).

ბავშვის უგულებელყოფა – მშობელთა ან მზრუნველ პირთა მიერ ბავშვის ფიზიკური ან ემოციური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, შესაბამისი შესაძლებლობების, ცოდნის და მომსახურების წვდომის არსებობის მიუხედავად (*გაეროს ანგარიში მსოფლიოში ბავშვებზე ძალადობის შესახებ*).

გადაუდებელი შემთხვევა/მდგომარეობა – მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ან შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის სიკვდილი ან ინვალიდობა (*ერთობლივი ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემის პროცედურების დამტკიცების შესახებ*).

დამცავი ორდერი – დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრის საფუძველი და პირს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა (*საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ*).

იძულება – ბავშვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ შეასრულოს ან არ შეასრულოს გარკვეული ქმედება (*ერთობლივი ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემის პროცედურების დამტკიცების შესახებ*).

მკაცრი აღზრდა – დასჯის გამოყენებით აღზრდის მკაცრი სტილი, როდესაც მშობლები აიძულებენ ბავშვს შეასრულოს ბრძანებები მათი შრომისა და ძალისხმევის პატივისცემის ნიშნად.

მოძალადე – ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრის მიმართ (*საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ*).

მსხვერპლი – პირი, რომელმაც ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობა ან ზეწოლა განიცადა.

ოჯახური კონფლიქტი – ნებისმიერი კონფლიქტი, რომელიც ხდება ოჯახში ცოლსა და ქმარს, მშობლებსა და შვილებს, დებსა და ძმებს შორის ან გაფართოებული ოჯახის სხვა წევრებთან (ბებიებთან, ბაბუებთან, დეიდებთან, ბიძებთან და ა.შ.).

სექსუალური ძალადობა – ბავშვთან სექსობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება ბავშვის მონანილებით (*ერთობლივი ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის რეფერირების*) სისტემის პროცედურების დამტკიცების შესახებ).

სიტყვიერი დამცირება – ბავშვის განზრახ დამცირება, უხამსი გამოთქმების გამოყენებით (გინება).

ფიზიკური სასჯელი – ნებისმიერი სასჯელი, რომელიც ფიზიკური ძალის გამოყენებით ხორციელდება და მიზნად ისახავს გარკვეული ტკივილის მიყენებას ან დისკომფორტის შექმნას (*ზოგადი კომენტარი N 8. ბავშვის უფლება დაცული იყოს ფიზიკური დასჯისაგან ან სხვა სახის სასტიკი ან ღირსების შემლახველი სასჯელისაგან*).

ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის და განვითარების მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს (*ერთობლივი ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის რეფერირების*) სისტემის პროცედურების დამტკიცების შესახებ).

ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ბავშვის პატივისა და ღირსების შელახვას და რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს (*ერთობლივი ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის რეფერირების*) სისტემის პროცედურების დამტკიცების შესახებ).

შემაკავებელი ორდერი – შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს (*საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ*).

ცემა – ცემა ან სხვა სახის ძალადობა, რომელმაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ გამოუწვევია ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება (*საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 125*).

ძალადობა – ბავშვის კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების დარღვევა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობის ან ზეწოლის გზით (*ერთობლივი ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის რეფერირების*) სისტემის პროცედურების დამტკიცების შესახებ).

წამება – პირისათვის, მისი ახლო ნათესავის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ, ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება, ან იძულება, ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის (*საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 144*).

წყევლა – მოწოდება ან ლოცვა, რომ ვიღაცას ან რაღაცას სიავე ან უბედურება დაატყდეს თავს.

ერთვნი კვლევა

არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა
და პრაქტიკის შესახებ

სარჩევი

| | |
|---|-----------|
| შემაჯამებელი მიმოხილვა | 11 |
| ძირითადი მიგნებების მოკლე მიმოხილვა | 12 |
| შესავალი..... | 14 |
| ძალადობის სხვადასხვა ფორმის შესახებ საზოგადოებაში არსებული ცოდნა | 15 |
| რესპოდენტთა გამოცდილება, დამოკიდებულება და ალქმა ბავშვის აღზრდის პროცესში ფიზიკური ძალადობის გამოყენებაზე..... | 19 |
| ოჯახში აღზრდის არაძალადობრივი მეთოდები და მშობელთა ავტორიტეტი..... | 22 |
| ბავშვთა მიმართ ფიზიკური ძალადობა - ხედავს თუ არა საზოგადოება პრობლემის არსებობას? | 24 |
| ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის და ბავშვთა უგულვებელყოფის მიმართ საზოგადოებაში გავრცელებული დამოკიდებულება და ალქმა | 25 |
| საზოგადოების დამოკიდებულება მოძალადეთა მიმართ..... | 28 |
| ჩარევა - ვინ და როდის უნდა ჩაერიოს ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში? | 29 |
| 14-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდების შეხედულებები | 33 |
| დასკვნები | 36 |
| რეკომენდაციები..... | 37 |
| დანართი 1. კვლევის მეთოდოლოგია..... | 41 |
| დანართი 2. კითხვარი..... | 47 |
| დანართი 3. მოზარდებთან სადისკუსიო ჯგუფის მოდერატორის სახელმძღვანელო..... | 69 |
| დანართი 4. პროფესიონალებისადმი მიმართვის ალბათობა ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის საპასუხოდ | 71 |

ცხრილები

| | |
|--|----|
| ცხრილი 1. ბავშვობაში ფიზიკური დასჯის გამოცდილება (სქესის მიხედვით) | 19 |
| ცხრილი 2. ბავშვობაში განცდილი ფიზიკური დასჯა და დამოკიდებულება ბავშვების ფიზიკური დასჯის მიმართ..... | 20 |
| ცხრილი 3. ფიზიკური დასჯის პრაქტიკის გამოყენება ქალებისა და კაცების მიერ | 21 |
| ცხრილი 4. მიღებული განათლების დონე და დამოკიდებულება ფიზიკური დასჯის მიმართ | 21 |
| ცხრილი 5. საზოგადოების აზრი: ვინ უნდა ჩაერიოს ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში..... | 26 |
| ცხრილი 6. საზოგადოებრივი აზრი სხვადასხვა ფორმის ძალადობის ჩამდენ პირთა წინააღმდეგ საჭირო სანქციების შესახებ..... | 28 |
| ცხრილი 7. საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იმოქმედოს ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში | 30 |
| ცხრილი 9. საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იმოქმედოს სექსუალური ძალადობის შემთხვევაში | 30 |
| ცხრილი 9. საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იმოქმედოს ბავშვის უგულბეღყოფის შემთხვევაში..... | 30 |
| ცხრილი 10. პოლიციისადმი მიმართვის ალბათობა ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევების საპასუხოდ | 71 |
| ცხრილი 11. სოციალური მუშაკების/სოციალური სამსახურებისადმი მიმართვის ალბათობა ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევების საპასუხოდ..... | 72 |
| ცხრილი 12. სკოლისადმი მიმართვის ალბათობა ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევების საპასუხოდ | 73 |

ბრაფიკები

| | |
|---|----|
| გრაფიკი 1. ძალადობის სხვადასხვა ფორმის შესახებ არსებული ცოდნა | 15 |
| გრაფიკი 2. ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმების შესახებ არსებული ცოდნა (რეგიონების მიხედვით)..... | 16 |
| გრაფიკი 3. ფიზიკური ძალადობის ფორმების შესახებ არსებული ცოდნა (რეგიონების მიხედვით)..... | 17 |
| გრაფიკი 4. უგულბეღყოფის ფორმების შესახებ არსებული ცოდნა (რეგიონების მიხედვით) | 18 |
| გრაფიკი 5. ბავშვობაში მიღებული ფიზიკური დასჯის გამოცდილება | 20 |
| გრაფიკი 6. სხვადასხვა რეგიონებში არსებული დამოკიდებულება მშობელთა მიერ ბავშვის აღზრდის მეთოდების მიმართ..... | 22 |
| გრაფიკი 7. სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებში არსებული დამოკიდებულება მშობელთა მიერ ბავშვის აღზრდის არაძალადობრივი მეთოდების მიმართ | 22 |
| გრაფიკი 8. მოსახლეობის შეხედულებები, თუ ვინ უნდა მიიღოს ბავშვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები (რეგიონების მიხედვით)..... | 23 |
| გრაფიკი 9. საქართველოში საზოგადოების მიერ ფიზიკური ძალადობის, როგორც პრობლემის აღქმა | 24 |
| გრაფიკი 10. ბავშვთა უგულბეღყოფის სხვადასხვა ფორმის შესახებ არსებული ცოდნა (ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით)..... | 26 |
| გრაფიკი 11. საზოგადოებრივი აზრი საქართველოში სექსუალური ძალადობის მასშტაბების შესახებ (რეგიონების მიხედვით)..... | 27 |
| გრაფიკი 12. საზოგადოებრივი აზრი შესაძლო მოძალადეების შესახებ | 27 |
| გრაფიკი 13. საზოგადოებრივი აზრი სხვა ოჯახის საქმეებში ჩარევის შესახებ (რეგიონების მიხედვით)..... | 31 |

შემაჯავებელი მიმოხილვა

ბავშვთა მიმართ ძალადობა შეიძლება მოხდეს ყველგან – როგორც მდიდარ, ისე ღარიბ ქვეყნებში, სოფლებსა და ქალაქებში, დიდ და პატარა ოჯახებში. ძალადობა ციკლურ ხასიათს ატარებს. ბავშვის მიმართ ძალადობის ციკლის დარღვევას დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა თაობაში ამგვარი პრაქტიკის შესამცირებლად და ძალადობის მსხვერპლ მოზარდებში ქცევითი პრობლემების დასაძლევად.¹

ჩატარებული კვლევის შედეგად შეგროვდა ინფორმაცია ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხზე ფართო სოზოგადოებაში არსებული ცოდნის, დამოკიდებულების, ქცევის და პრაქტიკის შესახებ. კვლევა რაოდენობრივი ხასიათისაა. გამოიკითხა 3345 ადამიანი 3284 ოჯახიდან, რომლებიც შეირჩა მთელი ქვეყნის მასშტაბით, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით. კვლევაში მონაწილეობდა 61 პროფესიონალი – სოციალური მუშაკები, მასწავლებლები და სკოლის მანდატურები.² (ჩვენს ანგარიშში ეს ჯგუფი მოიხსენიება „პროფესიონალებად“). ახალგაზრდების შეხედულებების გათვალისწინების მიზნით თბილისში, ქუთაისსა (დასავლეთი საქართველო) და თელავში (აღმოსავლეთი საქართველო) ჩატარდა ჯგუფური დისკუსიები ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. მონაწილეები ისე შეირჩა, რომ წარმოდგენილი ყოფილიყვნენ საზოგადოების სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური და ეთნიკური ჯგუფები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბიჭები და გოგონები (მეთოდოლოგიის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად იხ. დანართი N 1).

ანგარიშის დასაწყისში წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა იცის საზოგადოებამ ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმაზე, შემდეგ – დეტალურად შესწავლილი ამ სფეროში, ფართო საზოგადოებაში არსებული გამოცდილება, დამოკიდებულება და აღქმა; ანგარიშის მომდევნო ნაწილი ეთმობა იმის მიმოხილვას, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება სექსუალურ და ფსიქოლოგიურ ძალადობასა და უგულვებლყოფას; ანგარიშში აგრეთვე შესწავლილია, თუ რამდენად მომთმენია საზოგადოება ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ და როგორია იმის ალბათობა, რომ ადამიანები შეატყობინებენ (და რა გარემოებებში შეიძლება შეატყობინონ) შესაბამის ორგანოებს ძალადობის აქტების შესახებ, თუ ასეთი ფაქტები მათთვის ცნობილი გახდა.

წინამდებარე კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში ფართოდაა მიღებული. ყოველი მეორე ქართველი მიიჩნევს, რომ დასჯის ძალადობრივი ფორმები უფრო ქმედითია, ვიდრე არაძალადობრივი აღმზრდელობითი მეთოდები. უფრო ხშირად ქალები, ვიდრე კაცები, ფიქრობენ, რომ ბავშვის მიმართ ძალადობა დასაშვებია დისციპლინური სასჯელია. ამის გარდა, კვლევამ მოგვცა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია საქართველოში მცხოვრები ოჯახების შესახებ. მოსახლეობის დიდ უმეტესობას, მათ შორის პროფესიონალებს – მასწავლებლებს, სოციალურ მუშაკებს და პოლიციელებს – სჯერათ, რომ ოჯახის შიდა საქმეები მხოლოდ ოჯახს ეხება და გარეშე პირები ამაში არ უნდა ჩაერიონ. ეს ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორია, რომელიც ხელს უშლის ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და რეფერირებას.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ თუ ძალადობა შეუფერხებლად ხორციელდება და კითხვებს არ იწვევს, ეს კიდევ უფრო უწყობს ხელს ძალადობის მიმართ ტოლერანტობის დონის ზრდას. ბავშვთა მიმართ ძალადობის წილი მაღალია; კიდევ უფრო მაღალია ძალადობის მიმართ ტოლერანტობის დონე; ხოლო ის, რომ ადამიანებს ოჯახის შიდა საქმეებში ჩარევა არ სურთ მაშინაც კი, როდესაც ხდება ძალადობა, წარმოადგენს არსებული გავრცელებული პრაქტიკისა და შემწყნარებლური დამოკიდებულების ერთობლივ, ძლიერად გამჯდარ შედეგს. თუ ეს პრობლემა არ მოგვარდა, ვერ მოხერხდება ბავშვთა მთლიანი პოტენციალის განვითარება, რაც სამომავლოდ შეამცირებს ქვეყნის ადამიანურ კაპიტალში ამ ბავშვების წვლილს და საბოლოო ჯამში შეაფერხებს ქვეყნის განვითარებას და კეთილდღეობას.

საქართველოს უახლესი ისტორია შეიძლება დაგვეხმაროს არსებული სიტუაციის გაგებაში. ვარდების რევოლუციამდელ პერიოდში, ფართოდ გავრცელებული კორუფციის და დანაშაულის მაღალი დონის დაძლევის მიზნით, ბოლო ათწლეულში, საქართველოს მთავრობამ დაწერა კონტროლის სისტემები. კრიმინალის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შედეგად მკვეთრად გაიზარდა ციხეებში

¹ Reiss, Albert J.; Roth, Jeffrey A.; Miczek, Klaus A. (1993). Understanding and Preventing Violence: Social influences. Washington, D.C.: National Academy Press. Pages 194-195

² სკოლის მანდატურები ფაქტობრივად არიან სკოლის მეთვალყურეები, რომლებიც პასუხს აგებენ სკოლაში დისციპლინისა და უსაფრთხოების საკითხებზე. საჯარო სკოლებში მანდატურების ინსტიტუტი დაწესდა 2011 წელს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანებით, სკოლაში ძალადობის მკვეთრი ზრდის ტენდენციის საპასუხოდ.

ზრდასრული პატიმრების რიცხვი. ერთ სულ მოსახლეზე, პატიმრების რაოდენობის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში მეოთხე ადგილზე გავიდა. 2012 წელს გაირკვა, რომ ციხეებში პატიმრების შეურაცხყოფა და წამება ფართოდ იყო გავრცელებული. ამის გარდა, სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლების „კონტროლის“ მიზნით ყველა სკოლაში შეიყვანეს მანდატურები – სკოლაში დისციპლინაზე და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ფორმიანი მეთვალყურეები. ეჭვი არ არის, რომ ამ ზომების შედეგად საქართველოს ქუჩები უფრო უსაფრთხო გახდა. მაგრამ ამავე დროს ამ გზით შეიქმნა სახელმწიფოს მიერ სანქცირებული ძალადობისა და კონტროლის სისტემები. უდავოა, რომ რუსეთთან 2008 წლის სამხედრო კონფლიქტითა და გლობალური ფინანსური კრიზისით გამოწვეულ სოციალურ-ეკონომიკურ გაჭირვებასთან ერთად, ამ ფაქტორებმა შეუწყო ხელი საქართველოში დღეს არსებული სიტუაციის ჩამოყალიბებას, მათ შორის, ოჯახურ ძალადობასაც.

ამჟამინდელი ძალისხმევითა და ინვესტიციების გათვალისწინებით შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება შეიცვლება. საქართველოში მოსახლეობის 82% აცხადებს, რომ ძალადობა პრობლემაა, რომელიც უნდა აღმოიფხვრას. ეს წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებაში გავრცელებულ მოსაზრებასთან, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა დისციპლინური ზომია (45%), თუმცა იმასაც ამტკიცებს, რომ ქვეყანაში ამ პრობლემის დაძლევის ნება არსებობს.

საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების შესაცვლელად მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. იმისთვის, რომ დაძლეულ იქნეს მოსაზრება, თითქოს ბავშვთა მიმართ ძალადობის ზოგიერთი ფორმა დასაშვებია, აუცილებელია გატარდეს საკანონმდებლო ცვლილებები და გაიზარდოს საზოგადოების გათვითცნობიერების დონე. ბავშვებს და უფროსებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მიანოდონ სათანადო ორგანოებს ინფორმაცია ბავშვებზე ძალადობის ფაქტების შესახებ. იმისთვის, რომ ამალღდეს საზოგადოების ნდობა ბავშვთა დაცვის მექანიზმების მიმართ, აუცილებელია გაძლიერდეს ბავშვთა დაცვის (რეფერირების) სახელმწიფო სისტემა და გაუმჯობესდეს პროფესიონალების მომზადების დონე. ოჯახში ბავშვების აღზრდის პოზიტიური მეთოდების ნაკლებობა მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც უნდა მოგვარდეს მშობელთა შორის ცოდნის გავრცელების, გათვითცნობიერების გაზრდის და უნარ-ჩვევების განვითარების გზით.

განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს. რაც უფრო მაღალია პიროვნების განათლების დონე, მით უფრო ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომ მან ბავშვთა მიმართ ძალადობა დასაშვებად მიიჩნიოს. თუ ძალისხმევა მიმართული იქნება იმაზე, რომ საშუალო სკოლა დაამთავროს ყველა ბავშვმა, განსაკუთრებით გოგონებმა, ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ქვეყანაში ძალადობის დონეს. შეიძლება გადაისინჯოს სკოლის სასწავლო გეგმები, რომ ახალგაზრდებმა კარგად გააცნობიერონ ძალადობის არსი და შედეგები. ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი ზომა იქნება მთელი ქვეყნის მასშტაბით ძალადობის წინააღმდეგ კამპანიებისა და განხილვების ორგანიზება.

ძირითადი მიგნებების მოკლე მიმოხილვა

1. საქართველოში იციან, თუ რა არის ძალადობა, განსაკუთრებით ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შემთხვევაში.

მთლიანობაში, მოსახლეობას უკეთ ესმის, თუ რომელი ქმედება შეიძლება ჩაითვალოს ფიზიკურ ან სექსუალურ ძალადობად და შედარებით ნაკლებად შეუძლია ფსიქოლოგიური ძალადობის ან ბავშვის უგულვებლყოფის შემთხვევების იდენტიფიკაცია.

2. ბავშვებზე ძალადობის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების წილი მაღალია საქართველოში.

იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც ბავშვებზე ძალადობას დასაშვებად მიიჩნევენ (45%), უფრო მაღალია, ვიდრე იმ რესპონდენტებისა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ბავშვობაში ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი იყვნენ (30%). აღმოჩნდა, რომ თუ პირმა ბავშვობაში ძალადობა განიცადა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან ბავშვის მიმართ ფიზიკური ძალადობა დასაშვებად მიიჩნიოს.

3. განათლება დადებით ზემოქმედებას ახდენს პიროვნების დამოკიდებულებაზე ძალადობის მიმართ.

აღამიანის განათლების დონე პირდაპირ არის დაკავშირებული მის შეხედულებასთან ფიზიკური ძალადობის, როგორც დასჯის ფორმის მიმართ; რაც უფრო მაღალია პიროვნების განათლების დონე, მით უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ მან დასაშვებად მიიჩნიოს დასჯის ფორმად ფიზიკური ძალადობის გამოყენება.

- 4. საქართველოში მოსახლეობის უმეტესობა ფიქრობს, რომ ოჯახში აღზრდის მკაცრი დისციპლინური მეთოდების გამოყენება, არაძალადობრივ მეთოდებთან შედარებით, უფრო კარგ შედეგს იძლევა.**

მოსახლეობის უმეტესობა ფიქრობს, რომ საქართველოში ბავშვთა მიმართ ფიზიკური ძალადობა პრობლემას წარმოადგენს. ამის მიუხედავად, მოსახლეობის 60% მიიჩნევს, რომ ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდები. ახალგაზრდების აზრი განსხვავებულია. უმეტესობა თვლის, რომ აღზრდის პოზიტიური მეთოდები ძალადობრივს სჯობია.

- 5. საქართველოში მოსახლეობის უმეტესობა თავშეკავებით ეკიდება იდეას, რომ „უფლებამოსილ ორგანოებს“ ოჯახის საქმეებში ჩარევა შეუძლიათ, მაშინაც კი, როდესაც ოჯახში შესაძლოა ძალადობას ჰქონდეს ადგილი.**

საზოგადოების 94%—ს ესმის, რომ ბავშვისთვის საზიანოა, თუ ის ოჯახში ძალადობის მომხრეა. ამის მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში საზოგადოება ოჯახის „შიდა საქმეებში“ გარეშე პირთა ჩარევის წინააღმდეგია.

- 6. საქართველოში მოსახლეობის 90%—ზე მეტს არ სჯერა, რომ ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები შეიძლება იყვნენ მშობლები ან ოჯახის წევრები. უმეტესობა ფიქრობს, რომ ასეთი დანაშაული შეიძლება ჩაიდინონ ნაცნობებმა, ოჯახის მეგობრებმა და უცხო პირებმა.**

საქართველოში საზოგადოების 42% მიიჩნევს, რომ ყველაზე დიდი ალბათობით ბავშვზე შესაძლო სექსუალური ძალადობის „ეჭვმიტანილები“ უცხო პირები არიან, ხოლო მეორე ადგილზე არიან ოჯახის მეგობრები და ნაცნობები (35%). მშობლების მხრიდან ასეთი ძალადობის შესაძლებლობა დაუშვა 5%—მა, ხოლო ოჯახის სხვა წევრების მხრიდან — 10%—მა. ეს შეხედულება ეწინააღმდეგება გლობალურად არსებულ ფაქტობრივ მონაცემებს იმის შესახებ, რომ ყველაზე ხშირად ასეთ დანაშაულს სჩადიან ოჯახის წევრები და ნაცნობები.³ უფროსებისგან განსხვავებით, ბავშვები თვლიან, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის ჩამდენი პირები ყველაზე დიდი ალბათობით არიან მშობლები.

- 7. საქართველოში მოსახლეობას სჯერა, რომ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირების წინააღმდეგ უნდა აღიძრას სასამართლო საქმე, ხოლო რეაბილიტაცია რეკომენდებულია იმათ მიმართ, ვინც ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა ჩაიდინა ან ბავშვის ინტერესები უგულებელყო.**

მოსახლეობის დამოკიდებულება ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ რა სახის იყო ძალადობა. მოსახლეობის 85% მიიჩნევს, რომ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირების მიმართ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. ძალადობის სხვა ფორმის შემთხვევაში, როგორცაა, მაგალითად, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა და უგულებელყოფა, უპირატესობა ენიჭება ძალადობის ჩამდენ პირთა რეაბილიტაციას (63-67%).

- 8. საზოგადოება მიიჩნევს, რომ პოლიცია უნდა ჩაერიოს ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, ხოლო სოციალური მუშაკები უნდა რეაგირებდნენ ფსიქოლოგიური ძალადობის ან ბავშვის უგულებელყოფის შემთხვევაში.**

ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის შემთხვევაში პოლიციის ჩარევა უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე სკოლებისა და სოციალური სამსახურებისა. სოციალური სამსახურების ჩარევას უპირატესობა ენიჭება ფსიქოლოგიური ძალადობის და ბავშვის უგულებელყოფის შემთხვევაში. სკოლების ჩარევა მიჩნეულია ყველაზე ნაკლებად მიზანშეწონილ მოქმედებად — ამ უკანასკნელ საკითხზე ასეთივე დამოკიდებულება გამოხატეს ახალგაზრდა რესპონდენტებმაც.

- 9. ყოველმა მეხუთე საქართველოს მოქალაქემ არ იცის, თუ რა უნდა გააკეთოს და ვის მიმართოს როდესაც ძალადობის მოწმე გახდება.**

მოსახლეობის 38% ფიქრობს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, რა უნდა გააკეთოს საჭიროების შემთხვევაში.

- 10. როდესაც ადამიანმა იცის, რა უნდა გააკეთოს და ვის მიმართოს ძალადობის შემთხვევაში, ის 80%—ზე მეტი ალბათობით განაცხადებს პრობლემის არსებობის შესახებ.**

³ World Report on Violence against Children 2006, <http://www.unviolencestudy.org/>

შესავალი

2007 წელს ჩატარდა ეროვნული კვლევა ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. ამ კვლევის დროს შესწავლილ იქნა, თუ ძალადობის რა ფორმები ქარბობს ქვეყანაში. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში სხვადასხვა ფორმის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა განცდილი აქვს ბიჭების და გოგოების 80%-ს.⁴

ამ შედეგებზე რეაგირებისა და საქართველოში ბავშვთა დაცვის სისტემის განვითარების მიზნით 2010 წელს მთავრობამ გამოსცა ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის და რეფერირების შესახებ. ეს იყო სამი სამინისტროს⁵ – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი ბრძანება. იგი მიზნად ისახავდა სათანადო კოორდინირებული მექანიზმების შემუშავებას ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიკაციის, მსხვერპლთა საჭიროებების შეფასება-დაკმაყოფილებისა და სამართლიანობის დამკვიდრების მიზნით.

ბრძანების გამოცემის შემდეგ ორი წელი გავიდა. რეფერირებული შემთხვევების რაოდენობა გაიზარდა 40–დან 150–ზე მეტ შემთხვევამდე წელიწადში. მიუხედავად ამისა, მონაწილე მხარეები (მათ შორის დარგობრივი სამინისტროები, პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი) რეფერირების სისტემის მუშაობის ეფექტიანობასთან დაკავშირებით წუხილს გამოთქვამენ და სისტემის მუშაობის შესწავლის აუცილებლობაზე საუბრობენ. მათ მიერ აღნიშნულ პრობლემებს შორისაა კონკრეტული პროცედურების შესახებ ცოდნის ნაკლებობა, ძალადობის ნიშნების ამოცნობის უნარის ნაკლებობა, სუსტი კოორდინაცია მონაწილე მხარეებს შორის, მსხვერპლთა მოცვის დაბალი დონე და ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ბიოფსიქოსოციალური რეაბილიტაციისათვის საჭირო მომსახურებების ნაკლებობა. მხარეები ასევე მიიჩნევენ, რომ გარდა რეფერირების სისტემის შესწავლისა, საჭიროა ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული ცოდნის, დამოკიდებულების და პრაქტიკის შესწავლა, რომ საქართველოში პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭირო სტრატეგიის, პოლიტიკის და ინფორმაციის გავრცელების კამპანიები ჩამოყალიბდეს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

აშშ–ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი პროექტის – „საქართველოში ბავშვებზე ზრუნვის მომსახურებისა და სისტემების გაძლიერების“ – ფარგლებში, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, გაეროს ბავშვთა ფონდმა ორი დამატებითი კვლევის ჩატარება იკისრა. ესენია: ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებთან დაკავშირებული თვისობრივი კვლევა და კიდევ ერთი რაოდენობრივი კვლევა ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოებაში გავრცელებული ცოდნის, დამოკიდებულების და პრაქტიკის შესასწავლად. ეს ორივე კვლევა 2012 წლის ზაფხულში შესრულდა.

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია როგორც ინფორმაცია რაოდენობრივი კვლევის შედეგების შესახებ, ისე ამ შედეგების ანალიზი. რაოდენობრივი კვლევის მიზნები იყო:

- ა. ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ფართო საზოგადოებაში გავრცელებული ცოდნის, დამოკიდებულების, პრაქტიკის და ქცევების შეფასება;
- ბ. ფართო საზოგადოებისა და ბავშვებზე ზრუნვის სისტემებში მომუშავე პროფესიონალების მიერ „ბავშვთა დაცვის (რეფერირების) პროცედურების“ ცოდნის შეფასება.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი არ არის რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული ყველა მონაცემი და ანალიზი. მასში შესულია მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც ავტორებმა ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნიეს.

⁴ საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ, გაროს ბავშვთა ფონდი, 2007-2008. http://unicef.ge/uploads/The_National_Study_on_Violence_against_Children_in_Georgia_in_Georgian.pdf

⁵ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანება (N 152/6 – N496 – N45/6) ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ; 31 მაისი, 2010.


ძალადობის სხვადასხვა ფორმის შესახებ საზოგადოებაში არსებული ცოდნა

ძირითადი მიზნები

- საქართველოში ფართო საზოგადოება სწორად განასხვავებს ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმას.
- მთლიანობაში, მოსახლეობას უკეთ ესმის, თუ რომელი ქმედება შეიძლება ჩაითვალოს ფიზიკურ ან სექსუალურ ძალადობად და შედარებით ნაკლებად შეუძლია ფსიქოლოგიური ძალადობის ან ბავშვის უგულვებელყოფის შემთხვევების იდენტიფიკაცია.
- საქართველოში საზოგადოებას ყველაზე ნაკლებად ესმის ფსიქოლოგიური ძალადობის არსი.
- ქალები და კაცები ერთნაირად ერკვევიან ძალადობის სხვადასხვა ფორმებში.
- შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ამ სფეროში ცოდნის დონე უფრო დაბალია, ვიდრე ქვეყნის სხვა რეგიონებში.
- მოსახლეობის 72% ფიქრობს, რომ გოგოები ზრდასრული ხდებიან 18 წლის ასაკამდე და 60% ფიქრობს, რომ ბიჭები ხდებიან ზრდასრული 18 წლის ასაკამდე.

იმისთვის, რომ ძალადობაზე რეაგირება მოახდინოს, ადამიანს უნდა ესმოდეს, თუ რა სახის ქმედება წარმოადგენს ძალადობას. მთლიანობაში საქართველოს მოსახლეობას მეტ-ნაკლებად კარგი ცოდნა აქვს ბავშვებზე ძალადობის ყველა ფორმის შესახებ და სწორად შეუძლია მათი განსაზღვრა. 32%–ს ძალადობის სამი ფორმის ამოცნობა შეუძლია. 8%–მა მხოლოდ ერთი ფორმის ამოცნობა შეძლო ან საერთოდ ვერც ერთი ვერ ამოიცნო. (წარმოდგენილი იყო ძალადობის ოთხი ფორმა: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა და ინტერესების უგულვებელყოფა).

გრაფიკი 1. ძალადობის სხვადასხვა ფორმის შესახებ არსებული ცოდნა



ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიკაციის და სათანადო ორგანოებისათვის შეტყობინების შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად შეუძლია საზოგადოებას ძალადობის ყველა ფორმის ამოცნობა და რამდენად კარგად ესმის მას ვინ ითვლება ბავშვად და ვინ – ზრდასრულ პირად. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, 18 წლამდე ასაკის პირი ბავშვია. ამის მიუხედავად, მოსახლეობის 72% მიიჩნევს, რომ გოგოები ზრდასრული 18 წლის ასაკამდე ხდებიან, ხოლო 60% – რომ


ბიჭები ხდებიან ზრდასრული 18 წლის ასაკამდე. ბიჭების და გოგონების ბავშვობის ასაკის სწორად დასახელება მხოლოდ 18%-მა შეძლო.

მეტი მუშაობაა საჭირო ძალადობის შესახებ საქართველოში საზოგადოების გათვითცნობიერების დონის ასამაღლებლად, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ფსიქოლოგიურ ძალადობას და ბავშვობის ასაკის სწორად განსაზღვრას (რომ 18 წლამდე ასაკის პირი ბავშვია).

„ბავშვთა დაცვის (რეფერირების) პროცედურებში ფსიქოლოგიური ძალადობა განსაზღვრულია, როგორც „შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ბავშვის პატივისა და ღირსების შელახვას და რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს“.

მოსახლეობის 64%-ს ფსიქოლოგიური ძალადობის ყველა ფორმის ამოცნობა შეუძლია. ცოდნის დონე უფრო დაბალია შიდა ქართლში, ქვემო ქართლში (51%), აჭარასა (59%) და შიდა ქართლში (60%). ძალადობის ოთხი ფორმიდან საზოგადოებისათვის ყველაზე ნაკლებად გასაგებია ფსიქოლოგიური ძალადობა.


გრაფიკი 2. ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმების შესახებ არსებული ცოდნა (რეგიონების მიხედვით)



„ბავშვთა დაცვის (რეფერირების) პროცედურებში“ ბავშვთა მიმართ ფიზიკური ძალადობა განსაზღვრულია, როგორც ცემა, წამება და ჯანმრთელობის დაზიანება“. ⁶ მოსახლეობის თითქმის 90%-მა სწორად ამოიცნო ფიზიკური ძალადობის ყველა ფორმა. ძალადობის ოთხი ფორმიდან საზოგადოებას ყველაზე უკეთ ესმის ფიზიკური ძალადობა.

⁶ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანება (N 152/6 – N496 – N45/6) ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ; 31 მაისი, 2010.

გრაფიკი 3. ფიზიკური ძალადობის ფორმების შესახებ არსებული ცოდნა (რეგიონების მიხედვით)



ამ კვლევის მიზნებისათვის ტერმინი ბავშვთა მიმართ „სექსუალური ძალადობა“ განმარტებულია, როგორც ზრდასრული პირის მიერ 16 წლამდე ასაკის პირთან სექსუალური ხასიათის შეხება, მისი თანხმობის გარეშე, არასრულწლოვნის იძულება გამოაჩინოს საკუთარი გენიტალური ორგანოები და მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება ძალადობით.⁷ მოსახლეობის 78%-მა სწორად დაასახელა სექსუალური ძალადობის ყველა აღნიშნული ფორმა.


წინამდებრე ანგარიშზე მუშაობის პერიოდში „ბავშვის ინტერესების უზრუნველყოფა“ საქართველოს კანონმდებლობაში განმარტებული არ იყო. ამ კვლევის მიზნებისათვის ჩვენ გამოვიყენეთ „მსოფლიოში ბავშვებზე ძალადობის შესახებ“ გაეროს ანგარიშში (2006) მოცემული განმარტება: „მშობელთა ან მზრუნველ პირთა მიერ ბავშვის ფიზიკური ან ემოციური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, შესაბამისი შესაძლებლობების, ცოდნის და მომსახურების წვდომის არსებობის მიუხედავად“.⁸

საქართველოში მოსახლეობის 79%-მა აღნიშნა, რომ ბავშვის ფიზიკური ან ემოციური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა და ბავშვის უსაფრთხოების რისკების მიმართ უყურადღებობა წარმოადგენს „ბავშვის უზრუნველყოფის“ ფორმებს. ამ სფეროში ცოდნის ყველაზე დაბალი დონე გამოვლინდა ქვემო ქართლსა (65%) და სამცხე-ჯავახეთში (75%). ცოდნის დონე დაბალი იყო აგრეთვე გურიაში, სამეგრელოსა და ქვეყნის დედაქალაქ თბილისში (77%).

⁷ ეს განმარტება ეყრდნობა საქართველოს „ბავშვთა დაცვის (რეფერირების) პროცედურების და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ დებულებებს.

⁸ გაეროს ანგარიში მსოფლიოში ბავშვებზე ძალადობის შესახებ, 2006 <http://www.unicef.org/violencestudy/3.%20World%20Report%20on%20Violence%20against%20Children.pdf>

გრაფიკი 4. უგულველყოფის ფორმების შესახებ არსებული ცოდნა (რეგიონების მიხედვით)



რესპოდენტთა გამოცდილება, დამოკიდებულება და აღქმა ბავშვის აღზრდის პროცესში ფიზიკური ძალადობის გამოყენებაზე

ძირითადი მიზნებები

- საქართველოში საზოგადოების 30% აღნიშნავს, რომ ბავშვობაში მათი მშობლები რეგულარულად იყენებდნენ მათ მიმართ ფიზიკურ ძალას.
- ამჟამად საქართველოში საზოგადოების 45% ბავშვთა მიმართ ფიზიკური ძალადობის გამოყენებას დასაშვებად მიიჩნევს და თვლის, რომ ფიზიკური დასჯის გარეშე ბავშვი „გაფუჭდება“.
- კითხვაზე, იყენებენ ან გამოიყენებენ თუ არა ფიზიკურ დასჯას შვილების მიმართ, დადებითად უპასუხა ქალების 30%-მა და კაცების 17%-მა.
- საზოგადოების თითქმის 60% ფიქრობს, რომ აღზრდის მკაცრი მეთოდები არაძალადობრივზე უფრო ეფექტიანია.
- განათლების დონე პირდაპირ უკავშირდება იმას, თუ რამდენად მისაღებია ადამიანისთვის ფიზიკური ძალადობა, როგორც დასჯის ფორმა.
- საზოგადოების 82% თვლის, რომ საქართველოში ფიზიკური ძალადობა პრობლემას წარმოადგენს, ხოლო თითქმის 40% პრობლემას სერიოზულად მიიჩნევს. ეს წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოების ტოლერანტულ დამოკიდებულებასთან ბავშვთა ფიზიკური დასჯის მიმართ.

ბავშვობაში მიღებული გამოცდილება განსაზღვრავს, თუ როგორ ადამიანად ჩამოვყალიბდებით. თუ ბავშვი ფიზიკურ ძალადობას განიცდის, არსებობს მეტი ალბათობა, რომ ზრდასრულ ასაკში თავადაც ჩაიდინოს ძალადობა სხვების მიმართ.⁹ ამ პრობლემის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია კარგად იყოს გაგებული მისი მასშტაბურობა; ამისთვის აუცილებელია ზრდასრული მოსახლეობის გამოკითხვის გზით დადგინდეს, თუ მოსახლეობის რა წილი იყო ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი; აგრეთვე საჭიროა საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ფიზიკურ ძალადობის შესახებ.

კვლევის შედეგები საგანგაშოა. საქართველოში საზოგადოების 30% აღნიშნავს, რომ მშობლები მათ მიმართ ფიზიკურ ძალას იყენებდნენ (რეალური რიცხვი შეიძლება უფრო მაღალი იყოს, ვინაიდან ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ზოგიერთი რესპოდენტი ცდილობს დამალოს, რომ მას ბავშვობაში სცემდნენ). მშობლების მხრიდან ბავშვობაში ფიზიკური ძალადობის ფაქტს მეტი მამაკაცი აღნიშნავს (34%), ვიდრე ქალი (26%).

ცხრილი 1. ბავშვობაში ფიზიკური დასჯის გამოცდილება (სქესის მიხედვით)


| სქესი | ხშირად განუცდია ფიზიკური დასჯა | ზოგჯერ განუცდია ფიზიკური დასჯა | არასდროს განუცდია ფიზიკური დასჯა |
|-------|--------------------------------|--------------------------------|----------------------------------|
| ქალი | 0.6% | 25.6% | 73.8% |
| კაცი | 0.4% | 34.5% | 65.1% |
| სულ | 0.5% | 29.7% | 69.8% |

როდესაც აღფა დონე უდრის .01, რესპოდენტის სქესი მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა $F(2.00, 6596.98)=8.3032, P=0.0003$

⁹ გაეროს ანგარიში მსოფლიოში ბავშვებზე ძალადობის შესახებ, 2006 გვ. 66 <http://www.unicef.org/violencestudy/3.%20World%20Report%20on%20Violence%20against%20Children.pdf>

რეგიონების მიხედვით მონაცემები საკმაოდ არაერთგვაროვანია. იმ რესპონდენტების რიცხვი, რომლებმაც განაცხადეს, რომ ბავშვობაში მშობლები მათ მიმართ ფიზიკურ ძალადობას იყენებდნენ, ყველაზე მაღალი აღმოჩნდა ქვემო ქართლსა (43%) და კახეთში (33%).

გრაფიკი 5. ბავშვობაში მიღებული ფიზიკური დასჯის გამოცდილება



ამჟამად საქართველოში საზოგადოების 45 პროცენტს ბავშვების მიმართ ფიზიკური ძალადობა დასაშვებად მიაჩნია და თვლის, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი „გაფუჭდება“. თუ ადამიანს ბავშვობაში ძალადობა განუცდია, არსებობს მეტი ალბათობა, რომ მან ძალადობა დასაშვებად მიიჩნიოს. იმ პირებს შორის, ვისაც ბავშვობაში ფიზიკური ძალადობა გადაუტანია, თითქმის 60% აცხადებს, რომ ფიზიკური დისციპლინური დასჯა დასაშვებია. საზოგადოების იმ 66 პროცენტიდან, ვისაც ბავშვობაში ფიზიკური ძალადობა განუცდია, 40% ფიქრობს, რომ დასაშვებია ბავშვების მიმართ ფიზიკური დისციპლინური სასჯელის გამოყენება.

ცხრილი 2. ბავშვობაში განცდილი ფიზიკური დასჯა და დამოკიდებულება ბავშვების ფიზიკური დასჯის მიმართ

| | ფიზიკური დასჯა დასაშვებია | ფიზიკური დასჯა დაუშვებელია |
|----------------------------------|---------------------------|----------------------------|
| ხშირად განუცდია ფიზიკური დასჯა | 67% | 33% |
| ზოგჯერ განუცდია ფიზიკური დასჯა | 58% | 42% |
| არასდროს განუცდია ფიზიკური დასჯა | 39% | 61% |
| სულ | 45% | 55% |

როდესაც ალფა დონე უდრის .01, ადრე განცდილი ფიზიკური ძალადობის ეფექტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი რიცხვი იყო $F(1.87, 6190.68)=31.7537, P = 0.0000$

ცხრილი N 2 გვიჩვენებს, რომ საქართველოში ფიზიკური ძალადობა ციკლურ ხასიათს ატარებს. თუ ბავშვი ძალადობას განიცდის, ალბათობა იმისა, რომ მან ფიზიკური დასჯა დაშვებულ ზომად მიიჩნიოს, ორჯერ უფრო მაღალია.

მთლიანობაში იმ რესპონდენტების რიცხვი, რომლებიც ბავშვთა მიმართ ფიზიკურ ძალადობას დასაშვებად მიიჩნევენ, უფრო მაღალია, ვიდრე იმ რესპონდენტებისა, რომლებიც აცხადებენ, რომ ბავშვობაში ფიზიკური ძალადობა განიცადეს. ეს ნიშნავს, რომ ბავშვების მიმართ ძალადობა სოციალურად დაშვებული პრაქტიკაა, მიუხედავად იმისა, განიცდიდა თუ არა ადამიანი ბავშვობაში ძალადობას. მოსაზრება, რომ ფიზიკური ძალადობა დასჯის მისაღები ფორმაა, უფრო მეტადაა გავრცელებული ქალებს შორის (47%), ვიდრე კაცებში (42%). კითხვაზე, იყენებენ ან აპირებენ თუ არა გამოიყენონ საკუთარი შვილების ფიზიკური დასჯის მეთოდი, დადებითად უპასუხა ქალების 30%-მა

და კაცების 17%-მა. იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვების მოვლა ძირითადად ქალების ფუნქციად ითვლება, ეს ინფორმაცია ცხადყოფს, რომ საქართველოში ბავშვთა მიმართ ფიზიკური ძალადობის ჩამდენი პირებიც უმეტესწილად ქალები არიან. ქალების ასეთი შეხედულებები შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ ისინი არ იცნობენ არსებული პრობლემების გადანაცვლების ალტერნატიულ მეთოდებს. უფრო მეტიც, ბავშვთა მიმართ ძალადობა შეიძლება უკავშირდებოდეს იმას, რომ ოჯახში თავად დედებიც განიცდიან ძალადობას. 2010 წელს ჩატარებულმა „საქართველოში ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნულმა კვლევამ“ აჩვენა, რომ თითქმის ყოველი მეათე გათხოვილი ქალი ფიზიკურ ძალადობას განიცდის და ამ ქალების 34,7% სისტემატურად იღებს ფიზიკურ დაზიანებებს. კვლევის შედეგების საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა უფრო გავრცელებულია, ვიდრე სექსუალური და ეკონომიკური.¹⁰ ასეთი მოპყრობა ზემოქმედებას ახდენს არა მარტო ქალებზე, არამედ ასეთ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვებზეც.

ცხრილი 3. ფიზიკური დასჯის პრაქტიკის გამოყენება ქალებისა და კაცების მიერ

| სქესი | ხშირად იყენებს ფიზიკურ დასჯას | ზოგჯერ იყენებს ფიზიკურ დასჯას | არასდროს იყენებს ფიზიკურ დასჯას |
|-------|-------------------------------|-------------------------------|---------------------------------|
| ქალი | 0.2% | 30% | 70% |
| კაცი | 0.0% | 17% | 83% |
| სულ | 0.1% | 24% | 76% |

როდესაც ალფა დონე უდრის .01, რესპოდენტის სქესი ერთერთი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ფაქტორია იყო $F(1.77, 5833.51)=22.8704 P=0.0000$

პირის განათლების დონე პირდაპირ არის დაკავშირებული მის შეხედულებასთან ფიზიკური ძალადობის, როგორც დასჯის ფორმის მიმართ; რაც უფრო მაღალია ადამიანის განათლების დონე, მით უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ მან დასჯის ფორმად დასაშვებად მიიჩნიოს ფიზიკური ძალადობის გამოყენება.

ცხრილი 4. მიღებული განათლების დონე და დამოკიდებულება ფიზიკური დასჯის მიმართ

| | მიღებული განათლება | | | | | |
|---|--------------------|---------|----------------------|--------------|-------------|------|
| | არასრული საშუალო | საშუალო | ნაწილობრივი უმაღლესი | ბაკალავრიატი | ასპირანტურა | სულ |
| პოზიტიური დამოკიდებულება ფიზიკური დასჯის მიმართ | 66% | 50% | 44% | 38% | 36% | 45% |
| ნეგატიური დამოკიდებულება ფიზიკური დასჯის მიმართ | 34% | 50% | 56% | 62% | 64% | 55% |
| სულ | 100% | 100% | 100% | 100% | 100% | 100% |

როდესაც ალფა დონე უდრის .01, განათლების ეფექტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $F(3.88, 12801.31)=9.3787P=0.0000$


¹⁰ „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში“, თბილისი, 2010. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000757/kalta.pdf>

ოჯახში აღზრდის არაძალადობრივი მეთოდები და მშობელთა ავტორიტეტი


იმისთვის, რომ გაგვეჩვენა, თუ როგორია საზოგადოების დამოკიდებულება ოჯახში აღზრდის არაძალადობრივი მეთოდების მიმართ, რესპონდენტებს მთელი რიგი კითხვები დავუსვით. კითხვებს შორის იყო: რამდენად დასაშვებია, რომ ბავშვებს მშობლების ემინოდეთ, უწყობს თუ არა ხელს მკაცრი აღზრდის მეთოდი ბავშვის ხასიათის გაძლიერებას და ცხოვრებისათვის მომზადებას, რა შემთხვევაში სწავლობს ბავშვი უკეთ – ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯით თუ დადებითი მაგალითით?

შედეგები გამოგნებელი და შემაშფოთებელი აღმოჩნდა. საზოგადოების 60% ფიქრობს, რომ ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდები. სტატისტიკურად ეს მაჩვენებელი განსხვავებული აღმოჩნდა კაცებსა და ქალებში. რეგიონების მიხედვით, აჭარასა (70%) და სამცხე-ჯავახეთში (69%) ყველაზე მაღალია მკაცრი აღზრდის მომხრეთა რიცხვი.

გრაფიკი 6. სხვადასხვა რეგიონში არსებული დამოკიდებულება მშობელთა მიერ ბავშვის აღზრდის მეთოდების მიმართ




გრაფიკი 7. სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებში არსებული დამოკიდებულება მშობელთა მიერ ბავშვის აღზრდის არაძალადობრივი მეთოდების მიმართ



საქართველოში საკმაოდ ძლიერია პირადი ცხოვრების პატივისცემა და რწმენა, რომ ოჯახის შიდა საქმეებში ჩარევა არ შეიძლება. საზოგადოების 63% აღნიშნავს, რომ ბავშვი თავის მშობლებს ეკუთვნის და მხოლოდ მათ შეუძლიათ ბავშვთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღება. ამ მოსაზრების მხარდამჭერთაგან ნახევარი მიიჩნევს, რომ ბავშვი ოჯახში უნდა დარჩეს მაშინაც კი, როდესაც ოჯახში ძალადობას აქვს ადგილი. რეგიონების მიხედვით მაჩვენებლებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები დაფიქსირდა. დედაქალაქში მოსახლეობის 69% ფიქრობს, რომ ბავშვთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღება მხოლოდ მშობლებს შეუძლიათ. მაჩვენებელი ყველაზე დაბალია მცხეთა-მთიანეთსა (44%) და შიდა ქართლში (37%). ზოგადი ტენდენციის მიხედვით, ამ მოსაზრების მხარდამჭერთა რიცხვი რეგიონებში უფრო დაბალია, ვიდრე თბილისში. ასეთი ტენდენცია ნაწილობრივ იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ საქართველოს რეგიონებში ფართო ოჯახური კავშირები და მეზობლებთან ურთიერთობები უფრო ძლიერია, ვიდრე თბილისში.


გრაფიკი 8. მოსახლეობის შეხედულებები, თუ ვინ უნდა მიიღოს ბავშვებთან დაკავშირებული გადანყვეტილებები (რეგიონების მიხედვით)



ბავშვთა მიმართ ფიზიკური ძალადობა - ხედავს თუ არა საზოგადოება პრობლემის არსებობას?

მართალია, ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ დასაშვებია ოჯახში ბავშვის აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება და რომ ძალადობის შემთხვევაშიც კი არ არის მიზანშეწონილი ოჯახის შიდა საქმეებში ჩარევა, მაგრამ საქართველოში გავრცელებული საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, ფიზიკური ძალადობა წარმოადგენს პრობლემას, რომელიც უნდა გადაიჭრას.

გრაფიკი 9. ფიზიკური ძალადობის, როგორც პრობლემის აღქმა საქართველოში



24

მოსახლეობის 82% ფიქრობს, რომ საქართველოში ფიზიკური ძალადობა პრობლემას წარმოადგენს და თითქმის 40% თვლის, რომ ეს სერიოზული პრობლემაა. ეს ეწინააღმდეგება საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ ტოლერანტულ დამოკიდებულებას ფიზიკური სასჯელის, როგორც დისციპლინური მეთოდის მიმართ, თუმცა დასტურია იმისა, რომ ასეთი პრაქტიკის შეცვლის ნება არსებობს.

საქართველოს მოსახლეობის 29% მიიჩნევს, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე ბავშვთა მიმართ ძალადობა მზარდ პრობლემად იქცა. ეს მონაცემები განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. ამ მოსაზრებას ეთანხმება შიდა ქართლის მოსახლეობის 61%, რაც ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. მომდევნო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მიღებულ იქნა თბილისსა (37%) და რაჭა-ქვემო სვანეთის რაიონში (35%).

ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობისა და ბავშვთა უგულბელყოფის მიმართ საზოგადოებაში გავრცელებული დამოკიდებულება და აღქმა


ძირითადი მიზნეპები

- მართალია, მოსახლეობის უმეტესობას (94%) ესმის, რომ ბავშვისთვის საზიანოა, თუ ის ოჯახში ძალადობის მომსწრეა, მაგრამ 91% ოჯახის „შიდა საქმეებში“ გარეშე პირთა ჩარევის წინააღმდეგია.
- საქართველოს მოსახლეობის 75% მიიჩნევს, რომ ბავშვთა მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა ქვეყანაში პრობლემას წარმოადგენს.
- საქართველოს მოსახლეობის თითქმის 80% ფიქრობს, რომ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა ქვეყანაში პრობლემას წარმოადგენს. მათგან ყოველი მესამე ამას სერიოზულ პრობლემად მიიჩნევს.
- საქართველოს მოსახლეობის 42%-ის აზრით, ყველაზე დიდი ალბათობით, ბავშვზე შესაძლო სექსუალურ ძალადობაში „ექვმიტანილები“ არიან უცხო პირები, ხოლო მეორე ადგილზე არიან ოჯახის მეგობრები და ნაცნობები (35%).
- რესპონდენტების თითქმის 30%-ს სჯერა, რომ ზოგჯერ ქალები თვალს ხუჭავენ, როდესაც მათი პარტნიორები სექსუალურ კონტაქტს ამყარებენ მათ ბავშვებთან.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება კარგად ერკვევა ფიზიკური ძალადობის საკითხებში, სექსუალური ძალადობა და ბავშვის ინტერესების უგულბელყოფა ხშირად ტაბუდადებული ან ნაკლებად გაცნობიერებული თემებია. ძალადობის ამ ფორმებთან მიმართებით საზოგადოების ინფორმირების და აღქმის გააგება მნიშვნელოვანია, რადგან ხშირად ჯეროვნად არ არის შეფასებული მათი გავრცელება და ბავშვებზე ზემოქმედება.

მოსახლეობის 76% მიიჩნევს, რომ ბავშვთა ინტერესების უგულბელყოფა საქართველოში წარმოადგენს პრობლემას. ბავშვთა ინტერესების უგულბელყოფას ქალები მეტი ალბათობით აღიქვამენ პრობლემად, ვიდრე კაცები (კითხვარში მოცემული იყო ბავშვთა ინტერესების უგულბელყოფის მაგალითები: არ უტარდებათ რეგულარული სამედიცინო შემოწმება, დარღვეულია შიგინის წესები, უყურადღებობაა ბავშვის ჩაცმულობის მიმართ, ბავშვს ხშირად ოჯახური მიზეზების გამო არ უშვებენ სკოლაში). ინტერვიუების დროს მოსახლეობის 79%-მა სწორად ამოიცნო ბავშვის ინტერესების უგულბელყოფის ყველა ფორმა. განსხვავებები არ დაფიქსირდა არც ქალებისა და კაცების მაჩვენებლებს შორის და არც სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის მაჩვენებლებს შორის; თუმცა ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში ცოდნის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად უფრო დაბალი აღმოჩნდა დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით: აზერბაიჯანულ მოსახლეობაში – 42%, ხოლო სომხურ მოსახლეობაში – 31%.

გრაფიკი 10. ბავშვთა უგულველყოფის სხვადასხვა ფორმის შესახებ არსებული ცოდნა (ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით)



საქართველოს მოსახლეობის 75% მიიჩნევს, რომ ბავშვთა მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა საქართველოში წარმოადგენს პრობლემას. ამავე დროს, მოსახლეობის 64%—მა სწორად ვერ ამოიცნო ფსიქოლოგიური ძალადობის ყველა ფორმა. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმეტესობას (94%) ესმის, რომ ბავშვისთვის საზიანოა, თუ ის ოჯახში ძალადობის მომსწრეა, უმრავლესობა (91%) ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში უმოქმედობა დასაშვებია. ეს შეიძლება გამომწვეული იყოს იმით, რომ ოჯახის შიდა საკმეებში ჩაურევლობა ნორმალურ პრაქტიკად ითვლება. უფრო მეტიც, ხშირად „პროფესიონალები“¹¹ კი უმოქმედობას იჩენენ ბავშვზე ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებში. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ რესპონდენტების ნახევარზე მეტმა სწორად ამოიცნო ფსიქოლოგიური ძალადობა და მის მნიშვნელობას ფართო საზოგადოება სწორად აფასებს. თუმცა ხშირ შემთხვევაში არც საზოგადოება და არც „პროფესიონალები“ არ რეაგირებენ ადეკვატურად ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებზე.


ცხრილი 5. საზოგადოების აზრი: ვინ უნდა ჩაერიოს ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში

| ჩაურევლობა | ჩარევა დასაშვებია მხოლოდ ზოგიერთ სიტუაციაში | | ჩარევა დასაშვებია ყველა ტიპის სიტუაციაში | | | |
|---------------------|---|----------------|--|----------------|-----|-----|
| | საზოგადოება | პროფესიონალები | საზოგადოება | პროფესიონალები | | |
| სკოლა | 77% | 66% | 17% | 19% | 6% | 15% |
| სოციალური სამსახური | 72% | 52% | 18% | 26% | 10% | 22% |
| პოლიცია | 90% | 79% | 9% | 16% | 1% | 5% |

საქართველოში მოსახლეობის 84%—მა ვერ შეძლო სექსუალური ძალადობის ყველა ფორმის სწორად ამოცნობა. თითქმის 80% მიიჩნევს, რომ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა ქვეყანაში პრობლემას წარმოადგენს. მათგან ყოველი მესამე ამ პრობლემას სერიოზულად მიიჩნევს.

¹¹ როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენს კვლევაში ტერმინი „პროფესიონალები“ მოიცავს სკოლის მასწავლებლებს, მანდატურებს და სოციალურ მუშაკებს.


გრაფიკი 11. საზოგადოებრივი აზრი საქართველოში სექსუალური ძალადობის მასშტაბების შესახებ (რეგიონების მიხედვით)



საქართველოს მოსახლეობის 42%-ის აზრით, ყველაზე დიდი ალბათობით, ბავშვზე შესაძლო სექსუალურ ძალადობაში „ექვმიტანილი“ არიან უცხო პირები, ხოლო მეორე ადგილზე დგანან ოჯახის მეგობრები და ნაცნობები (35%). მშობლების მხრიდან ასეთი ძალადობის შესაძლებლობა დაუშვა 5%-მა, ხოლო ოჯახის სხვა წევრების მხრიდან – 10%-მა.

ეს შეხედულება მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება საერთაშორისო ფაქტობრივ მონაცემებს იმის შესახებ, თუ ვინ არიან ყველაზე ხშირად ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები. გლობალურად მოძალადეები, როგორც წესი, ბავშვს იცნობენ: შემთხვევების დაახლოებით 30% ისინი ბავშვის ნათესავები არიან – ყველაზე ხშირად ძმები, მამები, ბიძები ან ბიძაშვილ-მამიდაშვილები; შემთხვევების დაახლოებით 60% ასეთ დანაშაულს ჩადიან სხვა ნაცნობი პირები – ოჯახის მეგობრები, ბავშვის მომვლელი ან მეზობლები; ბავშვებზე სექსუალური ძალადობის შემთხვევაში უცხო პირები მხოლოდ დამნაშავეთა დაახლოებით 10%-ია.¹² საქართველოში მოსახლეობა შესაძლო დამნაშავეებად ასახელებს ოჯახის მეგობრებს და ნაცნობებს, ფაქტობრივად საერთოდ არ აღიარებს, რომ ასეთი რამ შეიძლება ჩაიდინოს ოჯახის წევრმა, ხოლო „უცხო პირების“ როლი უკიდურესად გადაჭარბებულია.

გრაფიკი 12. საზოგადოებრივი აზრი შესაძლო მოძალადეების შესახებ



ამასთან, რესპონდენტების (როგორც ქალების, ისე კაცების) თითქმის 30% მიიჩნევს, რომ ზოგჯერ ქალები თვალს ხუჭავენ, როცა მათი პარტნიორები სექსუალურად ძალადობენ ბავშვებზე ოჯახში. „საქართველოში ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევის“ შედეგების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ქალების 78.3% ოჯახს „საიდუმლო ადგილად“ მიიჩნევს, რომლის

¹² Julia Whealin, Ph.D. (2007-05-22). "Child Sexual Abuse". National Center for Post Traumatic Stress Disorder, US Department of Veterans Affairs

შიგნითაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ეს არ უნდა გავიდეს ოჯახის გარეთ და არ უნდა გახდეს საზოგადოების მსჯელობის საგანი. კვლევამ აჩვენა, რომ ასეთი აღქმა ერთ-ერთი მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია ოჯახური ძალადობის აღმოფხვრის გზაზე.¹³

საზოგადოების დამოკიდებულება მოძალადეთა მიმართ

ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა სახის ძალადობასთან გვაქვს საქმე. მოსახლეობის 85% მიიჩნევს, რომ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირების მიმართ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. ძალადობის სხვა ფორმის შემთხვევაში, როგორცაა, მაგალითად, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა და უგულბებლყოფა, უპირატესობა ენიჭება ძალადობის ჩამდენ პირთა რეაბილიტაციას/სამედიცინო მკურნალობას. ეს შედეგები ემთხვევა კვლევის სხვა შედეგებს, რომ, მაგალითად, საზოგადოება ძალადობის ყველა ფორმას ერთნაირად სერიოზულ დანაშაულად არ მიიჩნევს. აშკარაა, რომ სექსუალური ძალადობა უფრო სერიოზულ კრიმინალურ დანაშაულად ითვლება, ვიდრე ბავშვთა მიმართ ჩადენილი სხვა სახის ძალადობა.

ცხრილი 6. საზოგადოებრივი აზრი სხვადასხვა ფორმის ძალადობის ჩამდენ პირთა წინააღმდეგ საჭირო სანქციების შესახებ

| | ფიზიკური ძალადობა | ფსიქოლოგიური ძალადობა | სექსუალური ძალადობა | ბავშვის უგულბებლყოფა |
|----------------------------|-------------------|-----------------------|---------------------|----------------------|
| სასამართლო გარჩევა | 36% | 17% | 85% | 17% |
| რეაბილიტაცია | 63% | 67% | 44% | 64% |
| მშობლის უფლების ჩამორთმევა | 53% | 51% | 59% | 53% |

¹³ „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში“, თბილისი, 2010. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000757/kalta.pdf>

ჩარევა – ვინ და როდის უნდა ჩაერიოს ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში?

ძირითადი მიზნობები

- ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შემთხვევაში მოსახლეობის 70% და 78% (შესაბამისად) საჭიროდ მიიჩნევენ პოლიციის ჩარევას.
- ბავშვის უგულბელყოფის შემთხვევაში მოსახლეობის თითქმის 60% საჭიროდ მიიჩნევენ სოციალური სამსახურების ჩარევას.
- კითხვაზე, „როგორ იმოქმედებთ ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტის აღმოჩენისას“, 70%-მა განაცხადა, რომ უშუალოდ ბავშვის მშობლებს დაელაპარაკებიან.
- რესპონდენტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა, განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში (45%), შიდა ქართლში (34%), თბილისსა (33%) და ქვემო ქართლში (30%), განაცხადა, რომ ისინი ოჯახის შიდა საქმეებში არ ჩაერევიან.
- მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის თითქმის 97%-ის აზრით ბავშვზე ძალადობის ფაქტებზე რეაგირება ვიღაცამ აუცილებლად უნდა მოახდინოს, რესპონდენტების თითქმის ნახევარი, პროფესიონალების ჩათვლით, მიიჩნევენ, რომ ეს არ უნდა იყოს სკოლა ან სოციალური სამსახურები.
- ანალიზი გვიჩვენებს, რომ შანსი იმისა, რომ ვიღაცა რეაგირებას მოახდენს ბავშვზე ძალადობის ფაქტზე, 80 პროცენტამდე იზრდება, თუ მას ეცოდინება, ვის უნდა მიმართოს. ბავშვზე ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში სწორი მოქმედებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა გადამწყვეტი ფაქტორია, რომელიც ზრდის პოლიციისა და სოციალური სამსახურებისთვის შეტყობინების ალბათობას.
- პოლიციის, სოციალური სამსახურების და სკოლის როლის ცოდნა და მათ მიმართ ნდობა ბავშვზე ძალადობის შესახებ შეტყობინების ალბათობას ზრდის.
- ოჯახში აღზრდის სასტიკი მეთოდების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება პოლიციისა და სოციალური სამსახურებისთვის ბავშვზე ძალადობის ფაქტების შეტყობინების ალბათობას ზრდის.

ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიკაცია შეიძლება რთული აღმოჩნდეს, ვინაიდან „ძალადობის ერთი ნიშნის არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ბავშვი ოჯახში ძალადობას განიცდის, თუმცა ამ შემთხვევაში შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს სიტუაციაზე უფრო დეტალური დაკვირვება, თუ ასეთი ნიშნები რეგულარულად ან სხვა ნიშნებთან კომბინაციაში ჩნდება“.¹⁴

კითხვაზე, თუ როგორ იმოქმედებენ, თუ დარწმუნებული იქნებიან, რომ ოჯახში ბავშვი ძალადობის/უგულბელყოფის მსხვერპლია, რესპონდენტების 97%-მა განაცხადა, რომ რაიმე ზომებს მიიღებენ. კვლევის დროს შესწავლილ იქნა რესპონდენტთა ცოდნა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა მოახდინოს რეაგირება ბავშვის მიმართ შესაძლო ძალადობის სიმპტომების გამოვლენისას.

ფიზიკური ძალადობის¹⁵ შემთხვევაში მოსახლეობის 70%-მა განაცხადა, რომ ზოგჯერ ან ყოველთვის რეაგირება უნდა მოახდინოს პოლიციამ, ხოლო რესპონდენტების 65% ფიქრობს, რომ საქმე აგრეთვე უნდა გადაეცეს სასამართლოს სამართლებრივი ზომების მისაღებად. იმის მიუხედავად, რომ მოსახლეობის თითქმის 97% რეაგირებას აუცილებლად მიიჩნევენ, რესპონდენტების თითქმის ნახევარი (პროფესიონალებიც კი) ფიქრობს, რომ ეს არ არის სკოლების და სოციალური სამსახურების საქმე.

¹⁴ <http://www.childwelfare.gov/pubs/factsheets/signs.cfm>

¹⁵ ბავშვს ეტყობა ცემის ან დაბმის ნიშნები და/ან დაჟეჟილობა/სისხლჩაქცევები.

ცხრილი 7. საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იმოქმედოს ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში

| | ჩაურევლობა | | ჩარევა მხოლოდ ზოგ სიტუაციაში | | ჩარევა ყველა სიტუაციაში | |
|-----------------------|-------------|----------------|------------------------------|----------------|-------------------------|----------------|
| | საზოგადოება | პროფესიონალები | საზოგადოება | პროფესიონალები | საზოგადოება | პროფესიონალები |
| სკოლა | 50% | 28% | 45% | 61% | 5% | 11% |
| სოციალური სამსახურები | 48% | 32% | 46% | 47% | 6% | 21% |
| პოლიცია | 30% | 19% | 66% | 73% | 4% | 18% |

სექსუალური ძალადობის¹⁶ შემთხვევაში მოსახლეობის 78% ფიქრობს, რომ რეაგირება უნდა მოახდინოს პოლიციამ და 85% თვლის, რომ მოძალადე უნდა დაისაჯოს კანონით. ამის მიუხედავად, მოსახლეობა საჭიროდ არ მიიჩნევს სხვა პროფესიონალების ჩარევას, რომლებიც ხშირად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სექსუალური ძალადობის შემთხვევების გამოვლენის, რეფერირების და შემდგომი მოქმედებების დროს. მოსახლეობის 59% ფიქრობს, რომ სოციალური სამსახურების ჩარევა საჭირო არ არის, ხოლო თითქმის 80% – რომ სკოლების ჩარევა არ არის საჭირო.

ცხრილი 8. საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იმოქმედოს სექსუალური ძალადობის შემთხვევაში

| | ჩაურევლობა | | ჩარევა ყველა სიტუაციაში | |
|-----------------------|-------------|----------------|-------------------------|----------------|
| | საზოგადოება | პროფესიონალები | საზოგადოება | პროფესიონალები |
| სკოლა | 76% | 63% | 24% | 37% |
| სოციალური სამსახურები | 59% | 44% | 41% | 56% |
| პოლიცია | 22% | 20% | 78% | 80% |

ბავშვის უგულებელყოფის¹⁷ შემთხვევაში მოსახლეობის თითქმის 60% ფიქრობს, რომ რეაგირება ზოგჯერ ან ყოველთვის უნდა მოახდინონ სოციალურმა სამსახურებმა. მოსახლეობის თითქმის 70% დარწმუნებულია, რომ პოლიციის ჩარევა საჭირო არ არის და 50%-ზე მეტი მიიჩნევს, რომ სკოლის ჩარევა არ არის საჭირო. აღმოჩნდა, რომ ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა ყველაზე მეტად იყო პროფესიონალების რაიმე სახით ჩარევის წინააღმდეგი: 63% და 61% დარწმუნებულია, რომ ბავშვის ინტერესების უგულებელყოფის დროს სოციალური სამსახურებისა და სკოლის (შესაბამისად) ჩარევა არ არის მიზანშეწონილი. ბავშვის ინტერესების უგულებელყოფის შემთხვევაში საზოგადოება ყველაზე საჭიროდ მიიჩნევს სოციალური სამსახურების ჩარევას და ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს სხვა სამსახურებს. ამის მიუხედავად აღსანიშნავია, რომ სოციალური სამსახურების ჩარევის 60%-იანი მხარდაჭერა მაღალი მაჩვენებელი არ არის და იმის გათვალისწინებით, რომ პოლიციისა და სკოლის ჩარევას მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი უჭერს მხარს, ბავშვების ინტერესების უგულებელყოფის შემთხვევები შეიძლება ხშირად უყურადღებოდ დარჩეს, განსაკუთრებით – ეთნიკურ უმცირესობებთან.

ცხრილი 9. საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იმოქმედოს ბავშვის უგულებელყოფის შემთხვევაში

| | ჩაურევლობა | | ჩარევა მხოლოდ ზოგ სიტუაციაში | | ჩარევა ყველა სიტუაციაში | |
|-----------------------|-------------|----------------|------------------------------|----------------|-------------------------|----------------|
| | საზოგადოება | პროფესიონალები | საზოგადოება | პროფესიონალები | საზოგადოება | პროფესიონალები |
| სკოლა | 51% | 36% | 46% | 55% | 3% | 9% |
| სოციალური სამსახურები | 41% | 23% | 55% | 64% | 4% | 13% |
| პოლიცია | 69% | 51% | 31% | 48% | 0% | 1% |

¹⁶ ზრდასრული პირის მიერ ბავშვთან სექსუალური ხასიათის შეხება, არასრულწლოვნის იძულება აჩვენოს საკუთრი გენიტალური ორგანოები და 16 წლამდე ასაკის პირთან სექსობრივი კავშირის დამყარება ძალადობით.


¹⁷ როცა ბავშვი რეგულარულად არის მშვიერი, დაუბანელი, მთელ დღეს ქუჩაში ატარებს, მათხოვრობს და/ან იძულებულ მოუაროს და-ძმას (თვალყური ადევნოს, საჭმელი მოუზადოს და აჭამოს, ტანსაცმელი გარეცხოს და ა.შ.).

როდესაც საქმე ეხება რეაგირების პირად პასუხისმგებლობას, საზოგადოების დიდ ნაწილს არ ესმის, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ძალადობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში. მოსახლეობის 20%–მა არ იცის, რა უნდა გააკეთოს და ვის მიმართოს, თუ გაიგო, რომ ბავშვის მიმართ ძალადობას აქვს ადგილი. მოსახლეობის 38% მეტ-ნაკლებად გარკვეულია, როგორ უნდა იმოქმედოს, ხოლო 3%–მა განაცხადა, რომ საერთოდ არაფერს მოიმოქმედებს.

იმ რესპონდენტებს შორის, რომლებმაც იციან, როგორი უნდა იყოს მათი რეაგირება, 70%–მა განაცხადა, რომ უშუალოდ დაელაპარაკებიან მშობლებს და არა პროფესიონალებს (მასწავლებლებს, სოციალურ სამსახურს ან პოლიციას). რაც შეეხება სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის პასუხებს შორის არსებულ განსხვავებებს, სოფლებსა და პატარა ქალაქებში მცხოვრები რესპონდენტების გაცილებით უფრო დიდი ნაწილი აცხადებს, რომ ძალადობის შემთხვევაში უშუალოდ მშობლებს დაელაპარაკება (74%), ვიდრე ქალაქში მცხოვრები რესპონდენტებისა (55%). მოსახლეობის 20%–ზე ნაკლებმა განაცხადა, რომ ისინი შეატყობინებენ სკოლას და მხოლოდ 30%–მა თქვა, რომ დაუკავშირდება სოციალურ სამსახურებს. ეს ნიშნავს, რომ სოფლებსა და პატარა რაიონულ ქალაქებში მცხოვრები პირები დაელაპარაკებიან ძალადობის ჩამდენ მშობლებს და არ მიმართავენ პროფესიონალების დახმარებას. დედაქალაქსა და დიდ ქალაქებში კი ძალადობის ფაქტები შეიძლება ყოველგვარი რეაგირების გარეშე დარჩეს, რადგანაც მოძალადე მშობლებთან საუბარს ბევრი თავს აარიდებს, პროფესიონალებისათვის შეტყობინების დონე კი ძალიან დაბალია.

რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი აცხადებს, რომ მათთვის ოჯახის შიდა საქმეებში ჩარევა უხერხულია მაშინაც კი, როცა ბავშვზე ძალადობას აქვს ადგილი. იმ რესპონდენტების რიცხვი, რომლებიც არ ჩაერევიან სხვების საქმეებში, ყველაზე მაღალი იყო სამცხე-ჯავახეთში (45%), შემდეგ – შიდა ქართლში (34%), თბილისსა (33%) და ქვემო ქართლში (30%).

გრაფიკი 13. საზოგადოებრივი აზრი სხვა ოჯახის საქმეებში ჩარევის შესახებ (რეგიონების მიხედვით)



თბილისის მოსახლეობის თითქმის ნახევარი და შიდა ქართლის მოსახლეობის 64% აღნიშნავს, რომ იმისთვის, რომ ძალადობის ფაქტის შესახებ შესაბამის ორგანოებს შეატყობინონ, უნდა ჰქონდეთ დამატებითი დაზუსტებული ინფორმაცია ძალადობის სიხშირისა და სისასტიკის შესახებ.

რაც შეეხება ეთნიკურ უმცირესობებს, აღმოჩნდა, რომ სომეხი რესპონდენტები ნაკლები ალბათობით დაელაპარაკებოდნენ ბავშვის მშობლებს და ორჯერ ნაკლები ალბათობით – სოციალურ სამსახურებს და სკოლას, ვიდრე სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები.

პოლიციისათვის შეტყობინების ალბათობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია რეაგირების ზომების შესახებ საზოგადოებაში არსებული ცოდნა – ის ალბათობას 2,5–ჯერ ზრდის. ის რესპონდენტები, რომლებიც ოჯახში არაძალადობრივი აღზრდის მეთოდების მომხრეები არიან, 47% მეტი ალბათობით შეატყობინებენ პოლიციას ძალადობის ფაქტის შესახებ. რწმენა, რომ ბავშვების პრობლემებთან დაკავშირებით პოლიციის ნდობა შესაძლებელია, პოლიციის ინფორმირების ალბათობას თითქმის 40%–ით ზრდის. ამის საპირისპიროდ, რესპონდენტები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეკლესია/რელიგიურ დანებს უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, სხვა რესპონდენტებთან შედარებით 30%–ით ნაკლები ალბათობით მიანოდებენ ინფორმაციას პოლიციას. სოფლის მოსახლეობა 20%–ით ნაკლები ალბათობით ჩარევს პოლიციას ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში. რეგრესიის ანალიზმა აჩვენა, რომ უმაღლესი განათლების და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები სხვებთან შედარებით ნაკლები

ალბათობით მიმართავენ პოლიციას (შესაბამისად, 20% და 40%—ით ნაკლები). უმაღლესი განათლების მქონე პირები 30%—ით ნაკლები ალბათობით მიმართავენ სოციალურ მუშაკებს. ეს შედეგები მოწმობს, რომ ძალადობის მიმართ ტოლერანტობასა და განათლების დონეს შორის ნეგატიური კორელაციის მიუხედავად, ძალადობის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ პირი რეაგირებას მოახდენს შესაძლო ძალადობის შემთხვევებზე. აქედან გამომდინარე, ამ სამიზნე ჯგუფთან მიმართებით აუცილებელია სხვა საზომი პარამეტრების გამოყენება (უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხ. დანართი 4, ცხრილი 10: **ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში პოლიციის ჩართვის ალბათობა**).

მსგავსი შედეგები გამოვლინდა სოციალური მუშაკებისათვის მიმართვის ანალიზის დროსაც. ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტ როლს თამაშობს საჭირო ზომების ცოდნა. თუ ადამიანი ფიქრობს, რომ ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში სოციალური მუშაკების ჩართვა აუცილებელია, სოციალური მუშაკებისათვის მიმართვის ალბათობა 30%—ით იზრდება. ის პირები, ვინც ფიზიკურ დასჯას დაუშვებელ დისციპლინურ ზომად მიიჩნევენ, 35% მეტი ალბათობით მიმართავენ სოციალურ მუშაკებს.

საინტერესოა, რომ ინფორმაციის მიწოდების ალბათობა 12%—ით უფრო მაღალია, თუ ადამიანები მიიჩნევენ, რომ ფიზიკური ძალადობის შემთხვევებზე პოლიციამ უნდა იმუშაოს და 32%—ით უფრო მაღალია, თუ მათ სჯერათ, რომ ძალადობისა და უგულვებლყოფის მსხვერპლი ბავშვების დახმარება საავადმყოფოს შეუძლია. ეს შედეგები შეიძლება მიანიშნებდეს, რომ საზოგადოება სათანადოდ აკავშირებს ბავშვების მიმართ ძალადობის შემთხვევაში სოციალური მუშაკების, პოლიციის და მედიცინის მუშაკების მიერ შესასრულებელ სამუშაოს; თუმცა ეს ცოდნა და კავშირები კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს.

პოლიციის შემთხვევის მსგავსად, რწმენა, რომ ძალადობისა და უგულვებლყოფის მსხვერპლი ბავშვების დახმარება ეკლესიას ეკისრება, მნიშვნელოვნად ამცირებს სოციალური მუშაკებისათვის ინფორმაციის მიწოდების ალბათობას (უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხ. დანართი 4, ცხრილი 11: **ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში სოციალური მუშაკების /სოციალური სამსახურები ჩართვის ალბათობა**).

სკოლისთვის ინფორმაციის მიწოდების ალბათობა იზრდება, თუ პირი ფიზიკურ დასჯას არ მიიჩნევს დასაშვებ დისციპლინურ ინსტრუმენტად; ეს შედეგები სოციალური სამსახურების და პოლიციისთვის ინფორმაციის მიწოდების მოდელში მოცემული შედეგების მსგავსია. როგორც სხვა შედეგებმაც აჩვენა, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის საპასუხოდ სკოლის როლის აღიარება ზრდის ინფორმაციის მიწოდების ალბათობას.

აღმოჩნდა, რომ ბავშვთა ინტერესების უგულვებლყოფის ნიშნებისა და საჭირო ქმედებების ცოდნა ამცირებს სკოლის ჩარევის ალბათობას. ამასთან, თუ პირი მიიჩნევს, რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვი უნდა იღებდეს დახმარებას ეკლესიისგან/რელიგიური ინსტიტუტებისგან ან სასამართლოსგან, სკოლისთვის ინფორმაციის მიწოდება მცირდება დაახლოებით 30%—ით. ეს შედეგები შეიძლება განპირობებული იყოს საქართველოში სკოლების განვითარებადი და ჯერ კიდევ ბუნდოვანი სოციალური ფუნქციებით. შესაძლოა დისკუსია გამოიწვიოს იმ საკითხმა, რომ ძალადობასთან დაკავშირებით გაცილებით სანდოდ მიიჩნევა რელიგიური ინსტიტუტები, ვიდრე სკოლა, ხოლო სასამართლოსთვის საყურდლებო შემთხვევები ჰგონიათ გაცილებით მწვავედ საიმისოდ, რომ სკოლამ მოაგვაროს. შედეგები მიუთითებს, რომ აუცილებელია გაძლიერდეს სკოლის ფუნქცია ძალადობასთან დაკავშირებით, ხოლო საზოგადოებამ უფრო მეტი გაიგოს იმ კონკრეტული გზების შესახებ, რითაც სკოლის პერსონალს შეუძლია წვლილის შეტანა ბავშვების მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიკაციაში (უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხ. დანართი 4, ცხრილი 12: **სკოლის ჩარევის ალბათობა ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევების საპასუხოდ**).

14-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდების შეხედულებები

მოზარდებთან გაართული საბავშვო რეგიონული ჯგუფური დისკუსიის ძირითადი შედეგები

- მოზარდებს გარკვეული წარმოდგენა აქვთ ძალადობის ნიშნების და ფორმების შესახებ. მათ სჯერათ, რომ გოგონები შეიძლება უფრო მეტად გახდნენ ძალადობის მსხვერპლი.
- ზრდასრული ადამიანებისგან განსხვავებით, მოზარდები მიიჩნევენ, რომ ყველაზე მეტად სავარაუდო მოძალადე ბავშვებზე არის მშობელი. მოზარდებმა ზრდასრულების მსგავსი დამოკიდებულება გამოხატეს მოძალადის მიმართ: სადამსჯელო ღონისძიებებთან ერთად აუცილებლად იქნა მიჩნეული სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება.
- კითხვაზე, თუ როგორ ჩაერეოდნენ ისინი ბავშვებზე ძალადობის იდენტიფიცირებულ ან სავარაუდო შემთხვევებში, მოზარდებმა უპასუხეს, რომ ისინი დაეხმარებოდნენ ერთმანეთს ან ჩარევდნენ ნათესავეებს. არავის უპასუხია – „არაფერს გავაკეთებდი“ ძალადობის ფაქტების ნახვის შემთხვევაში.
- მოზარდებს სჯერათ, რომ ნდობა სათანადო სახელმწიფო სამსახურების მიმართ წარმოადგენს წინაპირობას შესაბამისი ორგანიზაციისთვის მისამართად დახმარების საჭიროების შემთხვევაში.
- მოზარდები ისევე, როგორც ზრდასრული ადამიანები, მკაფიოდ ვერ ხედავენ სკოლის ან სოციალური სამსახურის როლს, მაგრამ აღიარებენ პოლიციის როლის მნიშვნელობას.

ანგარიშის წინა თავებში წარმოდგენილია საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის ცოდნის, დამოკიდებულების და პრაქტიკის ანალიზი. კვლევის დასრულების შემდეგ ქართველი მოზარდების (14–დან 18 წლამდე) ცოდნის, დამოკიდებულების და პრაქტიკის შესწავლის მიზნით მოზარდებთან გაიმართა ჯგუფური დისკუსიები თბილისში, ქუთაისსა (დასავლეთი საქართველო) და თელავში (აღმოსავლეთი საქართველო). ჯგუფების შემადგენლობა ისე შეირჩა, რომ ყველგან ყოფილიყვნენ წარმოდგენილი სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური ფენების, ეთნიკური წარმოშობისა და შეზღუდული შესაძლებლობების (მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა მოცემულია 1–ლ დანართში) მქონე ბიჭები და გოგონები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ჯგუფური დისკუსიები არ ასახავს მოზარდების შეხედულებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, მაინც იძლევა მნიშვნელოვან წარმოდგენას, თუ როგორ აღიქვამენ მოზარდები ბავშვების მიმართ ძალადობის პრობლემას.

ცოდნა ძალადობის ფორმების შესახებ

კითხვაზე, თუ რა შედის ბავშვების მიმართ ძალადობაში, მოზარდების უმრავლესობამ დაუყოვნებლივ დაასახელა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. ფიზიკური ძალადობის განსხვავებული ტიპები დაასახელა ყველა ჯგუფმა – შედარებით რბილი ფორმებიდან, როგორცაა „ძალისმიერი შეხება“, გაცილებით მძიმე ფორმებამდე, მაგ., „სასტიკი ცემა“. სამივე სადისკუსიო ჯგუფში ბავშვები ფსიქოლოგიურ ძალადობას ხსნიდნენ, როგორც მათი უფლებების ჩამორთმევას და მათი თავისუფლების და თვითგამოხატვის შეზღუდვას. ზოგიერთმა მოზარდმა ძალადობის ფორმად დაასახელა იძულებითი შრომა: სეზონური სამუშაოები, ექსპლოატაცია, იძულებით მათხოვრობა ქუჩაში. ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობა, როგორც ძალადობის ფორმა, დასახელდა მხოლოდ ერთხელ, თელავში.

მსხვერპლი და მოძალადე

ყველაზე უფრო სავარაუდო მსხვერპლად სამივე ჯგუფში დაასახელეს 10–დან 16 წლამდე გოგონები, რადგან ისინი ბიჭებთან შედარებით სუსტები არიან და არ შეუძლიათ საკუთარი თავის დაცვა. მსხვერპლად „სუსტი პიროვნება“ დაასახელეს ბავშვებმა მაშინაც, როცა მათ ჰკითხეს ოჯახური ძალადობის შესახებ. ყველა ჯგუფმა ოჯახური ძალადობა განსაზღვრა, როგორც ოჯახის ძლიერი წევრის ძალადობა ოჯახის სუსტი წევრის მიმართ. ოჯახის ძლიერი წევრი ასოცირდება ოჯახის მამაკაც წევრთან (ხშირად მამა), რომელიც ყველა ჯგუფმა დაასახელა, როგორც ყველაზე სავარაუდო მოძალადე. დედები, როგორც სავარაუდო მოძალადეები, დასახელდნენ ფსიქოლოგიური ძალადობის

კონტექსტში: „დედები ძალადობენ ფსიქოლოგიურად, ხოლო მამები – ფიზიკურად“ (16 წლის ბიჭი თბილისიდან; 15 წლის ბიჭი თელავიდან). მოძალადეებად დაასახელეს თანატოლებიც: „ბავშვები ხშირად დასცინიან კლასელებს, რომლებიც არ არიან კარგად ჩაცმული ან მიეკუთვნებიან დაბალ სოციალურ ფენას...“ (15 წლის გოგონა თელავიდან).

მოზარდებს ასევე ჰკითხეს, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული მოძალადეების მიმართ. პასუხები იყო სხვადასხვა და მოიცავდა სამედიცინო მკურნალობიდან/ფსიქოლოგიური დახმარებიდან დაწყებული მშობლის უფლების შეზღუდვითა და დაპატიმრებით დამთავრებული. „ჩვენ ვერ შევაჩერებთ ძალადობას მოძალადეებზე ძალადობით. ხშირად მოძალადეები თვითონ იყვნენ ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი“ (18 წლის გოგონა ქუთაისიდან).

სად ხდება ძალადობა?

ყველა ბავშვმა მიუთითა სახლზე, როგორც ბავშვების მიმართ გამოვლენილი ძალადობის ყველაზე შესაძლო ადგილზე. სამივე ჯგუფმა ასევე დაასახელა ქუჩა, როგორც რიგით მეორე ყველაზე უფრო ძალადობრივი ადგილი, განსაკუთრებით – ბიჭებისთვის. მაგრამ, „სახლში ძალადობისგან განსხვავებით, ქუჩაში ბავშვს შეუძლია საკუთარი თავის და უფლებების დაცვა. სახლში ბავშვს არ შეუძლია მშობლისთვის წინააღმდეგობის გაწევა“ (17 წლის ბიჭი თბილისიდან). კითხვაზე, აქვს თუ არა ძალადობის ფაქტებს ადგილი სკოლაში, მხოლოდ რამდენიმე მამაცა დადებითი პასუხი. ბავშვებმა განმარტეს, რომ მანდატურები ახორციელებენ მონიტორინგს სკოლაში და მასწავლებლებისაგან ძალზე იშვიათად მოდის ფიზიკური ძალადობა; რომ ძალადობას აქვს მხოლოდ სიტყვიერი დამცირების ან წყევლის ფორმა.

ფიზიკური დასჯა, როგორც ბავშვის აღზრდის ფორმა – მკაცრი და პოზიტიური აღზრდა

„ძალადობა ისევე ძალადობას წარმოშობს“ – 17 წლის ქუთაისელი ბიჭის ეს განცხადება სრულად აღწერს ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილე ყველა ბავშვის პოზიციას. სამივე ქალაქში მოზარდები ლაპარაკობდნენ ძალადობის ციკლურ ბუნებაზე. მონაწილეთა უმრავლესობა აღწერს ძალადობას, როგორც ბავშვის ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის დამაზიანებელ ფაქტორს, ადამიანისა, რომელიც ზრდასრულ ასაკში თავადვე განახორციელებს ძალადობას საკუთარ შვილებზე“. „ძალადობრივ გარემოში გაზრდილი ბავშვი გახდება მკვლელი ან ტირანი“; (16 წლის გოგონა თბილისიდან). მოზარდები მკაფიოდ განასხვავებენ ერთმანეთისგან მკაცრ აღზრდას და ფიზიკურ დასჯას. დისციპლინის გამოუმუშავების მიზნით აღზრდის მისაღები მეთოდები მოიცავს ისეთი საგნების გამოყენების დროებით შეზღუდვას, რომლებიც ბავშვებისთვის განსაკუთრებით საყვარელია (მაგ.: კომპიუტერი, მობილური ტელეფონი და სხვა). ყველა ფიქრობს, რომ ეს მეთოდი არა მარტო მისაღებია, არამედ სასურველიც, გარკვეულ „ფარგლებში“, თუ ეს ბავშვს არ აზიანებს.

ზოგიერთი მოზარდი ლაპარაკობდა ფიზიკური დასჯის დადებითი გავლენის შესახებ: „მე ასეთი კარგი რომ ვარ, ეს იმიტომ, რომ დედა მცემდა ბავშვობაში. ახლა გავიზარდე და მესმის ყველაფერი და დასჯას აღარ ვსაჭიროებ. მე არ ვზრახდები დედაჩემზე; პირიქით – ვფიქრობ, რომ პატარა ბავშვს შეუძლებელია რამე გააგებინო ფიზიკური დასჯის გარეშე“ (17 წლის ბიჭი ქუთაისიდან). „მკაცრი აღზრდა ბავშვს ეხმარება სწორი პრიორიტეტების განსაზღვრაში“ (16 წლის გოგონა თბილისიდან). თელავში პირდაპირ დასმულ კითხვაზე, „გამოიყენებთ თუ არა ფიზიკურ დასჯას თქვენი შვილების მიმართ მომავალში“, 4-მა გოგონამ 11-დან დადებითი პასუხი გასცა.

მოზარდებმა აღწერეს, თუ რა მიაჩნდათ აღზრდის დადებით მეთოდებად:

- ბავშვებისთვის უფლების მიცემა მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას იქონიებს მათ ცხოვრებაზე;
- ბავშვებისთვის ჯიბის ფულის მიცემა ისეთი საგნების შესაძენად, რომლებიც მათ მოსწონთ;
- ბავშვებისთვის თავისუფლების მიცემა ისე, რომ ამან არ დააზიანოს მათი და სხვების უსაფრთხოება.
- ბავშვის მიღწევების აღიარება.
- ბავშვებთან დროის გატარება.

ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინება

კითხვაზე, ვის უნდა მიმართოს ბავშვმა, რომელიც გახდა ძალადობის მსხვერპლი, ახალგაზრდების უმრავლესობამ განაცხადა, რომ ბავშვი არავის ეტყვის ამის შესახებ. მხოლოდ რამდენიმემ აღნიშნა, რომ მიმართავენ „უახლოეს ადამიანს“. არც ერთ მოზარდს არ უხსენებია სკოლა. თბილისის სადისკუსიო ჯგუფში მოზარდებს დაუსვეს კონკრეტული კითხვა: „რატომ არ განიხილავთ სკოლისთვის შეტყობინების შესაძლებლობას“, რაზეც ბავშვებმა განაცხადეს, რომ დახმარებას მხოლოდ იმას სთხოვენ, ვისაც მთლიანად ენდობიან.

კითხვაზე, „როგორ მოიქცეოდით, თუკი შეესწრებოდით ძალადობას ბავშვის მიმართ ან გექნებოდათ ეჭვი ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ“, ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ბავშვების უმრავლესობამ ახსენა ერთმანეთის დახმარება. მხოლოდ რამდენიმემ აღნიშნა ნათესავებისთვის შეტყობინება, სპეციალური არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მიმართვა ან კრიტიკულ შემთხვევებში პოლიციის გამოძახება.

კითხვაზე, რას მიიჩნევენ ძალადობისგან ბავშვთა დაცვის გამართულ სისტემად, მოზარდებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა ბავშვთა უფლებებზე მომუშავე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბება, ხოლო მოძალადეების დასასჯელად – გაცილებით უფრო მკაცრი სისტემის შემოღება. ასევე ითქვა ბავშვების მიმართ ძალადობის ფორმებისა და შედეგების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და განათლების საჭიროებაზე.

დასკვნები

საქართველოს ზრდასრული მოსახლეობა გარკვეულწილად ინფორმირებულია ბავშვების მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმისა და ხასიათის შესახებ. მოსახლეობის 44%—მა შეძლო სწორად განესაზღვრა ბავშვების მიმართ ძალადობის ყველა ფორმა. საზოგადოებას შეუძლია ფიზიკური ძალადობის (90%), ბავშვების ინტერესების უგულვებელყოფისა (79%) და სექსუალური ძალადობის (78%) იდენტიფიკაცია, მაგრამ ნაკლებად არის ინფორმირებული ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ (64%). შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში გამოვლინდა ცოდნის შედარებით უფრო დაბალი დონე, ვიდრე სხვაგან.

მართალია, საქართველოს საზოგადოების 82%—ს სჯერა, რომ ფიზიკური ძალადობა ნარმოადგენს პრობლემას საქართველოში, მაგრამ 60% მაინც მიიჩნევს, რომ მკაცრი აღზრდა გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე აღზრდის არაძალადობრივი მეთოდები. ქალების 30% და მამაკაცების 17% აღიარებს ბავშვების მიმართ ძალადობის გამოყენებას ოჯახში. ეს მაჩვენებელი თავისთავად მაღალია და მიუთითებს, რომ მთავარი მოძალადეები არიან ქალები. განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ თითქმის ყოველი მეორე ქართველი მიიჩნევს, რომ ფიზიკური დასჯის გარეშე ბავშვი გაფუჭდება. ასეთი მაღალი მაჩვენებლები მიუთითებს, რომ ძალადობა ბავშვების მიმართ შესაძლოა ჩვეულებრივი პრაქტიკა იყოს მოსახლეობის გაცილებით დიდი რაოდენობისთვის, ვიდრე ის რიცხვია, რომელიც აღიარებს ძალის გამოყენებას ოჯახში. გათხოვილი ქალები, სავარაუდოდ, უფრო ხშირად მიმართავენ ძალადობას ბავშვების მიმართ, ვიდრე სხვები.

კვლევამ საქართველოში ოჯახური ძალადობის შესახებ (2010) გამოავლინა, რომ ქართველი ქალების 36% ოჯახური ძალადობის მსხვერპლია. აღზრდის მკაცრი მეთოდების მაღალი მხარდაჭერა და დიდი რაოდენობა იმ ქალებისა, ვინც საკუთარი შვილების მიმართ ძალადობის გამოყენებას აღიარებს, ცხადყოფს, რომ საქართველოში არსებობს ძალადობის ჯაჭვი, რომელიც ძლიერდება და მისაღებია ყველა თაობისათვის.

ბავშვების მიმართ სექსუალურ ძალადობას სერიოზულ პრობლემად მიიჩნევს ყოველი მესამე მოქალაქე. ასევე ლამის ყოველი მესამე ამბობს, რომ ქალები შესაძლოა უყრუებდნენ საკუთარი პარტნიორების სექსუალური ძალადობის ფაქტს მათ შვილებთან, მათსავე ოჯახებში.

მართალია, ფართო საზოგადოების დიდ ნაწილს (94%) ესმის, რომ ოჯახში ძალადობა უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვებზე მაშინაც კი, როდესაც ეს ძალადობა უშუალოდ ბავშვს არ ეხება, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში არ მიიჩნევენ საჭიროდ სხვების ჩარევას. 75%—ზე მეტი ფიქრობს, რომ პოლიცია უნდა ჩაერიოს სექსუალური და ფიზიკური ძალადობის შემთხვევებში; შედარებით ნაკლები რაოდენობა მიიჩნევს სოციალური მუშაკების ჩარევის საჭიროებას და ისიც, თუ ეს არ არის ფსიქოლოგიური ძალადობის ან ბავშვების ინტერესების უგულვებელყოფის შემთხვევა.

კითხვაზე „რას მოიმოქმედებთ, თუ გახდებით ბავშვის მიმართ ძალადობის მონაწილე“, 70%—მა აღნიშნა, რომ ამჯობინებს უშუალოდ მიმართოს ბავშვის მშობლებს, ვიდრე მოითხოვოს პროფესიონალების ჩარევა. ეს სამწუხაროა, რადგან ძალადობის ნებისმერი შემთხვევის შესახებ უნდა ეცნობოს შესაბამის ორგანოებს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების 80% აღნიშნავს, რომ იცის, ვის უნდა მიმართოს ძალადობის შემთხვევაში (პოლიცია, სკოლა, სოციალური სამსახური), მაინც ამჯობინებს ან თავად გაესაუბროს მშობლებს, ან არაფერი მოიმოქმედოს. საქართველოში ბევრი ადამიანისთვისაა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ოჯახის პირადი ცხოვრება, ვიდრე ბავშვების უსაფრთხოება. რესპონდენტების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ აღნიშნა, რომ ისინი ვერ ჩაერეოდნენ სხვა ოჯახის საქმეში. ყოველი მეორე ადამიანი თბილისსა და სამცხე-ჯავახეთში და 50%—ზე მეტი ადამიანი შიდა ქართლში ამბობს, რომ შესაბამისი ორგანოებისათვის შესატყობინებლად მათ დასჭირდებოდათ დამატებითი კონკრეტული ინფორმაცია ძალადობის რეგულარული ხასიათისა და სიმძიმის შესახებ.

ბავშვების მიმართ ძალადობის მაჩვენებელი მაღალია, ძალადობის დაშვების მაჩვენებელი კი კიდევ უფრო მაღალი. ოჯახის შიდა საქმეებში ჩარევისგან თავის არიდება მაშინაც კი, როცა ოჯახში ძალადობას აქვს ადგილი, არის პრაქტიკის და ტოლერანტობის ძლიერი ნაზავი, რომელიც უყურადღებობის შემთხვევაში შეაფერხებს ბავშვების განვითარებას და მათი პოტენციალის სრულად რეალიზაციას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუშლის ეკონომიკისა და ქვეყნის განვითარებას.

არსებობს იმედი, რომ ერთობლივი ძალისხმევითა და ინვესტიციებით შეიცვლება ბავშვების მიმართ ძალადობისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება. საქართველოს ფართო საზოგადოების 82% მიიჩნევს, რომ ძალადობა არის პრობლემა, რომელიც უნდა მოგვარდეს. აღზრდის უკეთესი მეთოდების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე საზოგადოების ინფორმირება და რეაგირებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი სამსახურების კვალიფიკაციის ამაღლება აუცილებლად გამოიღებს სასურველ შედეგს.

რეკომენდაციები

მიღებული შედეგების საფუძველზე განისაზღვრა რეკომენდაციების რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ჯგუფი. ეს რეკომენდაციები ეხება როგორც ბავშვების მიმართ ძალადობის პრევენციის საკითხებს, ისე ძალადობის იდენტიფიკაციისა და რეაგირების მექანიზმების გაძლიერებას.

ბავშვების მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით სამართლებრივ და ნორმატიულ ბაზებში შესატანი ცვლილებები

ქვეყანაში ბავშვების მიმართ ძალადობის პრობლემა რომ მოგვარდეს, აუცილებელია სახელმწიფომ და დაინტერესებულმა მხარეებმა ყველა ღონე იხმარონ და შეცვალონ დამოკიდებულება, რომელიც ბავშვების მიმართ გარკვეული ხარისხით ძალადობას კანონიერად და სოციალურად მისაღებად მიიჩნევს. ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან ყველა ბავშვის დასაცავი ეფექტიანი მექანიზმების შესამუშავებლად სახელმწიფომ უნდა შეძლოს არსებული საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზების შესწორება. კანონმდებლობით გარკვევით უნდა აიკრძალოს ბავშვების მიმართ ძალადობის ყველა ფორმა. ასევე უნდა აიკრძალოს ძალადობის გამოყენება და ფიზიკური დასჯა, როგორც დისციპლინური მეთოდები, ყველანაირ გარემოში, ოჯახების ჩათვლით. როგორც წარმოდგენილმა კვლევამ აჩვენა, ეს უკანასკნელი საქართველოში მნიშვნელოვანი პრობლემაა.

კონკრეტული რეკომენდაციები:

- კანონმდებლობაში უნდა განისაზღვროს ბავშვების მიმართ ძალადობის ყველა ფორმა, რათა არსებობდეს საკანონმდებლო ბაზა იმ მოსაზრების გასამყარებლად, რომ თანაბრად მიუღებელია ბავშვის მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმა. კერძოდ, ყველა შესაბამის კანონსა და ნორმატიულ აქტში უნდა იყოს განსაზღვრული, რა არის ბავშვის უგულებელყოფა.
- საკანონმდებლო ცვლილებები უნდა შევიდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რათა აიკრძალოს ფიზიკური ძალადობის (ფიზიკური დასჯა) გამოყენება ოჯახში.
- უნდა შეიცვალოს კანონმდებლობა, რათა გაირკვეს ბავშვებთან მომუშავე ყველა პროფესიონალის (განსაკუთრებით, ვინც არიან ბავშვთა დაცვის რეფერირების სისტემის მთავარი მონაწილეები) ვალდებულება ინფორმაციის მიწოდებასთან/მიმართვიანობასთან დაკავშირებით; ასევე საჭიროა იძულების მექანიზმებისა და ჯარიმების შემოღება ძალადობის შემთხვევების შესახებ არშეტყობინების დროს.
- ყველა შესაბამისმა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვთა დაცვის რეფერირების მექანიზმის ყველა მონაწილე კარგად იყოს გარკვეული საკუთარ სამუშაო აღწერილობაში, სამუშაოსთან დაკავშირებულ პროცედურებსა და ყველა პროფესიონალისთვის განკუთვნილ მითითებებში.

საზოგადოების ინფორმირება

კვლევამ აჩვენა, რომ ფართო საზოგადოებას კარგად არ ესმის, რას წარმოადგენს ძალადობა ბავშვების მიმართ. ყველაზე ნაკლებად გასაგებია ფსიქოლოგიური ძალადობა. არსებობს გავრცელებული წარმოდგენა, რომ ინფორმაციის მიწოდება ბავშვის მიმართ ძალადობის შესახებ არის საოჯახო საქმეში ჩარევა. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ საზოგადოება საკმაოდ დაბალ დონეზეა გათვითცნობიერებული ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტებზე რეაგირების მექანიზმებში. ანალიზმა აჩვენა, რომ ცოდნა იმისა, თუ რა უნდა გაკეთდეს ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტის იდენტიფიკაციის შემთხვევაში, ზრდის შემთხვევის შესახებ ბავშვთა დაცვის შესაბამისი სახელმწიფო სამსახურებისთვის ინფორმაციის მიწოდების ალბათობას. აღნიშნული შედეგების საფუძველზე მთავრობამ და სხვა სახელმწიფო პარტნიორებმა კოორდინირებულად უნდა განახორციელონ ინვესტირება საზოგადოების ინფორმირების მიმართულებით, რაც გააძლიერებს ძალისხმევას ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით და გაზრდის ბავშვთა მიმართ ძალადობის ან ძალადობის ეჭვის მიწოდების შემთხვევებს ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების შესაბამისად.

ინფორმირების გასაზრდელად სახელმწიფო კამპანია გამიზნული უნდა იყოს საქართველოს მთელ მოსახლეობაზე. ასეთი კამპანია უნდა აერთიანებდეს ეროვნულ და რეგიონულ მედია-საშუალებებს და შეიცავდეს გზავნილებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ბავშვების მიმართ ძალადობას აქვს მოკლე- და გრძელვადიანი უარყოფითი შედეგები როგორც თვითონ ბავშვებისათვის, ისე მათი უშუალო გარემოსა (ოჯახი, თემი) და საზოგადოებისთვის.
- განმარტებული უნდა იყოს ძალადობის ყველა ფორმა და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფსიქოლოგიურ ძალადობას და ბავშვების უგულვებლყოფას.
- მიუღებელია ბავშვების მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმა.
- ფიზიკური დასჯა არის ძალადობის ფორმა, რომელსაც აქვს უარყოფითი გავლენა.
- იმ მოსაზრების დამკვიდრება, რომ ბავშვი არის 18 წლამდე ასაკის პირი და ამ ასაკის ნებისმიერი პირის მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაცია უნდა მიენოდოს შესაბამის ორგანოებს, რასაც უნდა მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება.

მთელ მოსახლეობაზე გათვლილი კამპანია უნდა შეეხოს დამატებით საკითხებსაც, რათა აღმოიფხვრას ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული ბარიერები და შეიცვალოს საზოგადოების ქცევა:

- საზოგადოების ინფორმირება ბავშვთა დაცვის რეფერირების სისტემის არსებობის, მისი რესურსების და მახასიათებლების, რეფერირების სისტემის თითოეული მონაწილის კონკრეტული როლის შესახებ (პოლიცია, სოციალური მუშაკები, სკოლა, ბავშვებზე ზრუნვის სამსახურები, სამედიცინო პერსონალი და ა.შ.).
- საზოგადოების ინფორმირება მოქალაქეების პასუხისმგებლობის შესახებ, რომ ბავშვების მიმართ გამოვლენილი ძალადობის შესახებ შეატყობინონ შესაბამის ორგანოებს, ასევე გააცნონ საზოგადოებას, თუ როგორ ხდება ამ ტიპის ინფორმაციის მიწოდება.
- საზოგადოების ინფორმირება, თუ როგორ შეუძლია ბავშვთა დაცვის რეფერირების სისტემას რეაგირება მიწოდებულ ინფორმაციაზე. ყურადღება განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ აუცილებელი არ არის ინფორმაციის წარდგენას მოჰყვეს ოჯახის გაყოფა და ბავშვის წამოყვანა ოჯახიდან.
- ფართო საზოგადოების ინფორმირება სკოლების, ბავშვებზე ზრუნვის სამსახურებისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს როლის შესახებ ბავშვების წინამდებარე განხორციელებული ძალადობის ფაქტების იდენტიფიკაციასა და შემდგომი ღონისძიებების განხორციელებაში.

რამდენადაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ამჟამად არის წამყვანი სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ბავშვების მიმართ ძალადობის საკითხებზე, რეკომენდებულია, რომ სამინისტრომ უხელმძღვანელოს სახელმწიფო და არასახელმწიფო რესურსების მობილიზაციას (ფინანსური, ორგანიზაციული, ადამიანური) საზოგადოების ინფორმირების სრულყოფილი კამპანიის განხორციელების მიზნით. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სხვა შესაბამისი მხარეების მონაწილეობა გადამწყვეტია ამ ინიციატივის წარმატებისთვის.

აღზრდის მიზნობრივი, პოზიტიური პროგრამები

კვლევის თანახმად, საქართველოს საზოგადოების 45% ფიქრობს, რომ ფიზიკური ძალადობის გამოყენება ბავშვების მიმართ მისაღებია, ხოლო რესპონდენტთა 60% (როგორც ქალი, ისე მამაკაცი) მიიჩნევს, რომ მკაცრი აღზრდა გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე აღზრდის არაძალადობრივი მეთოდები.

კონკრეტული რეკომენდაციები მთავრობისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დონორებისთვის:

- მშობლებმა უნდა მიიღონ ინფორმაცია ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემისა და გავლენის შესახებ, ასევე, ოჯახსა და საზოგადოებაში ბავშვების ძალადობისგან დაცვის გზებისა და პოტენციური ძალადობისა თუ უკვე განხორციელებული ძალადობის ნიშნების გამოცნობის შესახებ.
- კონკრეტული პროგრამების და კამპანიების განხორციელება, რომ მშობლებმა გამოიყენონ არაძალადობრივი დისციპლინური მეთოდები; ხელი შეეწყოს პოზიტიური აღზრდისა და ფიზიკური დისციპლინის ალტერნატიული მეთოდების დანერგვას.

- აღზრდის მეთოდების შესახებ საინფორმაციო კამპანიის მაქსიმალურად გავრცელებისათვის ერთ-ერთი სამიზნე უნდა იყოს სამშობიაროები, რათა ახალბედა დედებმა მიიღონ ინფორმაცია ბავშვის აღზრდის პოზიტიური მეთოდების შესახებ და იმის თაობაზე, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია ბავშვისთვის ძალადობას. ამასთან, მშობელთა ინფორმირების გასაზრდელი რეგულარული კამპანიები შეიძლება დაუკავშირდეს ვაქცინაციის გრაფიკს ან სხვა რეგულარულ სამედიცინო შემთხვევას.
- უნდა გადაიხედოს სასკოლო-სასწავლო პროგრამა, რათა ძალადობის შესახებ ინფორმაციის (მოზარდებზე ძალადობის გავლენის, არაძალადობრივი აღზრდის საჭიროების და ბავშვთა დაცვის რეფერირების მექანიზმების შესახებ) გადმოცემა მოხდეს ბავშვებისთვის გასაგები ენითა და ფორმით. ამასთან, სკოლები უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც სათავე, საიდანაც გავრცელება ინფორმაცია აღზრდის დადებითი მეთოდების შესახებ.
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წამყვანი როლი უნდა შეასრულოს ბავშვებისა და სკოლის პერსონალისთვის პროგრამების შემუშავებასა და ინსტიტუციონალიზაციაში, ასევე მშობლებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო ბროშურების შემუშავებაში, სადაც მოცემული იქნება ინფორმაცია ძალადობის ფორმების, განსაკუთრებით – ფიზიკური დასჯის, შესახებ; მისი უარყოფითი ზემოქმედება ბავშვებზე და მთლიანად საზოგადოებაზე; პოზიტიური აღზრდის მეთოდები; ბავშვების მიმართ ძალადობის, ამგვარი ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების და რეაგირების სამართლებრივი ასპექტები.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეთნიკური უმცირესობების ოჯახებს, რათა მათაც მიუწვდებოდეთ ხელი სათანადო ინფორმაციაზე აღზრდის დადებითი მეთოდების შესახებ, ამასთან ინფორმაცია შესაბამისი უნდა იყოს კულტურული თვალსაზრისითაც. განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად გათვალისწინებული იყოს ენობრივი ბარიერები და კულტურული ფაქტორები, რაც ხელს შეუწყობს საჭირო გზავნილების გავრცელებას.

ბავშვების შესაძლებლობების განვითარება

ბევრ შემთხვევაში ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა დამოკიდებულია ზრდასრული ადამიანების მიერ ბავშვების მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე. მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის მიწოდებელი იყოს მშობელი ან სხვა ზრდასრული ადამიანი; თუმცა, საჭიროა ბავშვების შესაძლებლობების განვითარება, რომ მათ შეძლონ საკუთარი უფლებების დარღვევის გამოცნობა. მოზარდებს ასევე უნდა შეეძლოთ სავარაუდო ან რეალური ძალადობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურად მიწოდება.

ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით ბავშვების მზარდ როლთან დაკავშირებული რეკომენდაციები მოიცავს შემდეგს:

- ბავშვებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო კამპანია უნდა მოიცავდეს ბავშვების გაძლიერებას ინფორმაციის მიწოდების საქმეში.
- საჭიროა კონსულტაცია ბავშვებთან კამპანიის დაგეგმვის პროცესში, რომელიც განკუთვნილია მშობლებისა და ფართო საზოგადოებისთვის. უფროსი ასაკის ბავშვები და მოზარდები ჩართული უნდა იყვნენ ინფორმაციის მიწოდებისას წარმოქმნილი ბარიერების შესახებ დისკუსიებში და იმ სტრატეგიების იდენტიფიკაციის პროცესში, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვებს და მოზარდებს ინფორმაციის და დახმარების მიღებაში.
- სკოლების ფართომასშტაბიანი ძალისხმევა უნდა იყოს დასაბამი ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციების შესასრულებლად. სამოქალაქო განათლების პროგრამები საშუალო სკოლის დონეზე უნდა აერთიანებდეს ბავშვებზე ძალადობის და მათი ინტერესების უგულვებელყოფის საკითხებს, მათ შორის ძალადობის განმარტებას, ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაციას, ასეთი შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და პრობლემების მოგვარებას.

ამ მიმართულებით მუშაობის წარმართვისათვის საუკეთესო პირობები აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. ბავშვების შესაძლებლობების განვითარების კამპანია დაკავშირებული უნდა იყოს მოსახლეობის გათვითცნობიერების გასაზრდელ ღონისძიებებთან, რომელსაც ახორციელებს შრომის, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამინისტრო და რომელიც მორგებული უნდა იყოს ბავშვის ცოდნის დონეზე და მის, როგორც ინფორმაციის მიმწოდებლის, როლზე.

პროფესიონალების შესაძლებლობების განვითარება

2. დაიხვეწოს ძალადობაზე რეაგირების პროცედურები (მაგ.: როდის უნდა მოხდეს შემაკავებელი ორდერის გამოწერა, როდის არის აუცილებელი მსხვერპლის ან მოძალადის ოჯახიდან გაყვანა) და ჰარმონიზაციაში მოვიდეს სხვადასხვა თანამშრომლისთვის (პოლიციელებისთვის, სოციალური მუშაკებისთვის) განერილი სამუშაო დუქემენტები, განისაზღვროს პოლიციასა და სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის სავალდებულო ანგარიშგების მიმართულებები: სოციალური მუშაკები ჩართული უნდა იყვნენ ყველა იმ შემთხვევაში, სადაც ბავშვი ფიგურირებს, იმისათვის, რომ დროულად შეფასდეს ყველა შესაძლო რისკი, რომელიც შეიძლება ბავშვს დაემუქროს, მაშინაც კი, თუ ბავშვი არ არის იდენტიფიცირებული, როგორც ძალადობის პირველადი მსხვერპლი.
3. თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება ბავშვთა დაცვის რეფერალის პროცედურებში სხვადასხვა მუშაკის როლისა და მოვალეობების შესახებ.
4. თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება და მათი გათვითცნობიერება, თუ როგორ უნდა მოხდეს ოჯახებთან და ბავშვებთან ეფექტური მუშაობა და სახელმძღვანელო გაიდლაინების მეშვეობით ბავშვთა დაცვის რეფერალის არსებული პროცედურების განმტკიცება. მასალებისა თუ ტრენინგების მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სხვადასხვა უწყებას შორის თანამშრომლობის განმტკიცებას. ხელახლა გადასახედია პროფესიონალების მიერ ფორმების გამოყენება/არგამოყენების საკითხი, თუკი შესაძლებელია და აუცილებლობა მოითხოვს, გამარტივდეს ფორმები, ხოლო ძალადობის გამოვლენილ ფაქტებზე დოკუმენტების წარმოება უნდა იყოს შესაბამისი პროფესიონალების ვალდებულება.
5. სხვადასხვა პროფესიონალისთვის შემთხვევაზე რეაგირების ერთობლივი გაიდლაინების შემუშავება, სადაც მკვეთრად იქნება განსაზღვრული მათი უფლება-მოვალეობები.
6. რესურსების გაძლიერება რეგულარული და ხარისხიანი ქმედებების უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჭირო რაოდენობის მობილური, მცოდნე და კვალიფიციური სოციალური მუშაკები.

დონორებისათვის განკუთვნილი ძირითადი რეკომენდაციები

1. საქართველოს მთავრობისათვის დახმარების განევა რეფერირების სისტემის გაძლიერების მიზნით, წინამდებარე დოკუმენტში მოცემული რეკომენდაციების გამოყენებით.
2. ძალადობასთან დაკავშირებული მომსახურებების განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის, სოციალური მუშაობის განვითარება თემის დონეზე, რაც ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა და რეფერირების დროს დაეხმარება როგორც ძალადობის მსხვერპლს, ისე ძალადობის ჩამდენ პირებს.
3. ბავშვზე ძალადობის, მისი შედეგების, კოლექტიური პასუხისმგებლობისა და შესაბამისი მოქმედების საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მხარდაჭერა.

ზოგადი ინფორმაცია

ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმა საქართველოში 2005 წლიდან მიმდინარეობს. რეფორმა ფოკუსირებულია დეინსტიტუციონალიზაციასა და მზრუნველობის ალტერნატიული მომსახურებების შექმნაზე იმ ბავშვებისათვის, რომლებიც ბავშვთა დიდ სახლებში ცხოვრობენ. თუმცა აღსანიშნავია, რომ თანდათანობით რეფორმის არეალი გაფართოვდა და პრიორიტეტად იქცა ისეთი ამოცანები, როგორცაა ოჯახის ნევრების დამორების პრევენცია, ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირება, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების საჭიროებების მოგვარება და იმ ახალგაზრდების კეთილდღეობაზე ზრუნვა, რომლებიც სახელმწიფო მზრუნვის სისტემას ტოვებენ.

ძალადობისა და უგულვებელყოფის მსხვერპლი ბავშვების დაცვის მექანიზმების შემუშავების მიზნით სამმა სამინისტრომ¹ (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ) 2010 წლის მაისში ერთობლივი ბრძანება გამოსცა, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვზე ძალადობის შემთხვევების იდენტიფიკაციის, შესაძლო მსხვერპლთა შეფასებისა და მათი საჭიროებების უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემის განვითარებას. ერთობლივი ბრძანება გულისხმობს, რომ თითოეულმა სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს დეტალური პროცედურები შესაბამისი თანამშრომლებისთვის, რეფერალის პროცედურების თანახმად (მუხლი 6.7). დღეისათვის შესაბამისი გაიდლაინები მხოლოდ სოციალური მუშაკებისა და პოლიციელთათვისაა შემუშავებული, სკოლის თანამშრომლებისა და სამედიცინო პერსონალისთვის კი ასეთი სახელმძღვანელოები ჯერაც არ არსებობს.

ზემოხსენებული ბრძანების მიღების შემდეგ ორი წელი გავიდა. მიმართვიანობის რიცხვი წელიწადში 40-დან 150-მდე გაიზარდა. მიუხედავად ამისა, დაინტერესებული მხარეები მაინც გამოთქვამენ წუხილს მიმართვიანობის სისტემის მუშაობის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. ბავშვებზე ძალადობის შემთხვევების გამოვლენა ფერხდება ცოდნის ნაკლებობის, ძალადობის ნიშნების გაუცნობიერების, მხარეებს შორის სუსტი კოორდინაციის, მსხვერპლთა სრულად მოცვასთან დაკავშირებული პრობლემების და ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ბიოფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციის სათანადო მომსახურებების ნაკლებობის გამო. აუცილებელია მიმართვიანობის სისტემის შემდგომი გაძლიერება. ყოველივე ამის გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გაეროს ბავშვთა ფონდს „ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების“ (შემდგომში მოიხსენიება, როგორც „დოკუმენტი რეფერირების შესახებ“ ან „რეფერირების პროცედურები“) ანალიზისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების თხოვნით მიმართა.

UNICEF-საქართველომ კონსულტანტების, ტექნიკური ექსპერტების და კონტრაქტორი კვლევითი ორგანიზაციის (ეისითი - ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფი²) მეშვეობით რეფერირების სისტემის თვისებრივი კვლევა ჩაატარა. იმავდროულად ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა „ბავშვთა მიმართ ოჯახური ძალადობის“ კვლევა, რომლის მიზანიც იყო ამ აკითხვებთან დაკავშირებით მოსახლეობაში არსებული ცოდნის დონის, დამოკიდებულებისა და გავრცელებული პრაქტიკის შესწავლა ზოგადად. ეროვნული გამოკითხვის დროს გამოყენებული კითხვარი სამიზნე ჯგუფების (ფოკუს-ჯგუფების) მონაწილეებმაც შეავსეს. კვლევის მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა შეგიძლიათ იხილოთ N 1 დანართში.

კვლევის მიზანი და ამოცანები

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) არსებული სისტემის სხვადასხვა კუთხით გაცნობას. კვლევის ამოცანებია შეისწავლოს:

- A. საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემის ნორმატიული აქტების და ინსტიტუციური მექანიზმების ძლიერი და სუსტი მხარეები;
- B. ძირითადი მონაწილე მხარეების (მათ შორის მთავრობის წარმომადგენლების, პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების, მასწავლებლების და პოლიციის) ცოდნა, დამოკიდებულება და პრაქტიკული გამოცდილება რეფერირების პროცედურებთან მიმართებით;

¹ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანება N15/n-N496 – N45/n ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ, 31 მაისი, 2010.

² www.ACT.ge

G. მონაწილე მხარეების (სოციალური მუშაკების, მასწავლებლების, მანდატურების, პოლიციელების და ა.შ.) უნარი გამოავლინონ ბავშვზე ძალადობის შემთხვევები, შეადგინონ ანგარიშები, მოახდინონ ასეთი შემთხვევების რეფერირება და მართვა.

კვლევა ასევე მიზნად ისახავდა არსებული ნორმატიული ბაზის გაუმჯობესებისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავებას, რაც ხელს შეუწყობს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემის დახვეწას.

ამ კვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლოვანება ისაა, რომ არ იყო მოძიებული ინფორმაცია რეფერირების შემდგომი ღონისძიებების შესახებ, ანუ რეფერირებული საქმეების შედეგების და ბავშვებისათვის განეული მომსახურების შესახებ. აუცილებელია შემდგომი მუშაობა, რომ სისტემის ეფექტიანობა მიმართვიანობის (რეფერირების) შედეგების საფუძველზე შეფასდეს.

რეფერირების დოკუმენტში განსაზღვრული ეტაპების შესაბამისად, „ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების“ ანალიზი შემდეგ ნაწილებად იყოფა:

- შემთხვევის იდენტიფიკაცია;
- ბავშვის შეფასება და საქმის მენეჯმენტი;
- ბავშვის მონიტორინგი.

შემთხვევების იდენტიფიკაცია

სკოლები – ძალადობის შემთხვევების გამოვლენა

ძირითადი მონაცემები/ფაქტები

- სკოლებში მომუშავე პროფესიონალებს კარგად არ ესმით რეფერირების პროცედურების მიხედვით მათთვის დაკისრებული პასუხისმგებლობები;
- სასკოლო სისტემაში არ არის მკაფიო ინსტრუქციები და არ ტარდება სისტემატური ტრენინგები ბავშვებზე ძალადობის გამოვლენის და რეფერირების საკითხებზე;
- მანდატურების და მასწავლებლების უმეტესობა ხედავს სექსუალურ ძალადობაზე რეაგირების საჭიროებას (სოციალური მუშაკებისა და პოლიციის ჩართვის აუცილებლობის ჩათვლით), მაგრამ კარგად არ აცნობიერებს, რომ ასევე აუცილებელია ძალადობის სხვა ფორმების შემთხვევაში ჩართვა;
- სკოლის წარმომადგენელთა 46% მიიჩნევს, რომ ანგარიშის წარდგენა საჭიროა მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოვლენილი ფაქტი ძალიან მძიმეა და/ან განმეორდა რამდენჯერმე;
- არსებობს ღრმად გამჯდარი რწმენა, რომ სხვისი ოჯახის საქმეებში ჩარევა არ არის მიზანშეწონილი;
- მხოლოდ თბილისის სკოლების მანდატურებმა გაიარეს სპეციალური ტრენინგი ბავშვებზე ძალადობის გამოვლენის და რეაგირების საკითხებში და ნაწილობრივ ამით აიხსნება, რომ მათ ეს საკითხები უკეთესად ესმით.

ძირითადი რეკომენდაციები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის

1. შემუშავდეს დეტალური გაიდლაინები და/ან ჩატარდეს შიდასისტემური სავალდებულო ტრენინგები ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებისა და რეფერირების საკითხებზე, ბავშვთა დაცვის პროცედურების შესაბამისად.

2. მკაფიოდ განისაზღვროს მასწავლებლებისა და მანდატურების როლი ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებისა და რეფერირების პროცესში შიდა პროცედურებისა და გაიდლაინების საშუალებით. იმისათვის, რომ გაიზარდოს სკოლიდან სოციალური მომსახურების სააგენტოში რეფერირების ეფექტურობა, სასურველია სკოლაში გამოიყოს ერთი თანამშრომელი, რომლის ძირითადი ვალდებულება იქნება ძალადობის იდენტიფიცირება სკოლაში, ოჯახებთან დაკავშირებისას დახმარება, ოჯახური ვითარების შეფასება და გარე უწყებებთან ურთიერთობების ხელშეწყობა.
3. მასწავლებლების და მანდატურების სამუშაოს აღწერილობაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, თუ როგორი უნდა იყოს ბავშვზე ძალადობის შემთხვევებზე მათი რეაგირება. გარდა ამისა, სასურველია, რომ ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხები ჩართული იყოს მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდებსა და მანდატურების სავალდებულო ტრენინგების კურიკულუმში. პროფესიონალების პასუხისმგებლობები მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული განათლების სამინისტროსა და/ან სკოლის შესაბამის დოკუმენტებში.
4. საჭიროა გადაიხედოს უსაფრთხო სკოლის კონცეფცია, რათა ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირების პროცესში სკოლაც ჩაერთოს. სკოლის თანამშრომლებისათვის უნდა შემუშავდეს ახალი მექანიზმები, რაც გააუმჯობესებს ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე მათ რეაგირებასა და შესაბამის მიმართვიანობას.

„ბავშვთა დაცვის რეფერირების დოკუმენტის“ თანახმად (მუხლი 6.1;4.1), ძალადობის შემთხვევების გამოვლენა ევალუა ყველა სამსახურს, რომელსაც შეხება აქვს ბავშვთან, იგულისხმება: სკოლა, სამედიცინო დანესებულება, სოფლის ექიმი, ბავშვთა სპეციალიზებული დანესებულება (უდემამოთა თავშესაფარი, დღის ცენტრები, ბავშვთა საოჯახო ტიპის მცირე სახლები), სააგენტო, უბნის განყოფილება თუ საპატრულო პოლიცია“.

ამავე დოკუმენტში განმარტებულია, რომ „სკოლების, სამედიცინო და ბავშვთა სპეციალიზებული დანესებულებების ადმინისტრაცია და სოფლის ექიმები ვალდებული არიან ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში გადაუდებლად, ადგილზევე მოახდინონ ძალადობასთან დაკავშირებული ბავშვის მდგომარეობის შეფასება და ბავშვზე განხორციელებული ძალადობის ეჭვის იდენტიფიკაცია, ითავონ შემთხვევის მართვა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში“ (მუხლი 6.2).

რეფერირების პროცედურების მიხედვით, „...სკოლების და ბავშვთა სპეციალიზებული დანესებულებების ვალდებულებაა შემთხვევის გაანალიზება და ბავშვზე ძალადობის რაიმე ეჭვის გაჩენისას ინფორმაციის მინოდება პოლიციის ან სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის“ (მუხლი 4.4).³

სკოლის სისტემის შიგნით ბავშვის მიმართ ძალადობის გამოვლენისა და შემდგომი რეფერირების პასუხისმგებლობა აქვს სკოლის ადმინისტრაციას. რეფერალური პროცედურების შემუშავების დროს ჯერ არ იყო შემოღებული მანდატურის სამსახური და ამდენად, ნორმატიული ჩარჩო არ იცნობს ამ მუშაკებს (თითოეულ სკოლაში 3-3 მანდატური), რომელთა ძირითადი მოვალეობაა სკოლაში ბავშვების ქცევის მონიტორინგი, რაც ემსახურება ბავშვებს შორის ძალადობის აღკვეთას და სკოლის უსაფრთხოების დაცვას. ისინი არ არიან უფლებამოსილი იმუშაონ ბავშვებთან და მათ ოჯახებთან სკოლის გარეთ. უფრო მეტიც, ვინაიდან არ არსებობს რაიმე სახელმძღვანელო მითითებები სკოლის თანამშრომლებისთვის, არც ერთი მათგანის მოვალეობა ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურებში მონაწილეობისას არ არის ნათლად განერილი.

ამ საკითხების მიზნობრივ ჯგუფებში განხილვისას გამოვლინდა, რომ რეფერირების პროცესში სკოლების მონაწილეობის მნიშვნელობა კარგად აქვს გაცნობიერებული სკოლაში მომუშავე ყველა პროფესიონალს, მასწავლებლებისა და მანდატურების ჩათვლით, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთ როლს ძალადობის ნიშნების გამოვლენის საქმეში:

³ პროცედურებში ასევე დაზუსტებულია, რომ „ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული სუბიექტები გადაუდებელი მდგომარეობის შემთხვევაში ვალდებული არიან ინფორმაცია ბავშვზე ძალადობის ეჭვის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ პოლიციას და საჭიროების შემთხვევაში გამოიძახონ სასწრაფო დახმარება, ხოლო ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას ვალდებული არიან შეაფასონ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მიმართვის ბარათი, რომელიც ეგზავნება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს ფოსტით ან ფაქსით(მუხლი 6.6).

„...ძალადობის ნიშნებს, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელი ამჩნევს. შეუძლებელია, რომ მასწავლებელს ძალადობის ნიშნები გამოორჩეს. ის ხედავს ცვლილებებს: ნაღვლიან გამოხედვას, მღელვარებას, სხეულის დაზიანებებს. ვფიქრობ, მშობლების მერე მასწავლებელი პირველი ხედავს ძალადობის ნიშნებს...“ (მასწავლებელი, ქვემო ქართლი).


„... სკოლა ინფორმაციის ძირითადი წყაროა...“ (მანდატური, თბილისი)

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სკოლებში მომუშავე რესპონდენტების უმრავლესობა იცნობს სხვადასხვა ფორმის ძალადობის ნიშნებს:

„... გაკვეთილების გაცდენა, დებრესია, მოუმზადებელი გაკვეთილები, არასათანადო ჩაცმულობა, შიმშილი, ნაღვლიანი გამომეტყველება... აგრეთვე ცუდი ჰიგიენა, მღელვარება, ქცევის ნორმების დარღვევა, აგრესია ან, პირიქით, გადამეტებული მორჩილება; სისხლჩაქცევები და ჭრილობები - სერიოზული პრობლემის ნიშნებია (მასწავლებლები, ქვემო ქართლი).

„... შიში, აგრესია, ქცევის ნორმების დარღვევა, სისხლჩაქცევები და ჭრილობები, ნაღვლიანი გამომეტყველება, შიმშილი, არასათანადო ჩაცმულობა, გაკვეთილების გაცდენა...“ (მანდატური, თბილისი)

გრაფიკი 1. მანდატურების და მასწავლებლების ცოდნა ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ



აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევაში, მანდატურებმა ძალადობის სხვადასხვა სახის ნიშნების იდენტიფიცირების უკეთესი უნარი გამოავლინეს, ვიდრე მასწავლებლებმა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლების წარმომადგენელთა უმეტესობისათვის ამკარად ცნობილია, თუ რა ქმედება უნდა ჩაითვალოს ძალადობად, რეფერირების პროცედურებით გათვალისწინებული პოტენციური შემთხვევების დროს უმეტესობას ან არ სურს ჩარევა, ან არ იცის, რა მოიმოქმედოს. საზოგადოების თვალში სკოლის რეპუტაციისათვის ზიანის მიყენების შიში, თანამშრომელთა პირადი პროფესიული დაუცველობის გრძნობა, სამუშაო ადგილებზე ტრენინგების ნაკლებობა და ბავშვთა დაცვის რეფერირების ინსტრუქციების არარსებობა ხელს უშლის სასკოლო სისტემას ქმედითი როლი ითამაშოს რეფერირების პროცესში.

„...სკოლების წარმომადგენლებმა არ იციან, თუ რა როლს ასრულებს სკოლა ძალადობის შემთხვევების გამოვლენის საქმეში... სხვადასხვა პროფესიონალის (ადმინისტრაციის, მასწავლებლების და მანდატურების) ფუნქციები სამოქმედო ინსტრუქციების სახით არ არის განსაზღვრული ...“ (GASW).

„...როგორც ჩანს, სკოლაში მომუშავე პროფესიონალები ფიქრობენ,, რომ ოჯახური ძალადობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, მათი სკოლის რეიტინგს შეიძლება ჩრდილი მიადგეს, რადგან ამან შეიძლება მშობლები გააღიზიანოს და ბავშვის სკოლიდან გაყვანისაკენ უბიძგოს...“ (სახლხო დამცველის ოფისი)

„...მასწავლებლები არ მიიჩნევენ, რომ ვალდებული არიან შეგვაცხოვრონ ძალადობის ფაქტების შესახებ. ისინი მხოლოდ მძიმე პრობლემების შემთხვევაში გვიკავშირდებიან; სხვა დროს ისინი ამჯობინებენ ანონიმურად დაგვიკავშირდნენ, როგორც კერძო პირები, თავი აარიდონ გაუგებრობას და დაიცვან საკუთარი უსაფრთხოება...“ (PHF).

ბავშვთა დაცვის რეფერალის შესაბამისად დღემდე არ არის შემუშავებული პროცედურები და გაიდლაინები სკოლის მასწავლებლებისა და მანდატურებისათვის. მხოლოდ მანდატურებმა, და ისიც ძირითადად თბილისში, გაიარეს რეგულაციური ტრენინგები, მასწავლებლებს კი არანაირ ასეთ ტრენინგში არ მიუღიათ მონაწილეობა. უფრო მეტიც, ბავშვის მიმართ ძალადობაზე რეაგირების ვალდებულება არ არის ჩადებული მასწავლებელთა სამუშაოს აღწერილობაში. შესაბამისად, სკოლის თანამშრომელთა რეაგირება ბავშვთა მიმართ ძალადობის შესაძლო შემთხვევებზე დაფუძნებულია რეფერალის დოკუმენტის, პროცედურების და კონცეფციების პირად აღქმასა და ინტერპრეტაციებზე.


კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ხშირად სკოლაში მომუშავე პროფესიონალებს მიაჩნიათ, რომ ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება საჭიროა მხოლოდ მაშინ, როცა ძალადობა გარკვეულ ინტენსიურობას აღწევს. გადამწყვეტ ფაქტორებად მათ შემთხვევის სიმძიმე და სიხშირე დაასახელეს. მანდატურების 40% და მასწავლებლების 69% ფიქრობს, რომ ზოგჯერ ძალადობა იმდენად სერიოზული არ არის, რომ მასზე რეაგირება იყოს საჭირო. უფრო მეტიც, სკოლაში მომუშავე პროფესიონალების 46% მიიჩნევს, რომ ძალადობის ფაქტის შესახებ მოხსენება საჭიროა მხოლოდ მაშინ, როცა ეს ძალადობა რეგულარულად მეორდება. ზოგიერთი პროფესიონალი დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ძალადობის მძიმე შემთხვევებია (სიცოცხლისათვის სახიფათო შედეგების მქონე) დაუშვებელი, ხოლო ნამორტყმა და დატუქსვა დისციპლინური სასჯელებია:

„... როდესაც ბავშვს ვუბრაზდებით, ეს ნორმალურია; ეს ძალადობა არ არის... ზოგჯერ ასევე აუცილებელია ბავშვს მსუბუქად წამოვარტყათ ... ჩვენ გვექონდა შემთხვევა ბათუმში, როდესაც მშობელმა ცემით მოკლა ბავშვი. ეს სასტიკი ცემა იყო; ძალადობად მხოლოდ სასტიკი ცემა ითვლება, ხოლო მსუბუქი დარტყმა ზოგჯერ აუცილებელია...“ (მასწავლებელი, აჭარა).

„...ძალიან მნიშვნელოვანია მშობლების ინფორმირება მათ შვილებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ, მათი განმარტებებისა და დამოკიდებულების გასაგებად... ჩემი გამოცდილებით, ქცევითი დარღვევები უმეტეს შემთხვევაში ოჯახურ პრობლემებს უკავშირდება. ამრიგად, აუცილებელია სახლში არსებული მდგომარეობის გაგება...“ (მანდატური, თბილისი)

სკოლის თანამშრომლებმა სხვადასხვა ფორმის ძალადობაზე რეაგირების აუცილებლობასთან დაკავშირებით განსხვავებული პასუხები გასცეს. უმეტეს შემთხვევაში რეაგირების სურვილს უფრო მანდატურები ავლენდნენ, ვიდრე მასწავლებლები.

გრაფიკი 2. რას ფიქრობენ მანდატურები და მასწავლებლები საკუთარ როლზე ბავშვზე ძალადობაზე რეაგირების პროცესში



ბავშვთა დაცვის მიმართულებით (რეფერირების) პროცესში მანდატურებისა და მასწავლებლების როლი

როგორც მასწავლებლების, ისე მანდატურების უმეტესობა ცდილობს ბავშვის მიმართ ძალადობაზე ან მისი საჭიროებების უგულვებელყოფაზე რეაგირება ბავშვის ოჯახის წევრებთან დალაპარაკების გზით მოახდინოს. კითხვაზე, თუ რას მოიმოქმედებენ, თუკი დარწმუნებული იქნებიან, რომ ბავშვი ოჯახის მხრიდან ძალადობას ან უგულვებელყოფას განიცდის, მასწავლებლების 69%-მა და მანდატურების 65%-მა უპასუხა, რომ პირველ რიგში მშობლებს დაელაპარაკება და შექმნილ მდგომარეობაზე იმსჯელებს. პროცედურების მიხედვით, მშობლებთან ასეთი გასაუბრება წარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ ნაბიჯს შემთხვევის შესასწავლად და იმის გასარკვევად, თუ რამდენად საჭიროებს ესა თუ ის შემთხვევა რეფერირებას სხვა პროფესიონალებთან. რადგან სკოლის მუშაკების მხოლოდ 48%-მა მიიჩნია დასაშვებად სოციალურ სამსახურთან რეფერირების შესაძლებლობა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ოჯახის წევრებთან გასაუბრება ყოველთვის არ არის შემთხვევის შემდგომი შესაწავლისა და ძალადობის ეჭვის „საფუძვლიან ეჭვად“ გადაქცევის მექანიზმი, რის საფუძველზეც შემდგომ რეფერირების აუცილებლობა უნდა განისაზღვროს.

სკოლის პერსონალი იშვიათად მიიჩნევს, რომ სოციალური მუშაკები საკვანძო/მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და რომ მათი ჩართვა აუცილებელია. აღსანიშნავია, რომ სოციალური სამსახურების გამოყენების და სოციალური მუშაკების ჩართვის უფრო მეტ სურვილს ავლენენ მანდატურები, ვიდრე მასწავლებლები.

სკოლის პერსონალის შეხედულებები სოციალური მუშაკების როლზე:

- მანდატურების 15% და მასწავლებლების 0% მიიჩნევს, რომ სოციალური მუშაკის ჩართვა საჭიროა, როდესაც ბავშვს „შესაძლოა“ ჰქონდეს პრობლემები;
- მანდატურების 65% და მასწავლებლების 0% მიიჩნევს, რომ სოციალური მუშაკის ჩართვა საჭიროა, როდესაც ადგილი აქვს ფიზიკურ ძალადობას;
- მანდატურების 45% და მასწავლებლების 15% მიიჩნევს, რომ სოციალური მუშაკის ჩართვა საჭიროა, როდესაც ადგილი აქვს ფსიქოლოგიურ ძალადობას;
- მანდატურების 35% და მასწავლებლების 0% მიიჩნევს, რომ სოციალური მუშაკის ჩართვა საჭიროა, როდესაც ადგილი აქვს ბავშვის უგულვებელყოფას;
- მანდატურების 90% და მასწავლებლების 31% მიიჩნევს, რომ სოციალური მუშაკის ჩართვა საჭიროა, როდესაც ადგილი აქვს ბავშვზე სექსუალურ ძალადობას.

მანდატურების 35% და მასწავლებლების 15% მიიჩნევს, რომ ფიზიკური ძალადობის ნიშების გამოვლენისას პოლიციის ჩარევა აუცილებელია. მანდატურების 80% და მასწავლებლების 77% აღიარებს, რომ პოლიციას განსაკუთრებული როლი აკისრია სექსუალური ძალადობის შემთხვევაში.

სკოლაში მომუშავე ყველა პროფესიონალის 30% ფიქრობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბავშვმა ძალადობა ოჯახის წევრებისაგან განიცადა, ბავშვი მაინც თავის სახლში უნდა ცხოვრობდეს.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მასწავლებლები და მანდატურები სხვადასხვანაირად აღიქვამენ როგორც საკუთარ, ისე სხვა პროფესიონალების როლს ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირების პროცესში.

პოლიცია – ძალადობის შემთხვევების გამოვლენა

მთავარი მიგნებები

- პოლიციისათვის ცნობილია ძალადობის სხვადასხვა ფორმა და, როგორც წესი, შეუძლია ბავშვზე ძალადობის ვიზუალური ნიშნების/ფიზიკური დაზიანებების შეფასება.
- პოლიციას ესმის, რომ ოჯახში უფროსებს შორის ოჯახური ძალადობა ზემოქმედებას ახდენს ბავშვზე და განიხილება ბავშვის მიმართ ჩადენილ ძალადობად.
- პოლიციის აზრით, ძალადობის უფრო მეტი შემთხვევის გამოვლენას ხელს უშლის ის გარემოება, რომ საზოგადოებას ძალადობის ცნება არასწორად ესმის და ეჭვის არსებობის შემთხვევაში არ უნდა პოლიციის ინფორმირება.
- პოლიციის წარმომადგენლებმა იციან ბავშვებზე ძალადობის შემთხვევებში საკუთარი ფუნქცია და სამუშაო პროცედურები, სოციალური მუშაკების ჩართვის საჭიროების ჩათვლით (რეფერირების პროცედურების შესაბამისად პოლიციელთათვის სამოქმედოდ შემუშავებული და დამტკიცებულია ბავშვთა დაცვის შიდა ინსტრუქციები. თუმცა მიიჩნევა, რომ ინსტრუქციები ზოგადი ხასიათისაა და კიდევ უფრო ეფექტური მუშაობისთვის საჭიროებს უფრო კონკრეტულ მითითებებს).

რეკომენდაციები შინაგან საქმეთა სამინისტროს

1. პოლიციის მთელი სისტემისათვის ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების საკითხებზე რეგულარული ტრენინგების და საინფორმაციო სესიების პრაქტიკის გაგრძელება.
2. მუშაობისას სოციალურ მუშაკებთან რეგულარული კოორდინაციის გაძლიერება ერთობლივი ტრენინგების ჩატარებითა და პროცედურების გადახედვით.
3. თუ ოჯახური ძალადობის შემთხვევებში ბავშვებიც ფიგურირებენ, შემაკავებელ ორდერებში მსხვერპლად იდენტიფიცირებული უნდა იყოს როგორც სრულწლოვანი, ისე ბავშვი. უნდა მოხდეს თემის გათვითცნობიერება ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებში, რაც ხელს შეუწყობს ძალადობის პრევენციის საქმეს და გაზრდის შეგნებას, რომ ძალადობის ყველა ფორმის შესახებ უნდა ეუწყოს პოლიციას.

ხშირად პირველი პოლიცია იწყებს ბავშვებზე ძალადობის შემთხვევებზე მუშაობას, ძირითადად – კერძო პირების (ხშირად ძალადობის შემსწრე მეზობლების ან ოჯახის წევრების) სატელეფონო ზარების საფუძველზე. გადაუდებელ შემთხვევებში, რეფერირების პროცედურების შესაბამისად, პოლიციას ატყობინებენ სკოლები (განსაკუთრებით სკოლის მანდატურები) და ჯანდაცვის დაწესებულებები.

პოლიციის როლი ბავშვებზე ძალადობის შემთხვევების იდენტიფიკაციისას მკაფიოდაა განსაზღვრული რეფერირების პროცედურებში (მუხლი 8).

ინფორმაციის მიღებისთანავე საპატრულო პოლიცია ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე. ადგილზე მისვლისას საპატრულო პოლიციას/საუბნო სამსახურს მოეთხოვება შემდეგი ქმედებები:

- ა) შეისწავლოს და შეაფასოს მდგომარეობა; გაესაუბროს სავარაუდო მსხვერპლს, მოძალადეს, ოჯახის წევრებს, მონაწილეს და, საჭიროების შემთხვევაში, მეზობლებს;
- ბ) მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვთან დაკავშირებით... საპატრულო პოლიციის ქმედებები, პირველ რიგში, ბავშვის უსაფრთხოებას და ჯანმრთელობის დაცვას უნდა უკავშირდებოდეს და ასახავდეს მის ინტერესებს;⁴

⁴ პოლიციამ შეიძლება მიიღოს შემდეგი ზომები: (მუხლი 8.1.b.)

- გამოიძახოს სასწრაფო დახმარება ან, საჭიროების შემთხვევაში, თავად გადაიყვანოს ბავშვი სამედიცინო დაწესებულებაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის მიზნით (თუ ბავშვის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება);
- ბავშვი გადაიყვანოს უსაფრთხო გარემოში მშობელთან, ან ოჯახის წევრთან ერთად, ან მარტო და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოიწვიოს შემაკავებელი ორდერი.

გ) მოცემული შემთხვევის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს ტელეფონით სოციალური მომსახურების სააგენტოს;

დ) შეადგინოს ოქმი ბავშვზე ძალადობის ფაქტისა და მიღებული ზომების შესახებ.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ანალიზი ეყრდნობა ინფორმაციის მხოლოდ ერთ წყაროს - პოლიციელებთან დისკუსიას ფოკუს-ჯგუფში. პოლიციელების სტრუქტურირებული გამოკითხვა ცალკე არ ჩატარებულა. უმეტეს შემთხვევაში დისკუსიებზე პოლიციელებს თან ახლდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ან მისი ადგილობრივი განყოფილების უფრო მაღალი რანგის თანამშრომლები.

ჯგუფებში დისკუსიების შედეგად გაირკვა, რომ პოლიციელები ძირითადად ცნობენ ძალადობის ნიშნებს, განსაკუთრებით, როდესაც ეს ვიზუალურადაც ჩანს:

„...უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვამონებთ ძალადობის ფიზიკურ ნიშნებს: სხეულის დაზიანებებს, ტრავმებს, სისხლჩაქცევებს, რაც შეიძლება ჩაგვრის მანიშნებელი იყოს ... შეიძლება ბავშვს აიძულებდნენ იმუშაოს ან იმათხოვროს...“ (პოლიცია, თბილისი);

„...იყო ერთი შემთხვევა, როდესაც ბებია-ბაბუა სათანადოდ არ უვლიდნენ ბავშვებს: სკოლაში არ უშვებდნენ, წესიერად არ აჭმევდნენ და 8-9 წლის გოგონა ნახევრად შიშველი დადიოდა...“ (პოლიცია, კახეთი).

ამის მიუხედავად, პოლიციელები კითხვის ქვეშ აყენებენ ძალადობის ზოგიერთ ფორმას, რასაც საზოგადოება დისციპლინურ ქმედებად მიიჩნევს.

„... მათ შეუძლიათ უყვირონ ბავშვს და თქვან, რომ ბავშვი მათია და რასაც უნდათ, იმას უზამენ. ჩვენ შეგვიძლია ჩარევა, თუ დახმარების თხოვნით მოგვმართავენ. მიუხედავად იმისა, რომ კანონი გარკვეულ უფლებას გვაძლევს, სინამდვილეში ძნელია აუხსნა მშობლებს, თუ რატომ არ შეიძლება საკუთარი ბავშვის ცემა“ (პოლიცია, ქვემო ქართლი).

ზოგიერთი პოლიციელი ფიქრობს, რომ გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ბავშვებზე ძალადობის ცნების უფრო მკაფიო განმარტება კანონმდებლობაში:

„... ზოგადად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მშობლების მხრიდან ბავშვთან ცუდი მოპყრობა, ცემაც კი, ჩვენი საქმე არ არის; საზოგადოება და ოჯახი ფიქრობს, რომ დასჯა ბავშვის აღზრდის განუყოფელი ნაწილია ...“ (პოლიცია, ბათუმი);

ძალადობის გამოვლენის სირთულეებზე საუბრისას პოლიციელებმა აღნიშნეს, რომ ზოგადად მოქალაქეებმა ან არ იციან მეზობელ ოჯახებში ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ, ან ეშინიათ ამაზე ლაპარაკი. აგრეთვე ითქვა, რომ საზოგადოება არ არის გარკვეული ძალადობის სხვადასხვა ფორმასა და ასპექტებში, რის გამოც არ ხდება ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი სამსახურებისთვის. ეს ურთულებს პოლიციას ბავშვებზე ძალადობის ფაქტების გამოვლენას და ანალიზს.

„... ძალადობის რეფერირება ყველას მოვალეობაა; მიუხედავად ამისა, ასე არ ხდება, რადგანაც მეზობლებთან კონფლიქტს ყველა ერიდება. მთავარი პრობლემა საზოგადოების მენტალიტეტია. აუცილებელია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, რომ ყველამ გაიგოს, რომ ეს ყველა ჩვენგანის და არა მხოლოდ კონკრეტული სკოლის, სოციალური მომსახურების სააგენტოს ან საავადმყოფოს საქმე და პასუხისმგებლობაა ...“ (პოლიცია, აჭარა).

„... მთავარი მიზეზი, რის გამოც მოსახლეობა ინფორმაციას არ გვანვდის, ჩვენი მენტალიტეტია: ოჯახის პრობლემების გარეთ გატანა სირცხვილად ითვლება...“ (პოლიცია, თბილისი);

პოლიციელებს ესმით, რომ თუ ოჯახურ ძალადობას ადგილი აქვს ოჯახის ზრდასრულ წევრებს შორის, ბავშვიც ძალადობის მსხვერპლი ხდება:

„...თუ ბავშვი ისეთ ოჯახში ცხოვრობს, სადაც კონფლიქტები მიღებული პრაქტიკაა, ბავშვიც ძალადობის მსხვერპლი ხდება, მიუხედავად იმისა, რომ ძალადობა უშუალოდ მის წინააღმდეგ მიმართული არ არის...“ (პოლიცია, აჭარა)

შემაკავებელი ორდერების გამოწერასთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ, როგორც აღმოჩნდა, შემაკავებელ ორდერებში უმეტესწილად მსხვერპლად მხოლოდ ოჯახის ზრდასრულ წევრებს ასახელებენ და ოჯახში მცხოვრები ბავშვები არ არიან მოხსენიებული. შესაძლოა ამ დროს არც არის გაცნობიერებული ამ ქმედების მნიშვნელობა ბავშვთა დაცვის რეფერალის ინიცირებისა და ბავშვის შემდგომი დახმარების უზრუნველსაყოფად.

ჯანდაცვის სექტორი და ბავშვზე ზრუნვის სამსახურები – ძალადობის შემთხვევების გამოვლენა

მთავარი მიგნებები

- მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის დაწესებულებები და სოფლის ექიმები იმ ორგანიზაციებისა და პირების ჩამონათვალში არიან, ვისაც ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და რეფერირება ევალება, ჯერჯერობით მათ არც ერთხელ არ მიუმართავთ სოციალური მუშაკებისათვის. ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალები პოლიციას მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში, სისხლის სამართლის დანაშაულის ეჭვის არსებობისას, მიმართავენ.
- ჯანდაცვის სფეროში არ არსებობს ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენის და რეფერირების რაიმე მარეგულირებელი წესები ან ინსტრუქციები.
- სოციალური დაცვის სააგენტოს სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ბავშვზე ზრუნვის სამსახურებიდან (დღის ცენტრების ჩათვლით) რეფერირების რიცხვი იზრდება.
- ჯერჯერობით არ არის დანერგილი ბავშვზე ზრუნვის ყველა სამსახურის პერსონალის სისტემატური ტრენინგების პრაქტიკა, რომლის მეშვეობითაც პროფესიონალები მიიღებდნენ ინფორმაციას ძალადობის ფაქტების გამოვლენის და რეფერირების პროცედურების შესახებ.
- ბავშვთა დაცვის რეფერირების შესახებ ინსტრუქციები ჯერჯერობით არ აქვს ბავშვზე ზრუნვის ყველა სამსახურს.
- ძალადობის შემთხვევების გამოვლენაზე პასუხისმგებლობა არ არის მოცემული სოციალური მომსახურების სააგენტოს შინაგანანესში. სოციალური მუშაკებისთვის მომზადებული გაიდლაინები მიუთითებს მხოლოდ სოციალური მუშაკების პასუხისმგებლობაზე სხვა წყაროებიდან მიღებული რეფერალზე რეაგირებისას.

ჯანდაცვის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის განკუთვნილი რეკომენდაციები

1. ჯანდაცვის სფეროში მარეგულირებელი მექანიზმების შემუშავება, რომლის საფუძველზეც ჯანდაცვისა და ბავშვზე ზრუნვის ყველა სამსახური, მათ შორის კერძო/სახელმწიფო, არასამთავრობო და რელიგიური ორგანიზაციები, სავალდებულო წესით იქნებიან ჩართული ბავშვთა დაცვის რეფერალის პროცესში. იმ მომსახურებების რეფერალის ვალდებულება, რომელთაც არ აფინანსებს სახელმწიფო, შეიძლება მიეზღოს პროფესიონალებისა და მომსახურებების სალიცენზიო მოთხოვნებს.
2. კონკრეტული ინსტრუქციების შემუშავება, თუ რა ზომები უნდა მიიღოს ჯანდაცვის სექტორმა ძალადობის შესახებ ეჭვის არსებობის დროს.
3. ბავშვის მიმართ ძალადობის რეაგირებაზე ვალდებულება უნდა შედიოდეს ჯანდაცვისა და ბავშვზე ზრუნვის სამსახურების შესაბამის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობაში. ამასთანავე, მკაფიოდ უნდა იყოს განერილი პასუხისმგებლობა არშეტყობინების შემთხვევაში.

4. რეგულარული ტრენინგების ჩატარება და რეფერირების ინსტრუქციების მიწოდება ბავშვზე ზრუნვის სამსახურების ყველა პროვაიდერისათვის, კერძო და საეკლესიო სუბიექტების ჩათვლით.
5. სოციალური მომსახურების სააგენტოს შინაგანანგეში ასევე უნდა იყოს შეტანილი, რომ სოციალურ მუშაკებს, მიღებულ რეფერალზე პასუხისმგებლობასთან ერთად, ეკისრებათ ძალადობის გამოვლენის პასუხისმგებლობაც; გარდა ამისა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა გაუფართოვოს პასუხისმგებლობა სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკებს და ოჯახების სიღარიბის დონის შეფასებისას დააკისროს ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენისა და რეფერალის ვალდებულებებიც. ამისათვის მათ უნდა მიეცეთ ინსტრუქციები და ჩაუტარდეთ საჭირო სწავლება.

სამედიცინო დაწესებულებები და სოფლის ექიმები

რეფერირების დოკუმენტში მკაფიოდაა მითითებული, რომ ბავშვებზე ძალადობის შემთხვევების რეფერირება არის ჯანდაცვის დაწესებულებებისა და სოფლის ექიმების პასუხისმგებლობა. რეფერირების პროცედურების მიხედვით, ბავშვზე ძალადობის ეჭვის არსებობის შემთხვევაში, „სამედიცინო დაწესებულებები და სოფლის ექიმები ვალდებული არიან, მათი კომპეტენციის ფარგლებში, ადგილზე გააანალიზონ სიტუაცია და, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია მიანოდონ პოლიციასა თუ სოციალური მომსახურების სააგენტოს“ (მუხლი 4.5.).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯერ კიდევ არ აქვს შემუშავებული რეფერალის შესაბამისი დეტალური პროცედურები სამედიცინო პერსონალისთვის და, ამდენად, არც ტრენინგები ჩატარებულა მათთვის.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ჯერჯერობით ჯანდაცვის პროფესიონალებისგან რეფერირების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა (სექტემბერი, 2012).

ჯანდაცვის სექტორის პასიურობა აიხსნება ბავშვებზე ძალადობის გამოვლენისა და რეფერირების პროცესში სახვდასხვა პროფესიონალის მოქმედების მარეგულირებელი ნებსებისა და კონკრეტული ინსტრუქციების არარსებობით. მედიცინის მუშაკები უმეტეს შემთხვევაში თავს ვალდებულად არ თვლიან, რომ ბავშვზე ძალადობის/ბავშვის საჭიროებების უგულებელყოფის შესახებ ინფორმაცია მიანოდონ სათანადო ორგანიზაციებს, თუ საქმე დარღვევების მკაფიოდ გამოსატყუალ ნიშნებთან არ აქვთ. ჯანდაცვის მუშაკები პოლიციას მხოლოდ ძალადობის აშკარა ნიშნების გამოვლენისას მიმართავენ, სოციალური მომსახურების სააგენტოს კი ბავშვის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში ატყობინებენ, როდესაც 24-საათიანი სახელმწიფო ზრუნვაა საჭირო. რადგანაც ძალადობის მსხვერპლმა და/ან ძალადობის ჩამდენმა შეიძლება დახმარებისათვის მედიცინის მუშაკებს მიმართოს, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათ ჰქონდეთ ინფორმაცია, თუ რა ევალებათ ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა და რეფერირების საქმეში. საჭიროა მკაფიოდ განსაზღვრული გაიდლაინების მომზადება და დანერგვა მედიცინის მუშაკებისათვის, რომ მათ შეძლონ ბავშვთა მიმართ ძალადობის უკეთესად ამოცნობა და საეჭვო შემთხვევებში რეაგირება.

ბავშვზე ზრუნვის სამსახურები

სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ბავშვებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების და სახელმწიფო დაწესებულებების მხრიდან რეფერირების რიცხვი იზრდება. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ორგანიზაციის ამ მიმართულების მაჩვენებლები განსხვავებულია. ტრენინგები, რომლებიც 2011 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის პარტნიორმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა – „პირველმა ნაბიჯმა“ და „საქართველოს ბავშვებმა“ უნარშეზღუდული ბავშვების ყველა დღის ცენტრის პერსონალისათვის ჩაატარეს (ტრენინგის მასალებში ძალადობის და რეფერირების კურსიც შედიოდა), იმედს იძლევა, რომ ამ ორგანიზაციების მხრიდან ანგარიშგება გაუმჯობესდება და რეგულარულ ხასიათს მიიღებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არ არის დანერგილი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ რეგულარულ ტრენინგებს მომსახურების მომწოდებელი ყველა თანამშრომლისათვის, სახელმწიფო, კერძო და რელიგიური პროვაიდერების ჩათვლით.

რეფერირების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების საჭიროებაზე მიგვანიშნებს ექსპერტებთან ჩალრმავებული ინტერვიუს შედეგებიც. საჭიროა ფორმალური ზრუნვის შემთხვევებში (ბავშვთა დიდ სახლებში, რაც დარჩა, ოჯახური ტიპის პატარა სახლებში და მინდობით აღზრდის შემთხვევებში) სოციალურმა მუშაკებმა რეგულარული მონიტორინგის ფარგლებში სათანადოდ შეძლონ ბავშვებზე ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირება, ანგარიშგება და რეაგირება.

„... ძალადობა ბავშვთა საცხოვრებელ დაწესებულებებში (ბავშვთა სახლებსა და ოჯახური ტიპის სახლებში) უდიდესი პრობლემაა. ამ საკითხს ჩვენ ერთი მთლიანი ანგარიში მივუძღვევით... იქ რეფერირება არ მუშაობს და სოციალურმა მუშაკებმა მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინონ ბავშვებზე ძალადობის ფაქტების გამოსავლენად...“ (სახალხო დამცველის ოფისი)

ბავშვთა დაცვის რეფერალის დოკუმენტის მიხედვით, „ბავშვზე ძალადობის შემთხვევების გამოვლენა ევალება ყველას, ვისაც შეხება აქვს ბავშვთან, იგულისხმება სკოლა, სამედიცინო დაწესებულება, სოფლის ექიმი, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულება, სააგენტო, უბნის განყოფილება თუ საპატრულო პოლიცია“. (მუხლი 6.1). აღსანიშნავია ამავე დოკუმენტის 4.1. მუხლისა და სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის შემოღებული გაიდლაინების მიხედვით, სოციალურ მუშაკებს ევალებათ რეაგირება მოახდინონ სხვა პროფესიონალებისაგან (პოლიცია, სკოლის თანამშრომლები, ჯანდაცვის დაწესებულების თანამშრომლები) მითითებულ ძალადობის შემთხვევებზე. მიუხედავად იმისა, რომ მათ უშუალო ფუნქციებში არ შედის ბავშვის მიმართ ძალადობის იდენტიფიცირება და რეაგირება ოჯახებში, ბავშვთა ზრუნვის დაწესებულებებსა და მიმღებ ოჯახებში რეგულარული ვიზიტების დროს.

ბავშვების შეფასება და რეაგირება

მთავარი მიგნებები

- პროფესიონალები ზოგიერთ ქცევას, მათ შორის ბავშვის ფიზიკურად დასჯას, ხშირად აფასებენ არა როგორც ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობას, არამედ როგორც ბავშვის აღსაზრდელ დისციპლინურ ზომას. ზოგიერთი პროფესიონალი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ძალიან მძიმე შემთხვევებს უნდა მიეცეს მსვლელობა.
- ხანდახან სოციალურ მუშაკსა და პოლიციელს შორის წარმოიშობა უთანხმოება შემთხვევის სიმძიმის და/ან შემაკავებელი ორდერის გამოწერის აუცილებლობის ან მსხვერპლის/ მოძღაღის შესაძლო ძალადობის გარემოდან გაყვანა-არგაყვანის გამო.
- გარკვეულ შემთხვევებში სოციალურ მუშაკებსა და პოლიციელებს შორის თანამშრომლობა დაფუძნებულია უფრო მეტად პირად ურთიერთობებზე, ვიდრე სამუშაო გაიდლაინებზე.
- გარკვეულ შემთხვევებში არსებობს საშიშროება, რომ მსხვერპლი ბავშვი ვერ მიიღებს აუცილებელ დახმარებას სოციალური სამსახურებისგან. ეს საშიშროება განასაკუთრებით იკვეთება მაშინ, როცა შემაკავებელ ორდერში ბავშვ(ებ)ი არ არიან იდენტიფიცირებული, როგორც ძალადობის შესაძლო მსხვერპლი და/ან იმ შემთხვევაში, როცა ბავშვები გადაყვანილი არიან ადგილობრივ თემში (ნათესავებთან, მეზობლებთან).
- სოციალური მუშაკების ინფორმაციით, უმეტეს შემთხვევაში ოფიციალური მომართვის ფორმები არ ივსება. უფრო ხშირად მიმართვა ხდება სატელეფონო ზარის საშუალებით, ყოველგვარი ფორმის შევსების გარეშე.

სამივე სამინისტროსთვის განკუთვნილი ძირითადი რეკომენდაციები

1. საკანონმდებლო ბაზის და ბავშვთა დაცვის რეფერალის პროცედურების დოკუმენტების გადახედვა იმისათვის, რომ მოხდეს ძალადობის სხვადასხვა ფორმის განმარტებების და დისციპლინური ზომების განსაზღვრა.

2. დაიხვეწოს ძალადობაზე რეაგირების პროცედურები (მაგ.: როდის უნდა მოხდეს შემაკავებელი ორდერის გამოწერა, როდის არის აუცილებელი მსხვერპლის ან მოძალადის ოჯახიდან გაყვანა) და ჰარმონიზაციაში მოვიდეს სხვადასხვა პროფესიონალისთვის (პოლიციელებისთვის, სოციალური მუშაკები) განერილი სამუშაო დუქემენტები, განისაზღვროს პოლიციასა და სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის სავალდებულო რეპორტირების კავშირები: სოციალური მუშაკები ჩართული უნდა იყვნენ ყველა იმ შემთხვევაში, სადაც ბავშვი ფიგურირებს და იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ბავშვისთვის ყველა შესაძლო რისკის შეფასება დროულად, მაშინაც კი, როდესაც ბავშვი არ არის იდენტიფიცირებული, როგორც ძალადობის პირველადი მსხვერპლი.
3. პროფესიონალების გათვითცნობიერება ბავშვთა დაცვის რეფერალის პროცედურებში სხვადასხვა პროფესიონალის როლებსა და მოვალეობებში.
4. პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლება, რომ იცოდნენ, თუ როგორ უნდა მოხდეს ოჯახებთან და ბავშვებთან ეფექტური მუშაობა და სახელმძღვანელო გაიდლაინების მეშვეობით ბავშვთა დაცვის რეფერალის არსებული პროცედურების განმტკიცება. მასალების მომზადების პროცესში ხაზი უნდა გაესვას სხვადასხვა უწყების და სააგენტოს თანამშრომლობას, პროფესიონალების მიერ ფორმების გამოყენება/არგამოყენების საკითხის შესწავლას და საჭიროების შემთხვევაში ფორმების შეცვლაზე მუშაობას, ასევე პროფესიონალების მიერ გამოვლენილ ძალადობის ფაქტებზე დოკუმენტების წარმოების სავალდებულო ხასიათს.
5. შემთხვევაზე რეაგირებისათვის აუცილებელი ერთობლივი გაიდლაინების შემუშავება სხვადასხვა პროფესიონალისათვის, მათი მკვეთრად განსაზღვრული უფლება-მოვალეობების მითითებით.
6. რესურსების გაძლიერება რეგულარული და ხარისხიანი ქმედებების უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჭირო რაოდენობის მობილური, მცოდნე და კვალიფიციური სოციალური მუშაკები.

ძალადობის შემთხვევის რეფერირების შემდეგ ბავშვის შეფასება სოციალური მუშაკების პასუხისმგებლობაა.⁵ რეფერირების პროცედურებში ნათქვამია, რომ „...სააგენტოს უფლებამოსილება ამ პროცედურების ფარგლებში არის ძალადობის მსხვერპლი ან სავარაუდო მსხვერპლი ბავშვის შეფასება, შემთხვევის მართვა, კონსულტირება, ბავშვისათვის საჭირო მომსახურების განწევა და ბავშვის მდგომარეობის ზედამხედველობა“ (მუხლი 4.3).

რეფერალის პროცედურების მიხედვით, პოლიცია (საპატრულო/უბნის) შეიძლება ჩაერთოს პროცესში საჭიროების შემთხვევაში შემაკავებელი ორდერის გამოწერით და შემდგომ მონიტორინგში მონაწილეობით სკოლის თანამშრომლებთან ერთად. მოსამართლეები იღებენ გადაწყვეტილებებს შემაკავებელი ორდერის დამტკიცების და დამცავი ორდერების გამოწერის შესახებ, ხოლო ადგილობრივი საბჭოები ერთვებიან, თუ საჭიროა ბავშვის 24-საათიანი ალტერნატიული მზრუნველობის დანესებულებაში გადაყვანა.

სოციალური მუშაკებისათვის რეფერირების წყაროები

ფოკუს-ჯგუფებში საკითხის განხილვის დროს სოციალური მუშაკებს დაუსვეს კითხვა, თუ ვინ ახდენდა ძირითადად ძალადობის შემთხვევების რეფერირებას. მათი პასუხები სხვადასხვა იყო: მეზობლები, სკოლის წარმომადგენლები, პოლიცია და, ზოგ შემთხვევაში – სამედიცინო პერსონალი.⁶ აგრეთვე ნახსენები იყვნენ ოჯახის წევრები და მედია. თბილისში ინფორმაციის ძირითადი წყაროა მეზობლები,

⁵ შიდა ინსტრუქციების მიხედვით, სოციალური მუშაკები საქმეზე მუშაობას იწყებენ მხოლოდ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან საქმის რეფერირების შემდეგ. მიუხედავად ამისა, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების მიხედვით, სამედიცინო დანესებულებების, სკოლების და ბავშვზე ზრუნვის დანესებულებების წარმომადგენლებს, ჯანდაცვის პროფესიონალებს და პოლიციას უნდა შეეძლოთ საწყისი შეფასების გაკეთება და დადგენა იმისა, არის თუ არა ბავშვი ძალადობის მსხვერპლი.

⁶ სოციალური დაცვის სააგენტოს სტატისტიკურ მონაცემებში არ არის დაფიქსირებული ჯანდაცვის დანესებულებების ან სამედიცინო პერსონალის მიერ რეფერირების თუნდაც ერთი შემთხვევა.

სკოლის წარმომადგენლები (დირექტორები, მანდატორები) და პოლიცია. ისინი სოციალური მომსახურების სააგენტოს პირდაპირ ან ცხელი ხაზის მეშვეობით უკავშირდებიან. ქვემო ქართლში სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციას აწვდიან მეზობლები, ოჯახის წევრები, სკოლის წარმომადგენლები და ზოგჯერ – სამედიცინო პერსონალი. კახეთსა და თბილისში ინფორმაციის წყაროდ აგრეთვე ნახსენები იყო სახალხო დამცველის ოფისი და სატელეფონო ახალი ამბები.

ამასთან, ყველა სოციალურმა მუშაკმა აღნიშნა, რომ სატელეფონო შეტყობინებები ძირითადად ანონიმურია და/ან ინფორმაციის მიმწოდებლები ითხოვენ, რომ მათი სახელები არ გამჟღავნდეს და კონფიდენციალურობა მკაცრად იყოს დაცული.

„...ჩვენ ვიღებთ შეტყობინებებს, მაგრამ ყველა მათგანი ანონიმურია. ვინაობის გასამჟღავნებლად დიდი გამბედაობაა საჭირო... მათ ეშინიათ, რომ საზოგადოება გარიყავს, განსაკუთრებით სამეზობლოში მომხდარი ინციდენტების შემთხვევაში...“ (სოციალური მუშაკი, ქვემო ქართლი).

„... მეზობლებს, როგორც წესი, ჩარევის ეშინიათ, რადგანაც თვლიან, რომ ეს მათი საქმე არ არის... ხშირად ისინი სხვა სახელით გვეცნობიან და არასწორ საკონტაქტო ინფორმაციას გვაძლევენ...“ (სოციალური მუშაკი, თბილისი).

„...ზოგჯერ მოქალაქეებმა იციან ძალადობის შესახებ, მაგრამ თვლიან, რომ არ უნდა ჩაერიონ...“ (სოციალური მუშაკი, თბილისი)

კვლევის შედეგების მიხედვით, ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას ანონიმურობას მხოლოდ ჩვეულებრივი მოქალაქეები როდი ითხოვენ. საკუთარი ვინაობის გამჟღავნება ხშირად ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებსაც არ სურთ. აღმოჩნდა, რომ პროფესიონალებს არც ერთი შემთხვევის დროს არ შეუფასიათ პროცედურებით განერილი ფორმები. კვლევაში მონაწილე სოციალურმა მუშაკებმა გარკვეულწილად ახსნეს ის მიზეზები, რომელთა გამოც პროფესიონალები თავისი ვინაობის გამჟღავნებისაგან იკავებენ თავს:

„... მათ [სკოლის მასწავლებლებს] სტიგმის ეშინიათ. მათ არა მხოლოდ შურისძიების ეშინიათ, არამედ ოჯახის წევრების/ქმრებისაც რცხვნიათ, რადგანაც ასეთი ქმედება სხვისი ოჯახის საქმეებში ჩარევად აღიქმება...“ (სოციალური მუშაკი, ქვემო ქართლი).

„... მასწავლებლები რეფერირებას ახდენენ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ცდილობენ შემდგომ მონაწილეობას თავი აარიდონ, რომ მშობლებმა მათზე შური არ იძიონ...“ (სოციალური მუშაკი, აჭარა).


სოციალური მუშაკების უნარი, შეაფასონ ძალადობის შემთხვევები

სოციალური მუშაკების მიერ მოქმედების სწორი გზის არჩევის უნარი დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კარგად ესმით მათ, თუ რა უნდა ჩაითვალოს ბავშვებზე ძალადობად და, ასევე, თუ ვინ მიიჩნევა ბავშვად. საქართველოს კანონმდებლობით, ბავშვი არის 18 წლამდე ასაკის ყველა პირი. კითხვაზე, თუ რა ასაკამდე ითვლებიან ბიჭები და გოგონები ბავშვებად, სოციალურმა მუშაკებმა საგანგაშო პასუხები გასცეს: სოციალური მუშაკების მხოლოდ 39 პროცენტმა დაასახელა სწორი ასაკი (18) გოგონებისთვის და მხოლოდ 46 პროცენტმა - ბიჭებისათვის.

ინტერვენციების სწორი დაგეგმვა დიდწილად არის განპირობებული, თუ რამდენად კარგად ესმით პროფესიონალებს, რა არის ბავშვების მიმართ ძალადობა.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ რესპონდენტი სოციალური მუშაკების 88% სწორად განმარტავს და ცნობს ძალადობის ყველა ფორმას. სოციალური მუშაკების მხოლოდ 78 პროცენტს ესმის ფსიქოლოგიური ძალადობის ყველა მარჩენებელი.

გრაფიკი 3: სოციალური მუშაკების პროცენტული მაჩვენებელი, ვინც იცის ძალადობის სხვადასხვა ფორმის ნიშნები



როგორც ჩანს, სოციალური მუშაკების 60%-ზე მეტი სწორად ახდენს ძალადობის ყველა ფორმის იდენტიფიცირებას. თუმცა აღსანიშნავია კვლევის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების აზრი, რომ სოციალურ მუშაკებს და სხვა პროფესიონალებს აკლიათ უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია ძალადობის ცნების სწორად გაგებისა და ფიზიკური ძალადობის გარდა სხვა ძალადობის ფორმების ნიშნების ამოცნობისა. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების აზრით, აუცილებელია პროფესიონალების უნარების ამ მიმართულებით განვითარება:

“...უმეტეს შემთხვევაში, ძალადობის ნიშნები არ არის მკაფიოდ გამოხატული და შეიძლება სხვა სომატურ სიმპტომებში აგვერიოს... პროფესიონალებმა უნდა იცოდნენ როგორ ჩაუტარონ ინტერვიუ ბავშვებს...” (PHF).

“... შეზღუდული უნარების მქონე ბავშვების შემთხვევაში ხდება მხოლოდ ფიზიკური ძალადობის ნიშნების ამოცნობა, რადგან პროფესიონალებს არ აქვთ სათანადო კომპეტენცია და ცოდნა, რომ ამოიცნონ ძალადობის სხვა ფორმების ნიშნები, განსაკუთრებით, თუ საქმე ეხება ბავშვის საჭიროებების უზრუნველყოფას... მათ აკლიათ გარკვეული უნარ-ჩვევები და არ იციან, თუ როგორ უნდა გააკეთონ შეფასება და ამოიღონ კონკრეტული ინფორმაცია ძალადობის შესახებ” (CoG).

“...ძალადობის შესაფასებლად მათ [სოციალურ მუშაკებს] სჭირდებათ სათანადო უნარ-ჩვევები და ცოდნა, რომელიც მათ არ გააჩნიათ... ამრიგად, მათ ესაჭიროებათ ფსიქოლოგები, მაგრამ სოციალური მომსახურების სააგენტოს უშუალოდ ბავშვების შეფასებაზე მომუშავე ფსიქოლოგები არ ჰყავს; ისინი ამ მხრივ არასამთავრობო ორგანიზაციების მომსახურებას იყენებენ, რაც ყოველთვის არც არის შესაძლებელი, რადგან მათი საქმიანობა, თავის მხრივ, ხშირად დონორებზეცაა დამოკიდებული...” (სახალხო დამცველის ოფისი).

მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ უმეტეს შემთხვევაში ისინი კმაყოფილი არიან სოციალური მუშაკების მუშაობის შედეგებით; თუმცა, ზოგ შემთხვევაში, სოციალური მუშაკების მიერ გაკეთებული შეფასებები მათთვის არაადამაკმაყოფილებელი და არასაკმარისია. ამავე დროს მათ ჰქონდათ შემთხვევები, როდესაც საჭირო იყო დამატებითი მუშაობის ჩატარება – საჭირო იყო ინფორმაცია სკოლიდან, მეზობლებისაგან და ოჯახური მდგომარეობის უფრო ვრცელი შეფასება, რაც საქმეში არ იყო.

“... ზოგიერთი ნამუშევარი მართლაც კარგია, ზოგი კი - არც ისე და ჩვენ, საბოლოო გადანყვეტილების მიღებამდე, ახალი ფაქტების მოძიებას ვითხოვთ...” (მოსამართლე, თბილისი)

“... ვფიქრობ, ოჯახში ერთი ან ორი ვიზიტი საკმარისი არ არის; საქმის სასამართლოში გადაცემამდე სიტუაციის შესაფასებლად ერთი-ორი თვე მაინცაა საჭირო...” (მოსამართლე, კახეთი)

“...მქონდა შემთხვევები, როდესაც სოციალურმა მუშაკებმა ძალიან ზერელე შეფასება მომანოდეს, რადგანაც ძირითადად მშობლებთან მუშაობდნენ და არა ბავშვებთან... ვფიქრობ, მათ ბავშვებთან უფრო მეტად უნდა იმუშაონ...” (მოსამართლე, რუსთავი).

პოლიციის წარმომადგენლებმაც აღნიშნეს, რომ აუცილებელია სოციალურმა მუშაკებმა უფრო ინტენსიურად იმუშაონ ბავშვებთან:

„... ჩემი აზრით, უმეტესობამ ბავშვებთან მუშაობა არ იცის. მათ იციან, როგორ იმუშაონ უფროსებთან, მაგრამ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება არ აქვთ ... მათ მეტი სპეციალიზაცია სჭირდებათ...“ (პოლიცია, თბილისი).

სოციალური მუშაკებისეული ბავშვების შეფასება შესაძლოა სხვადასხვა მიზეზით იმსახურებდეს შენიშვნებს: ა) მოსამართლეები, პოლიცია და სხვები არ არიან ინფორმირებული, პროცედურების მიხედვით რა ევალებათ სოციალურ მუშაკებს; ბ) სოციალური მუშაკები სრულფასოვნად არ ასრულებენ მათზე რეფერალთ დაკისრებულ მოვალეობებს და/ან გ) პროცედურები/გაიდლაინები მკაფიოდ არ განსაზღვრავს, როგორ უნდა იმუშაონ სოციალურმა მუშაკებმა ბავშვებთან და ოჯახებთან.


შესაბამისად, საჭიროა პროფესიონალებმა კარგად გაიგონ რა ევალებათ (ფუნქციები და მოვალეობები) პროცედურებში მონაწილე სხვა პროფესიონალებს. ამასთანავე საჭიროა პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლება და რეფერალის არსებული პროცედურებისა და შესაბამისი გაიდლაინების შევსება მეთოდოლოგიური მასალებით. პროფესიონალების ტრენინგები უნდა გულისხმობდეს პრაქტიკასთან ინტეგრირებულ ტრენინგებს.

პროფესიონალების როლი ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების საქმეში

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაკების უმეტესობა სწორად განსაზღვრავს ბავშვზე ძალადობის სხვადასხვა ფორმას, მათ ყოველთვის არ აქვთ კარგად გაცნობიერებული საკუთარი როლი შემთხვევაზე რეაგირების ღონისძიებებში. მაგალითად, სოციალური მუშაკების 100% დარწმუნებულია, რომ ბავშვის ინტერესების უზრუნველყოფა საქართველოში სერიოზული პრობლემაა, მაგრამ მხოლოდ 64% მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევებში აუცილებელია სოციალური მომსახურების სააგენტოს ჩარევა. თუკი ამ მონაცემებს შევაჯერებთ მონაცემებთან (სკოლის თანამშრომელთა ფოკუს-ჯგუფების განხილვებიდან), რომლებიც აჩვენებენ, რომ სოციალური მუშაკების ჩართვა სწორად არასაჭიროდ იყო მიჩნეული, გამოვლინდება ის პრობლემები, რაც ხელს უშლის სისტემას, რომ გაუმკლავდეს ბავშვის უზრუნველყოფის შემთხვევებს.

სექსუალური და ფიზიკური ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით უფრო მკაფიოდ ჩანს სოციალური მუშაკების ჩარევის აუცილებლობა. კვლევამ აჩვენა, რომ:

გრაფიკი 4: იმ სოციალური მუშაკების პროცენტული წილი, რომლებმაც საკითხის სერიოზულობა ესმით და სოციალური მომსახურების სააგენტოს ჩარევას საჭიროდ მიიჩნევენ



რესპონდენტების იმ ნაწილმა, რომლებმაც თქვეს, რომ ძალადობაზე რეაგირების პროცესში პროფესიონალების ჩართვა საჭირო არ არის, აღნიშნეს, რომ რეაგირებისას ძირითადი გადამწყვეტი ფაქტორებია ძალადობის სისასტიკე და განმეორებადობა: სოციალური მუშაკების 36%, მანდატურების 40% და მასწავლებლების 69% მიიჩნევს, რომ ძალადობის შემთხვევის რეფერირება და მასზე

რეაგირება საჭიროა მაშინ, როდესაც ის მძიმეა და მეორდება. უფრო მეტიც, ყველა პროფესიონალის 46% (სოციალური მუშაკები, სკოლების წარმომადგენლები და პოლიცია) აღნიშნავს, რომ ძალადობის რეგულარული ხასიათი გადამწყვეტი ფაქტორია მასზე რეაგირებისათვის.

პროფესიონალების ნაწილი ქცევის გარკვეულ ტიპს, როგორცაა, მაგალითად, ბავშვის ფიზიკური დასჯა, დისციპლინურ ზომად მიიჩნევს და არა ბავშვის მიმართ ძალადობად. ზოგს კი სჯერა, რომ ბავშვის მიმართ გამოვლენილი ძალადობის მხოლოდ მძიმე ფორმებია მიუღებელი, რაც საჭიროებს სხვა უწყებებისთვის შეტყობინებას, ხოლო მირტყმა და დატუქსვა მხოლოდ აღზრდის მეთოდებია.

ზოგი პროფესიონალი, უმეტესად პოლიციელები, მიიჩნევენ, რომ გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად კანონმდებლობაში უფრო მკაფიოდ უნდა იყოს განმარტებული, თუ რა ითვლება ბავშვებზე ძალადობად.

„... ინსტრუქციები მკაფიოა, მაგრამ პრაქტიკაში მათი განხორციელება ძნელია: ძნელია გაავლო ხაზი ძალადობასა და დისციპლინურ ზომას შორის. კარგი იქნებოდა, რომ ეს უფრო მკაფიოდ განისაზღვროს კანონმდებლობაში...“ (პოლიცია, კახეთი).

ფოკუს-ჯგუფების დისკუსიებით გაირკვა, რომ პოლიციელები უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს იმ სიტუაციებში, რომლებზე რეაგირების პასუხისმგებლობაც (სისხლის სამართლის საქმეზე რეაგირება) მათ რეფერალის მიღებამდეც ჰქონდათ და/ან როცა სხვა მუშაკების ჩართვა ნაკლებად არის საჭირო. იმ შემთხვევებში, როცა რეფერალი მოითხოვს სხვა პროფესიონალების ჩართვასაც, პრობლემებიც იჩენს თავს.

ხშირად პოლიციელები, შემთხვევაზე გასვლის დროს, აფასებენ რა ოჯახში მდგომარეობას, პირადი შეხედულებებისამებრ მოქმედებენ.

„...თუ მაქვს ეჭვი და შინაგანად დარწმუნებულიც ვარ, დაკითხვას ვატარებ კანონის შესაბამისად...“ (თბილისი).

„...შემაკავებელ ორდერებს მხოლოდ ექსტრემალურ შემთხვევებში ვადგენთ... მანამდე საჭიროა გასაუბრება და სიტუაციის შესწავლა...“ (აჭარა);

პოლიციის წარმომადგენლებმა უფრო კონკრეტულად აღწერეს, თუ რა პრაქტიკას იყენებენ ამკრძალავი ორდერების გამოწერის დროს:

„... საგანგებო შემთხვევებში ჩვენ გადაწყვეტილებას ვიღებთ და შემაკავებელ ორდერს ვადგენთ, თუმცა ზოგჯერ მონიტორინგისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის 6 თვეა საჭირო...“ (პოლიცია, ქვემო ქართლი);

„...შემაკავებელ ორდერს ვწერ იმ შემთხვევაში, როდესაც ძალადობა რეგულარულ ხასიათს ატარებს და უკვე რამდენიმე გაფრთხილება მაქვს მიცემული...“ (პოლიცია, კახეთი)

ზოგჯერ ჩნდება უთანხმოება სოციალურ მუშაკებსა და პოლიციის წარმომადგენლებს შორის ძალადობის სისასტიკესთან დაკავშირებით და/ან იმის გამო, თუ როდის უნდა გამოიწეროს შემაკავებელი ორდერი და/ან როდის უნდა გადავიყვანოთ მსხვერპლი და დამრღვევი სახლიდან, სადაც ძალადობა მოხდა. როგორც აღმოჩნდა, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და პოლიციის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაცია ყოველთვის სათანადოდ ვერ ხორციელდება. სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა პრაქტიკა გამოიყენება, რაც უმეტესად სხვადასხვა პროფესიონალის პირადი ურთიერთობებით და შეხედულებებითაა განპირობებული.

„... მსმენია, რომ ზოგიერთ ჩემს კოლეგას პრობლემები აქვს, თუმცა ჩვენს რეგიონულ ოფისში ჩვენ მოვახერხეთ პოლიციასთან ძალიან კარგი პროფესიული ურთიერთობების დამყარება... ჩვენ ინტენსიურად ვთანამშრომლობთ: ჩვენ მათ დახმარებას ვუწვევთ და ისინიც ძალიან გვინწყობენ ხელს...“ (სოციალური მუშაკი, თბილისი).

როგორც ჩანს, იმ შემთხვევებში, როდესაც პოლიცია შემაკავებელ ორდერს არ წერს, მაგრამ სოციალური მუშაკი მიიჩნევს, რომ ბავშვისთვის რისკი სერიოზულია, სოციალური მუშაკი უფრო აქტიურად მოქმედებს და ბავშვი სახლიდან უსაფრთხო ადგილას პოლიციის ოქმის საფუძველზე გადაჰყავს.

„საგანგებო შემთხვევებში ჩვენ ზომებს ვიღებთ და ზოგჯერ ბავშვის სახლიდან სხვაგან გადაგვყავს, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ შემაკავებელი ორდერი არ გასცა.... განსაკუთრებით, თუ საქმე გვაქვს ბავშვის საჭიროებების უგულვებელყოფასთან ... ბავშვის საგანგებო მზრუნველობის ქვეშ გადასაცემად გვჭირდება პოლიციის ოქმი, ხოლო შემაკავებელი ორდერი აუცილებელი არ არის...“ (სოციალური მომსახურების სააგენტო).

რეფერირების პროცედურების მიხედვით, მსხვერპლი ბავშვის აღმოჩენისას პოლიცია ვალდებულია შეატყობინოს სოციალური მომსახურების სააგენტოს შემაკავებელი ორდერის შედგენის შესახებ.

თუ ბავშვი ოჯახში რჩება, სოციალური მუშაკები ოჯახზე დაკვირვებას იწყებენ ოჯახში ვიზიტების, ექიმებთან სატელეფონო საუბრების, მასწავლებლებთან და ადგილობრივ პოლიციასთან თანამშრომლობის გზით. ამასთან, სოციალური მუშაკები მუშაობენ ძალადობის ჩამდენ პირებთან, რომ მათი აღმზრდელითი უნარები გამოაკეთონ. გაირკვა, რომ ზოგჯერ პროცესში ფსიქოლოგებიც მონაწილეობენ:

„... ჩვენ ვასწავლით, თუ როგორ უნდა აჭამონ და მოუარონ ბავშვს სწორად... ზოგ შემთხვევაში დედამ შეიძლება არასწორი ჩვენება მოგვცეს, ამიტომ ის უნდა გადავამოწმოთ. თუ დედამ სამედიცინო დანესებულებას მიაკითხა, შეიძლება დავურეკო ექიმს; აგრეთვე მივალ სკოლაში და დამრიგებელს დაველაპარაკები; შევამოწმებ, რა შედეგებს მიაღწია ფსიქოლოგმა და ა.შ....“ (სოციალური მუშაკი, თბილისი).

როდესაც შემაკავებელი ორდერი ფორმდება და ბავშვი ოჯახიდან გადაჰყავთ, სოციალური მუშაკი ამზადებს საქმეს მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოსათვის⁷, რომ ბავშვი საოჯახო ტიპის 24-საათიან ალტერნატიულ მზრუნველობას გადასცენ. უმეტეს შემთხვევაში საბჭოს წევრები (მაგ.: ფსიქოლოგები) მონაწილეობენ შეფასების და ინტერვენციის პროცესშიც, განსაკუთრებით – რეგიონებში.

„... ჩვენ ვამზადებთ მასალებს, ვაანალიზებთ და ვადგენთ განვითარების გეგმებს საბჭოსათვის დასამტკიცებლად.... ისინი [წევრები] ინფორმირებული არიან ნინასწარ...“ (სოციალური მუშაკი, აჭარა);

„... ჩვენს ოფისში ფსიქოლოგი არ გვყავს და ამიტომ რეგიონული კომისიის წევრი ფსიქოლოგი კვირაში ერთხელ მოდის ჩვენთან ჩვენს საქმეებზე სამუშაოდ....“ (სოციალური მუშაკები, კახეთი);

„... საბჭოს წევრები სხვადასხვა პროფესიის პროფესიონალები არიან.... ჩვენ ერთად ვმუშაობთ...“ (სოციალური მუშაკი, თბილისი).

უმეტეს შემთხვევაში, რესპონდენტების აზრით, „მინდობით აღზრდისა და ზრუნვის რეგიონული საბჭო“ ძალიან კარგად თანამშრომლობს და მოქნილობას იჩენს ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარე. ზოგჯერ მას გადაწყვეტილებების მიღება უხდება განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ბავშვი სასწრაფოდ უნდა განათავსონ 24-საათიანი სახელმწიფო ზრუნვის დანესებულებაში.

„... ხდება ხოლმე, რომ საბჭოს ხელმძღვანელი გადაწყვეტილებას იღებს საგანგებო სიტუაციებში, როდესაც ბავშვი სასწრაფოდ უნდა იქნეს გადაყვანილი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ. ჩვეულებრივ თითო საქმეზე სამუშაოდ ჩვენ 3 თვეს ვიღებთ...“ (სოციალური მუშაკი, ქვემო ქართლი).

თუ ბავშვი და დედა თავშესაფარში ერთად გადაჰყავთ, ან თუ ისინი რჩებიან ოჯახში, სადაც რისკი გამოვლინდა, ან თუ ითვლება, რომ ბავშვის რისკი განსაკუთრებულად მაღალია და ის ალტერნატიულ ზრუნვას უნდა მიანდონ, სისტემა ადეკვატურად რეაგირებს. მაგრამ ასევე არსებობს მდგომარეობები, როცა დედები და ბავშვები ვერ იღებენ სათანადო ყურადღებას სოციალური მუშაკებისგან, მიუხედავად დიდი ალბათობისა, რომ ძალადობა გაგრძელდება.

⁷ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოები ყველა რეგიონში არსებობს და მინიმუმ თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ იკრიბებიან სოციალური მუშაკების მიერ წარმოდგენილი საქმეების განხილვისა და დამტკიცების მიზნით. საბჭოების შემადგენლობაში შედიან სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგიონული საკოორდინაციო ცენტრის უფროსის მოადგილე, რომელიც იმავდროულად ასრულებს საბჭოს ხელმძღვანელის როლს, იურისტი, ფსიქოლოგი, ექიმი, ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურს ცენტრის, ადგილობრივი თვითმმართველობის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

რეფერალის პოტენციური სისუსტე მჟღავნდება, როცა შემაკავებელ ორდერში მხოლოდ დედები (ბავშვების გარეშე) არიან ძალადობის მსხვერპლად იდენტიფიცირებული. ამ შემთხვევაში პოლიციას არ აქვს პასუხისმგებლობა შეატყობინოს სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკებს მაშინაც კი, როდესაც ოჯახში არის ბავშვი.

როდესაც ინტერვენციის შედეგად დედა და ბავშვი გადადის თავშესაფარში, უკვე თავშესაფრის ადმინისტრაცია ატყობინებს სოციალური მომსახურების სააგენტოს და რთავს მუშაობის პროცესში. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დედა და ბავშვი სახლს ტოვებენ და საცხოვრებლად ადგილობრივი თემის სხვა წევრებთან (მეზობლებთან, ნათესავებთან და ა.შ.) გადადიან, სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმირება არ ხდება. ბავშვი სისტემისა და სოციალური მუშაკების ყურადღების არეალში ვერ ხვდება, რის გამოც არ ხდება მისი საჭიროებების სათანადოდ შეფასება და უზრუნველყოფა.

რეფერირება – რეაბირების შემდეგ ბავშვის მდგომარეობაზე დაკვირვება

სამივე ზემოხსენებული სუბიექტი - სოციალური მომსახურების სააგენტო, სკოლები/ბავშვთა აღზრდის დაწესებულებები და პოლიცია - „თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩართული არიან ძალადობის მსხვერპლ ბავშვზე ზედამხედველობის პროცესში“ [მუხლები 4.2, 4.3, 4.4, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები]. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური მუშაკი საქმის მენეჯერად ითვლება (მუხლი 4.3), სოციალური მომსახურების სააგენტო პასუხისმგებელია შეაგროვოს ინფორმაცია სხვა მონაწილე მხარეებისაგან და უხელმძღვანელოს დაკვირვების/ზედამხედველობის პროცესს.

მონიტორინგი

მთავარი მიგნებები

- სოციალურ მუშაკებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობები მონიტორინგთან დაკავშირებით, ვიზიტების სიხშირისა და სკოლა/პოლიციასთან კონტაქტის ჩათვლით; ამავე დროს სხვა პროფესიონალები მიიჩნევენ, რომ სოციალური მუშაკები უფრო პროაქტიური უნდა იყვნენ.
- უმეტეს შემთხვევაში, სკოლები მონაწილეობას იღებენ მონიტორინგში, თუმცა გარკვეული ტენდენციით ეს მხოლოდ სოციალური მუშაკების მოვალეობად მიიჩნევა.
- რაიონის პოლიცია საქმეში ერთვება საპატრულო პოლიციისაგან შემაკავებელი ორდერების მიღების შემდეგ, უზრუნველყოფს ამ ორდერების შესრულებას და ზოგჯერ შეიძლება ბავშვისა და ოჯახის მონიტორინგის საჭიროებისასაც ჩაერთოს.
- სხვადასხვა სააგენტოს შორის კოორდინაციის პროცესი ყოველთვის ისე არ მიმდინარეობს, როგორც საჭიროა, რაც გამოწვეულია იმით, რომ სხვადასხვა პროფესიონალის როლი და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არ არის განერილი.
- პროფესიონალებმა აღნიშნეს, რომ არ არიან კმაყოფილი მონიტორინგის პროცესში სხვა ჩართული მხარის მიერ ჩატარებული სამუშაოთი.

სამივე სამინისტროსთვის განკუთვნილი ძირითადი რეკომენდაციები

1. მონიტორინგისას თითოეული მონაწილე მხარის როლისა და პასუხისმგებლობების მკაფიოდ განსაზღვრის მიზნით ერთობლივი ინსტრუქციების შემუშავება.
2. რესურსების გაზრდა რეგულარული და ხარისხიანი მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკების მხრივ, რომელთა კვალიფიკაცია, რაოდენობა და მობილურობა მოთხოვნების შესაბამისი უნდა იყოს.

3. მკაფიო მეთოდოლოგიური გაიდლაინების შემუშავება ოჯახებთან და ბავშვებთან მუშაობისათვის. სატრენინგო მასალების მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა სააგენტოს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას.

როგორც ითქვა, სოციალური მუშაკები რეგულარულად აკითხავენ ბავშვებს, განსაკუთრებით, თუ ისინი ძალადობის გამო ახლადგადაყვანილი არიან ოჯახებიდან - ასეთ შემთხვევაში სოციალური მუშაკები კვირაში ერთხელ მაინც სტუმრობენ ბავშვის ახალ გარემოს.

„...ჩვენ რეგულარულ ვიზიტებს ვატარებთ... თუ ბავშვი ოჯახიდან მინდობით აღსაზრდელად გადაგვყავს; თვეში ოთხჯერ ვაკითხავთ... შემდეგ თვეში ერთხელ... თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება ყოველდღე მოვინახულოთ. ზოგჯერ ვაკითხავთ სკოლებში, საბავშვო ბაღებსა და სამედიცინო დაწესებულებებშიც ...“ (სოციალური მუშაკი, თბილისი);

„...ვამონებთ, რა ხდება მათ ცხოვრებაში: დადიან თუ არა სკოლაში, ფსიქოლოგთან და ა.შ. მათი ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად... მეორე მხრივ, ვცდილობთ საკუთარ სახლებში გავუუმჯობესოთ მდგომარეობა ... ინტენსიურად ვმუშაობთ ძალადობის ჩამდენ პირებთან და ამ საქმეში ფსიქოლოგების მონაწილეობა ძალიან გვეხმარება...“ (სოციალური მუშაკი, აჭარა).

უმეტეს შემთხვევაში მონიტორინგის პროცესში სკოლის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ - ისინი ინფორმაციას აწვდიან სოციალურ მუშაკებს ბავშვის აკადემიური მოსწრებისა და დასწრების შესახებ.

„...მას შემდეგ, რაც ჩვენ სკოლაში მივიღვართ და მათ შემთხვევის შესახებ ვატყობინებთ, უფლება გვაქვს მივიღოთ მათ ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია: ბავშვის ნიშნები, მასზე დაკვირვების ჩანაწერები, ყოველთვიური შედეგები და ა.შ. ჩვენ რეგულარული კომუნიკაცია გვაქვს მათთან, რადგანაც მათ ბავშვზე ყოველდღიური დაკვირვების საშუალება აქვთ... ჩვენ ვმუშაობთ, როგორც ერთი გუნდი...“ (სოციალური მუშაკი, აჭარა).

კვლევის შედეგად აგრეთვე გაირკვა, რომ ზოგ შემთხვევაში, ბავშვზე მონიტორინგის პროცესში, უბნის პოლიციის მუშაკებიც თანამშრომლობენ სხვა პროფესიონალებთან. უბნის პოლიცია ერთვება მას შემდეგ, რაც საპატრულო პოლიციისაგან შემაკავებელ ორდერს იღებს, რადგანაც მან ამკრძალავი ორდერების შესრულება უნდა უზრუნველყოს; პოლიცია იმ შემთხვევაშიც მონაწილეობს, როდესაც ბავშვზე და ოჯახურ მდგომარეობაზე დაკვირვებაა საჭირო:

„...როდესაც ჩვენ შემაკავებელ ორდერს გამოვცემთ, ინფორმაციას პოლიციის ადგილობრივი განყოფილება იღებს და პოლიციის (საუბნო) თანამშრომლები ვალდებული არიან რეგისტრაციაში გაატარონ ასეთი ოჯახები, შეიმუშაონ მათი მონიტორინგისათვის კონკრეტული მიდგომა და უფრო ახლოდან დააკვირდნენ მათ...“ (პოლიცია, თბილისი);

„...უბნის პოლიციის ყველა თანამშრომელი იღებს თავისუბანში გაცემულ დაცვის ორდერებს... თანამშრომლები რეგულარულ დაკვირვებას აწარმოებენ ოჯახური სიტუაციის შემონების მიზნით...“ (პოლიცია, კახეთი);

„...ჩვენ ვინვეთ პოლიციას მონაწილეობისათვის... ამის შემდეგ ისინი მიდიან ოჯახებში და ესაუბრებიან ბავშვსა და მოძალადე მშობლებს... ისინი აგრეთვე ცდილობენ ოჯახებში ძალადობის პრევენციას... დამრიგებლები აგრეთვე ვალდებული არიან რეგულარულად მოინახულონ და იმუშაონ ასეთ ოჯახებთან“ (სოციალური მუშაკი, ქვემო ქართლი);

„...პროცესში მონაწილეობენ უბნის პოლიციის თანამშრომლებიც, რადგანაც ისინი ვალდებული არიან დააკვირდნენ სიტუაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი სახლშია და ძალადობის ფაქტი დადასტურებულია...“ (სოციალური მუშაკი, კახეთი).

მიუხედავად ამისა, ჩანს, რომ სხვადასხვა ორგანიზაციის შორის კოორდინაცია ყოველთვის სათანადოდ არ წარიმართება, რადგანაც სხვადასხვა პროფესიონალის როლი და პასუხისმგებლობები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. უფრო მეტიც, პარტნიორი ორგანიზაციები ყოველთვის კმაყოფილი არ არიან თანამშრომლობით.

„... როგორც კი პროცესში სოციალური მუშაკი ერთვება, ჩვენი მონაწილეობა ამით მთავრდება... ვებმარებით მაშინ, როცა მათ ჩვენი დახმარება სჭირდებათ; თუ რაიმე ახალ ინფორმაციას ვიღებთ, ვანვდით სოციალურ მუშაკებს, რადგანაც ვალდებული ვართ ვითანამშრომლოთ რეფერირების ნესების შესაბამისად...“ (მანდატური, თბილისი);

„...მათ უნდა გააძლიერონ მონიტორინგის სისტემა... ისინი უნდა დაინტერესდნენ, როდესაც ბავშვი ძალიან ხშირად აცდენს გაკვეთილებს... თუ მშობლებს ბავშვი სკოლიდან გაჰყავთ, მათ უნდა შეამოწმონ, შეიყვანეს თუ არა ბავშვი სხვა სკოლაში...“ (პოლიცია, ქვემო ქართლი);

სოციალურმა მუშაკებმა გამოთქვეს სურვილი, რომ უბნის პოლიცია უფრო მეტად, რეგულარულად და სისტემატიურად მონაწილეობდეს მონიტორინგის პროცესში:

„... ისინი [პოლიციელები] შეიძლება თან გვახლდნენ, მაგრამ მათ არ იციან საკუთარი პასუხისმგებლობები და არ ესმით მონიტორინგის პროცესის მნიშვნელობა“ (სოციალური მუშაკი, აჭარა);

„... გვქონდა ერთი შემთხვევა, როდესაც პოლიციამ არა მხოლოდ უარი თქვა მონიტორინგის ჩატარებაზე, არამედ აგრეთვე უგულვებლყო ჩვენი ოფიციალური წერილობითი თხოვნა მოენოდებინა ინფორმაცია ოჯახის შესახებ...“ (სოციალური მუშაკი, ქვემო ქართლი);

„...გვქონდა შემთხვევა, როდესაც პოლიციის თანამშრომელი უფლებამოსილი იყო დაკვირვება ეწარმოებინა ოჯახზე 2 წლის განმავლობაში, მანამდე, სანამ ჩვენ ინფორმაციას მივიღებდით სკოლიდან, რაც მას შემდეგ მოხდა, რაც მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა და საშინელებები დატრიალდა...“ (სოციალური მუშაკი, თბილისი).

აღსანიშნავია, რომ მოქმედების ეფექტიანობასთან დაკავშირებით თავად სოციალური მუშაკებიც ხშირად იმსახურებენ კრიტიკას:

„... სოციალური მუშაკები პროცესს უნდა უძღვებოდნენ, თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათი მოქმედებები არ არის ხოლმე დროული... ისინი უფრო პროაქტიული და ნაკლებად ბიუროკრატიული უნდა იყვნენ ... ისინი მიიჩნევენ, რომ მათი მხრიდან საკმარისია მხოლოდ ფორმების შევსება, გარკვეული პუნქტების შემოწმება და გაგზავნა ...“ (პოლიცია, თბილისი);

„... ისინი უნდა დადიოდნენ ოჯახებში და ამ ოჯახების მეზობლებთან კვირაში ერთხელ/თვეში ორჯერ, სიტუაციის მიხედვით, და საქმის დახურვამდე სიტუაციას ორჯერ მაინც უნდა ამოწმებდნენ...“ (პოლიცია, თბილისი).

კვლევის შედეგებით გამოჩნდა, რომ პროფესიონალებმა იციან, როგორ უნდა იქცეოდნენ შემთხვევაზე მუშაობისას, თუმცა აღმოჩნდა პროცედურებში გაურკვეველობაც. ამასთან უნდა ითქვას, რომ გამოვლენილი პრობლემები ძირითადად უკავშირდება ოჯახებთან და ბავშვებთან მუშაობის ხარისხს. კრიტიკას უმთავრესად იმსახურებენ სოციალური მუშაკები, რომლებიც არიან საქმის კოორდინატორები, თუმცა უნდა ითქვას, რომ სხვა პროფესიონალებსაც ესაჭიროებათ ბავშვებთან და ოჯახებთან მუშაობის გაუმჯობესებელი მეთოდოლოგია. აუცილებელია, რომ შესაბამისმა სამინისტროებმა შეიმუშაონ მეთოდოლოგიური გაიდლაინები ბავშვებთან და ოჯახებთან სამუშაოდ. ტრენინგის მასალების მომზადებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სხვადასხვა სააგენტოს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას.

რეკომენდაციები

საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემას აქვს მნიშვნელოვანი, ძლიერი მხარეები. სამივე სამინისტროს პროფესიონალებმა უკვე დაიწყეს თანამშრომლობა ბავშვთა მიმართ ძალადობასთან ეფექტურად გასამკლავებლად და მათ კარგად ესმით სისტემა და საკუთარი როლი. გაიზარდა როგორც ძალადობის გამოვლენილი შეთხვევების, ისე მათი სისტემაში რეფერირების რაოდენობა. პროფესიონალებს მიღებული 2-ნობიანი გამოცდილების საფუძველზე უკვე შეუძლიათ კრიტიკულად შეაფასონ როგორც საკუთარი, ისე პარტნიორების მიერ ჩატარებული სამუშაო და გამოავლინონ გამოსასწორებელი სფეროები. გამოვლენილი წინააღმდეგობების გადასაჭრელად საჭიროა კომპლექსური ინტერვენციები:

ბავშვთა დაცვის რეფერალის ნორმატიული ბაზის დახვეწა - საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შექმნა/დახვეწვა და პროფესიონალებისთვის დეტალური პროცედურების/გაიდლაინების შემუშავება.

სამი მინისტრის 2010 წლის ბრძანებამ საქართველოში შექმნა ბავშვთა დაცვის რეფერალის ზოგადი ჩარჩო. ზოგიერთმა სამინისტრომ, რეფერალის დოკუმენტის შესაბამისად, უკვე შეიმუშავა შიდა პროცედურები თავისი თანამშრომლებისთვის. ამასთანავე, ზოგადი საკანონმდებლო ბაზა დაიხვეწა და გაჩნდა მეტი გარანტიები ბავშვებთან უფლებების უკეთესად დასაცავად. თუმცა საჭიროა საკანონმდებლო ბაზის კიდევ უფრო დახვეწა რეფერალის ეფექტიანი შესრულებისათვის.

ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისას გაურკვევლობა ხშირად იმით აიხსნება, რომ კანონმდებლობასა და კანონქვემდებარე აქტებში ძალადობის სხვადასხვა ფორმა მკაფიოდ არ არის განსაზღვრული. ხშირად პრობლემებს იწვევს გამიჯვნა, რა არის აღმზრდელითი მეთოდი და რა - ბავშვთა მიმართ ძალადობა. იმისათვის, რომ პრაქტიკოსებს მიენოდოთ დეტალური ნორმატიული ჩარჩო, აუცილებელია შესაბამისი კანონები, კანონქვემდებარე აქტები, რეფერალის პროცედურები და გაიდლაინები შეიცავდეს ძალადობის ყველა ფორმისა და ფიზიკური დასჯის განსაზღვრებებს.

უფრო უნდა გაძლიერდეს სოციალური მუშაკების როლი, რომ მათ შეძლონ რეფერალის პროცედურებში ჩართულ სხვადასხვა პროფესიონალთან თანამშრომლობით გააუმჯობესონ შემთხვევების მართვისა და კოორდინაციის პროცესი.

კვლევის შედეგებით ნარმოჩინდა, რომ საჭიროა პროფესიონალებისათვის განკუთვნილი გაიდლაინებისა და რეფერალის პროცედურების დახვეწა. გარდა ამისა, საჭიროა სხვა პროფესიონალებისათვის განკუთვნილი გაიდლაინების შემუშავება: განათლების სამინისტროში - სკოლისა და სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტების თანამშრომლებისათვის, ჯანდაცვის სამინისტროში - სამედიცინო პერსონალისთვის, დღის ცენტრების, მიმღები მშობლების და ბავშვზე ზრუნვის სხვა შესაძლო სამსახურების თანამშრომლებისთვის. რეფერალის პროცედურებისა და გაიდლაინების დახვეწისა და ახალი დოკუმენტების შექმნის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს სხვადასხვა პროფესიონალის/ უწყების/სააგენტოს კოორდინაციით, რათა ჩამოყალიბდეს ძალადობის თემატიკისა და ჩარევის უნიფიცირებული ფორმების ერთიანი ხედვა.

ამასთან, პროფესიონალებისათვის მომზადებული ყველა გაიდლაინი უნდა შეიცავდეს დეტალურ სახელმძღვანელო ინფორმაციას ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიკაციის, სამუშაო პროცედურებისა და ტექნიკის, ასევე პროფესიონალების როლის შესახებ რეფერალის სხვადასხვა დონეზე (იდენტიფიკაცია, შეფასება, ჩარევა, მონიტორინგი) და მათი პროფესიული საქმიანობის მონესრიგების რეგულაციებს.

პროფესიონალებს რომ გაეზარდოთ მოხსენების, რეფერალისა და შემდგომი რეაგირების პასუხისმგებლობა, საჭიროა შესაბამისი ფუნქციები ჩაიდოს საკანონმდებლო ბაზასა და სამუშაოს აღწერაში. შესაბამისი უწყებისა თუ სამინისტროს რეგულაციებში ასევე მკაფიოდ უნდა იყოს მოცემული, რა პასუხისმგებლობა ეკისრება ამა თუ იმ მუშაკს, თუკი საჭიროებისამებრ არ მოახსენებს შემთხვევის შესახებ ან არ მისდევს რეფერალს. რეფერალის გაიდლაინებთან შესაბამისობა შესაძლოა მიებას არსებული მომსახურებების სტანდარტებსა და ბავშვზე ზრუნვის სამსახურების სალიცენზიო სქემებს.

რეფერალში ჩართული პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლება

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს უკვე აქვთ შემუშავებული სამუშაო გაიდლაინები პოლიციელებისა და სოციალური მუშაკებისთვის.

მიუხედავად ამისა, შიდა გაიდლაინების შემუშავებას/დახვეწას უნდა მოჰყვეს პროცედურებში ჩართულ თანამშრომელთა ტრენინგები. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ტრენინგები უნდა მოიცავდეს როგორც ძალადობის ნიშნების იდენტიფიცირების, ძალადობის სხვადასხვა ფორმისა და ბავშვის აღზრდის მისაღები მეთოდების თემებს, ისე ინფორმაციას იმ სპეციფიკურ როლზე, რაც ამა თუ იმ პროფესიონალს სხვა პროფესიონალებისაგან განსხვავებით ეკისრება რეფერალის სხვადასხვა ეტაპზე.

უფრო მეტიც, როგორც აღმოჩნდა, თითოეული მუშაკისათვის საჭიროა დამატებითი ტრენინგების ჩატარება ბავშვებთან და ოჯახებთან მუშაობის ტექნიკის შესახებ, რეფერალის სხვადასხვა ეტაპზე, მათი როლის შესაბამისად.

გაიდლაინების გარდა, სხვადასხვა პროფესიონალს შორის თანამშრომლობის გაზრდის მიზნით, საჭიროა საერთო ტრენინგების ჩატარება პოლიციელების, სოციალური მუშაკების, სამედიცინო პერსონალის, სკოლის თანამშრომლებისა და სხვა პროფესიის ადამიანების მონაწილეობით.

კვალიფიკაციის ამაღლების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ძალადობის იდენტიფიკაციის, რეფერალის პროცედურებისა და ბავშვებთან და ოჯახებთან მუშაობის თავისებურებების შემსწავლელი ტრენინგები ჩართული იყოს სავალდებულო ტრენინგების კურიკულუმში. შესაბამის სამინისტროებს უნდა ჰქონდეთ სტრატეგია და რესურსები, რომ საჭიროების შემთხვევაში ასეთი სახის ტრენინგების მომსახურება შეისყიდონ.

სისტემის ეფექტურობისა და სენსიტიურობის გასაზრდელად რეფერალში ახალი მხარეების ჩართვა

კვლევაში მონაწილე პროფესიონალებმა აღნიშნეს, რომ რეფერალში ჩართული იმ მომსახურებების/პროფესიონალების სია, ვისაც ევალება შემთხვევებზე რეაგირება, უნდა გაიზარდოს და უნდა მოიცავდეს ყველა სამსახურსა და უწყებას, ვინც ბავშვებთან მუშაობს. იგულისხმება საბავშვო ბაღები, სპეციალიზებული სპორტული და ხელოვნების სკოლები, დღის ცენტრები და ყველა ის სამსახური, ვინც ფსიქოსოციალურ დახმარებას უწევს ბავშვებსა და მათ ოჯახებს, მიუხედავად მათი დაფინანსების წყაროებისა (იქნება ეს სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო, რელიგიური ორგანიზაციისა თუ სხვა).

ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირების და რეაგირების პროცესში სოციალური მომსახურების სააგენტოს ეფექტურობის გასაზრდელად და რეფერალის პროცედურებში მათ გასააქტიურებლად საჭიროა ამ სამსახურის თანამშრომლების სამუშაოს აღწერილობაში განსაზღვრული იყოს მათი, როგორც ძალადობის გამომვლენის როლი, მონიტორინგის ვიზიტებისას მიმღებ ოჯახებსა და ბავშვთა ზრუნვის დანერგულებებში. ამასთან, სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური აგენტები უნდა განიხილებოდნენ, როგორც მნიშვნელოვანი რესურსი ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოსავლენად, ვინაიდან ისინი, თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე, მოიცავენ ოჯახებს მთელი საქართველოს მასშტაბით.

სკოლაში ძალადობის გამოვლენისა და რეგირების/რეფერალის ეფექტურობის გაზრდის მიზნით მოხსენების ანგარიშვალდებულება უნდა დაეკისრო სკოლის ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელიც იქნება მომზადებული და რომლის ძირითადი მოვალეობა ექნება ძალადობის იდენტიფიცირება, ბავშვთან და ოჯახთან ურთიერთობის დამყარებისას დახმარება და გარე უწყებებთან/სააგენტოებთან/სერვისებთან ურთიერთობა.

მოსახლეობისა და პროფესიონალების ცნობიერების ამაღლება ბავშვის მიმართ ძალადობის (ოჯახში) საკითხებზე

კვლევამ აჩვენა, რომ ხშირად ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებას მოსახლეობა აღიქვამს ოჯახის საქმეებში ჩარევად. ეს სოციალური ნორმა გავლენას ახდენს იმ პროფესიულ წრეებზეც, რომლებიც ჩართულია რეფერალის პროცესში. შესაბამისად, ცნობიერების ამაღლება ესაჭიროება არა მარტო ზოგადად მოსახლეობას, არამედ, ასევე, პროფესიონალებს. უფრო მეტიც, შესაბამისმა სამინისტროებმა უნდა ჩართონ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება თავის ძირითად მოვალეობებში და მნიშვნელობა მიანიჭონ ინფორმაციის მიწოდებას როგორც საკუთარი თანამშრომლებისთვის, ისე ზოგადად მოსახლეობისთვის.

ბავშვთა დაცვის რეფერალის მექანიზმების გაძლიერება მოითხოვს პოლიტიკურ ნებას და რესურსებს. პოლიტიკური ნება, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოდიოდეს ჩართული სამი სამინისტროსგან და უნდა გამოხატავდეს მათ სურვილს, გააძლიერონ სისტემა კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით. პროცესში, საკანონმდებლო ბაზის დასახვეწად, აუცილებელია მთავრობის საკანონმდებლო ნაწილის ჩართვა. ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს რესურსები ტრენინგების (განსაკუთრებით, განათლების სამინისტროში), კოორდინაციისა და გაიდლაინების დასახვეწად. რეფერალის რაოდენობის ზრდასთან ერთად უნდა განვითარდეს სამუშაო მეთოდები და ტექნიკა, რათა რეაგირებაზე მზარდ მოთხოვნას ქმედითი და შედეგიანი რეაგირება მოჰყვეს. ამაზეა დამოკიდებული ძალადობით დაზარალებული ბავშვების ბედი საქართველოში.

დანართი 1. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის დროს შესწავლილი ჯგუფები

კვლევის თვისებრივმა კომპონენტმა მოიცვა როგორც ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პოლიტიკის შემსრულებელი ინსტიტუტები, ისე ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები.

რესპონდენტების შერჩევა

ამ კომპონენტისათვის რესპონდენტების შესარჩევად გამოყენებული იყო საგანგებო შერჩევის მეთოდი, რომელსაც ხშირად მიმართავენ თვისებრივი კვლევების დროს.

შერჩევა მოხდა იმ სამი სამინისტროს წარმომადგენლებისაგან, რომელთა პასუხისმგებლობაშიც შედის ბავშვებზე ძალადობის შემთხვევების გამოვლენა, ანგარიშგება, რეფერირება და მართვა. ესენია: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც ეს რეფერირების პროცედურებითაა დადგენილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენდნენ როგორც მანდატურები, რომელთა მოვალეობაში შედის ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და რეფერირება პოლიციისათვის და/ან სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის, ისე **სკოლის მასწავლებლები**.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენდნენ საპატრულო პოლიცია და უბნის ინსპექტორები, რომელთა მოვალეობაში შედის ძალადობის შემთხვევების გამოვლენა, გამოძიება და რეფერირება სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკებისათვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენდნენ სოციალური მომსახურების სააგენტოს (საჯარო სამართლის იურიდიული პორის) საშუალო დონის მენეჯერები და სოციალური მუშაკები, რომელთა მოვალეობაში შედის ბავშვებზე ძალადობის რეფერირებული შემთხვევების შეფასება, მართვა და მონიტორინგი, აგრეთვე საკონსულტაციო მომსახურების გაწევა და საჭიროების შესაბამისად ბავშვების უსაფრთხო ადგილას განთავსება.

გარდა ამისა, კვლევაში წარმოდგენილი იყო კიდევ ერთი უწყება - იუსტიციის უმაღლესი საბჭო. იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება მოსამართლეებისაგან, რომელთა პასუხისმგებლობაშიც შედის ბავშვებზე ძალადობის შემთხვევაში დამცავი ორდერების გაცემა და შემაკავებელი ორდერების დამტკიცება.

რესპონდენტები შერჩეული იყვნენ ოთხი რეგიონიდან:

- თბილისი - საქართველოს დედაქალაქი და ქვეყანაში ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ადგილი;
- ქვემო ქართლი - ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რაიონი;
- აჭარა - წარმომადგენდა დასავლეთ საქართველოს (შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ამ რეგიონში ოჯახური კონფლიქტების რაოდენობა ყველაზე მაღალია)
- კახეთი - წარმომადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს (ყველაზე დიდი რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოში)

ფოკუს-ჯგუფებისა და გამოკითხვებისათვის (დეტალურად აღწერილია შემდეგ თავში) რესპონდენტების შესარჩევად გაეროს ბავშვთა ფონდმა წერილები დაუგზავნა შესაბამის უწყებებს (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს) და სთხოვა გაეროს კონტრაქტორი კვლევითი კომპანიისათვის (ACT Research) მიეწოდებინა ოთხი რეგიონის პოტენციური რესპონდენტების სია. ACT დაუკავშირდა შესაბამისი უწყებების მიერ დასახელებულ პოტენციურ რესპონდენტებს. ფოკუს-ჯგუფებსა და გამოკითხვებში მონაწილეობა მიიღეს იმ რესპონდენტებმა, რომლებიც კვლევაში მონაწილეობას დათანხმდნენ.

დროის მონაკვეთი: ACT-ის ინტერვიუებმა და ფასილიტატორებმა ფოკუს-ჯგუფები და გამოკითხვები ჩაატარეს 2012 წლის ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით.

მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები

მონაცემთა შესაგროვებლად გამოყენებული იყო როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები.

დოკუმენტაციის კვლევა: რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებული არსებული ნორმატიული დოკუმენტების ანალიზი ნაკლოვანებების გამოვლენის მიზნით; დამატებით, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მონოდეული სტატისტიკური მონაცემების შესწავლა და ანალიზი ყველა ფორმის ძალადობის შემთხვევების რეფერირების შესახებ, რეგიონების მიხედვით (პერიოდი: 2010 წლიდან 2012 წლის სექტემბრამდე).

ფოკუს-ჯგუფები: ფოკუს-ჯგუფები დაიყო სამ თემატურ ჯგუფად: 1. სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკები, 2. სკოლების წარმომადგენლები (მასწავლებლები და მანდატურები) და 3. პოლიცია (საპატრულო პოლიცია/უბნის ინსპექტორები). მიზეზები, რის გამოც უპირატესობა მიენიჭა თემატურ და არა შერეულ ჯგუფებს, იყო შემდეგი: ა) რეფერირების სისტემის თითოეული მონაწილე მხარისაგან მაქსიმალური მოცულობის ინფორმაციის მიღება მათი პრაქტიკის შესახებ, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ყველა ეტაპთან დაკავშირებით, ბ) ყოველდღიური მუშაობის პროცესში მათ წინაშე არსებული გამოწვევების იდენტიფიკაცია, როგორც ორგანიზაციების შიგნით, ისე სხვა ორგანიზაციებთან კოორდინაციის თვალსაზრისით.

ჯგუფური დისკუსიები ჩატარდა თბილისში, ბათუმში, თელავსა და მარნეულში. ფოკუს-ჯგუფების ფასილიტატორები იყვნენ ACT-ის სპეციალისტები, რომლებმაც თითოეულ თემატურ ჯგუფში გამოიყენეს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მომზადებული და გუნდთან შეთანხმებული სხვადასხვა სახელმძღვანელო ინსტრუქციები.

ფოკუს-ჯგუფების დისკუსიებში მონაწილეობა მიიღო 90-მა ადამიანმა. თითოეულ ჯგუფში იყო დაახლოებით 4-10 რესპონდენტი. მთლიანობაში ჩატარდა ფოკუს-ჯგუფის 12 დისკუსია, თითოეულ რეგიონში სამ-სამი:

ფოკუს-ჯგუფის 4 დისკუსია ჩატარდა სკოლების წარმომადგენლებთან (მასწავლებლების 2 ჯგუფთან და მანდატურების 2 ჯგუფთან);

ფოკუს-ჯგუფის 4 დისკუსია ჩატარდა სოციალურ მუშაკებთან (სოციალური მომსახურების სააგენტო): 1 – თბილისში და 3 – რეგიონებში;

4 ფოკუს-ჯგუფის დისკუსია ჩატარდა პოლიციელებთან: 1 – თბილისში და 3 – რეგიონებში.

თბილისი

- **სოციალური მუშაკები** (რაიონების მიხედვით): დიდუბე-ჩუღურეთი (2), ძველი თბილისი (2), ვაკე-საბურთალო (1), ისანი-სამგორი (2), გლდან-ნაძალადევი (1)
- **მანდატურები** (სკოლების მიხედვით): საჯარო სკოლა (7), კერძო სკოლა (3)
- **პოლიცია:** 7

აჭარა

- **სოციალური მუშაკები** (ქალაქების მიხედვით): ბათუმი (4), ქობულეთი (2), შუახევი (1)
- **მასწავლებლები:** ბათუმის საჯარო სკოლები (5)
- **პოლიცია** (ქალაქების მიხედვით): ბათუმი (4), შუახევი (1), ქობულეთი (2), ქედა (1)

კახეთი

- **სოციალური მუშაკები** (ქალაქების მიხედვით): თელავი (6), ახმეტა (1), გურჯაანი (1)
- **მანდატურები**: თელავის საჯარო სკოლა (8), კოლეჯი (1)
- **პოლიცია** (ქალაქების მიხედვით): ახმეტა (2), თელავი (3), გურჯაანი (1), დედოფლისწყარო (1), ყვარელი (1)

ქვემო ქართლი

- **სოციალური მუშაკები** (ქალაქების მიხედვით): მარნეული (2), ბოლნისი (1), რუსთავი (1)
- **მასწავლებლები**: მარნეულის საჯარო სკოლები (4), სოფლები (4)
- **პოლიცია** (ქალაქების მიხედვით): რუსთავი (5), გარდაბანი (1)

თბილისში ფოკუს-ჯგუფების დისკუსიები ჩატარდა ACT-ის ოფისის საგანგებოდ აღჭურვილ ოთახებში, ხოლო რეგიონებში - მუნიციპალურ/ადმინისტრაციულ ცენტრებში. ფოკუს-ჯგუფების დისკუსიები ჩანერილი იყო ვიდეოზე და შემდეგ ტექსტის ჩანაწერი გააკეთა ACT-მა. მონაცემთა ანალიზი ჩაატარა გაეროს ბავშვთა ფონდის კონსულტანტმა.

სტრუქტურირებული ინტერვიუ: ფოკუს-ჯგუფების დისკუსიების დაწყებამდე ყველა მონაწილემ (პოლიციელების გარდა¹) შეავსო ერთი და იგივე კითხვარი, რომელიც გამოყენებული იყო ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის² კომპონენტში. ამ კითხვარის მიზანი იყო ძალადობის შესახებ ინდივიდუალური ცოდნის დონის და დამოკიდებულების გარკვევა. მთლიანობაში პროფესიონალებმა შეავსეს 61 კითხვარი: აქედან 28 შეავსეს სოციალურმა მუშაკებმა, 20 - სკოლის მანდატურებმა, 13 - მასწავლებლებმა. შეგროვებული მონაცემები ACT-ის თანამშრომლებმა შეიყვანეს SPSS-ის და STATA-ს კომპიუტერულ პროგრამებში და გააანალიზა გაეროს ბავშვთა ფონდმა.

ჩაღრმავებული, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები: ოთხივე რეგიონში ექვსი ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული დეპარტამენტების მოსამართლეებთან: თბილისში (3), რუსთავში (1), ბათუმსა (1) და სიღნაღში (1). ორი ინტერვიუ ჩატარდა სოციალური მომსახურების სააგენტოს³ (SSA) იურისტებთან. ACT-ის ინტერვიუებმა გამოკითხვები ჩაატარეს და გააკეთეს აუდიოჩანაწერები. ინტერვიუებში გამოყენებულ იქნა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო ინსტრუქციები. ინტერვიუების ტექსტები მოამზადა კვლევითმა ორგანიზაციამ და გააანალიზა გაეროს ბავშვთა ფონდმა.

გაეროს ბავშვთა ფონდმა 7 ინტერვიუ ჩაუტარა სოციალური მომსახურების სააგენტოს საშუალო დონის მენეჯერებს, სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებსა და ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებს (მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების სია მოცემულია N2 დანართში).

¹ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადეს.
² „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში – ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ“ - გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ იმავე პერიოდში ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული გამოკითხვა. კითხვარი ხელმისაწვდომია გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობაში. კითხვარი აგრეთვე თან ერთვის ზემოთაღნიშნულ კვლევას (დანართი 2).
³ www.SSA.gov.ge

დანართი 2. გამოკითხვაში მონაწილე ექსპერტების სია (ორგანიზაციების მიხედვით):

- **ჯაბა ნაჭყებია** - საქართველოს ბავშვები (CoG)
- **სალომე ნამიჭიჭიანი** - საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (GASW)
- **ანა არღანაშვილი** - სახალხო დამცველის ოფისი
- **ლია სალარიძე, ქეთევან მარგალიტაძე** - საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა ფონდი (PHF)
- **ეკა სანებლიძე, ნინო ტვილდიანი** – სოციალური მომსახურების სააგენტო (ცენტრალური ოფისი)
- **მანანა კობახიძე** - სოციალური მომსახურების სააგენტო, ისანი-სამგორის რაიონული განყოფილება

დანართი 3. სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკური მონაცემები საქართველოში გავრცელება ძალადობის შემთხვევების რეფერირების შესახებ

| კატეგორია | ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეფერირება | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | | | სულ |
|------------------------------------|--|------|------|------|-----------------|----------------|----------------|-----|
| | | | | | იანვ.- მარტი | აპრ.- მაისი | ივნ.- სექტ. | |
| N შემთხვევები | რეფერირების შემთხვევების მთლიანი რაოდენობა | 40 | 90 | 141 | 57 | 44 | 36 | 137 |
| | ძალადობის დადასტურებული შემთხვევები | | | 92 | 31 | 24 | 18 | 73 |
| სქესი | მამრობითი | | 42 | 49 | 26 | 21 | 19 | 66 |
| | მდედრობითი | | 48 | 60 | 31 | 23 | 17 | 71 |
| ინფორმაციის მიმწოდებელი | პოლიცია | | 11 | | 5 | 12 | 13 | 30 |
| | სკოლა/რესურს-ცენტრი | | 13 | | 8 | 3 | | 11 |
| | საზოგადოებრივი დამცველის ოფისი | | 4 | | 3 | 1 | | 4 |
| | მოქალაქეები | | 25 | | 9 | 3 | 12 | 24 |
| | სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო | | | | | 16 | | 16 |
| | სოციალური მომსახურების ცენტრი | | | | | | 3 | 3 |
| | ანონიმური | | | | | 3 | | 3 |
| | მშობლები | | | | | 3 | | 3 |
| | სასკოლო ქსელიდან მიღებული ინფორმაცია | | | | | | 2 | 2 |
| | მსხვერპლი | | | | | | 1 | 1 |
| ძალადობის ტიპი | არასამთავრობო ორგანიზაციები / სხვა სამთავრობო ორგანიზაციები | | 37 | | 19 | 3 | 5 | 27 |
| | ფიზიკური ძალადობა | | 33 | 61 | 9 | 14 | 8 | 31 |
| | ფსიქოლოგიური ძალადობა | | 53 | 40 | 5 | 12 | 11 | 28 |
| | უგულბელყოფა | | 29 | 23 | 14 | 11 | 4 | 29 |
| | სექსუალური ძალადობა | | 3 | 3 | 2 | 1 | 9 | 12 |
| | იძულება | | 6 | | | | | |
| | მიტოვება | | | 2 | | | | |
| ოჯახური კონფლიქტი | | | | | 3 | 3 | 6 | |

| კატეგორია | ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეფერირება | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | | | |
|-------------------|--|------|------|------|-----------------|----------------|----------------|-----|
| | | | | | იანვ.- მარტი | აპრ.- მაისი | ივნ.- სექტ. | სულ |
| ძალადობის ჩამდენი | მშობელი /ოჯახის წევრი | 83 | 106 | 29 | 35 | 28 | 92 | |
| | მეზობელი | | | 1 | 1 | 3 | 5 | |
| | მასწავლებელი | | | | 1 | | 1 | |
| | კლასელი/თანატოლო | | 2 | | 1 | | 1 | |
| | უცნობი | | | 1 | 1 | | 2 | |
| | იმავე სოფლის მცხოვრები | | | | | 5 | 5 | |
| | ბავშვთა სახლის პერსონალი | | | | | 5 | 5 | |
| რეგიონი | ქვემო ქართლი | | | 11 | 1 | 5 | 17 | |
| | შიდა ქართლი | | | | 3 | 1 | 4 | |
| | სამცხე-ჯავახეთი | | | 1 | | 4 | 5 | |
| | სამეგრელო-ზემო სვანეთი | | | 1 | | | 1 | |
| | აჭარა | | | 1 | 2 | 1 | 4 | |
| | იმერეთი | | | 4 | 3 | 2 | 9 | |
| | რაჭა ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | | | | | | 0 | |
| | გურია | | | | | | 0 | |
| | კახეთი | | | 13 | 3 | 3 | 19 | |
| | მცხეთა-მთიანეთი | | | 3 | 7 | 4 | 14 | |
| | თბილისი | | | 19 | 25 | 16 | 60 | |
| ღონისძიება | ოჯახებიდან ბავშვის წამოყვანა | | 54 | | | | | |
| | მშობლის უფლებების შეზღუდვა | | 15 | | | | | |
| | მშობლის უფლებების ჩამორთმევა | | 5 | | | | | |
| | პოლიციის ჩართვა საქმეში | | 71 | | | | | |

